# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 39. (2818) გამოცემის მე-60 წელი: 27 სექტემბერი, 1991 წ. ფასი 40 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზვიად გამსახურდია: „გაუმარჯოს შერიგებას!..“







ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაძლების რწმენით

დღეს, საყოველთაო დაძაბულობის წუთებში, ერთი ეპიზოდი მინდა გაგახსენოთ: ალბათ ბევრს ახსოვს, როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო საღამო ტარდებოდა, გრიგოლ აბაშიძე შეეკითხა იუბილარს: ბატონო კონსტანტინე, რას უსურვებდით თქვენს სათაყვანებელ ქართველ ხალხსო. დიდმა მწერალმა და მოქალაქემ ლაკონურად, მხოლოდ ერთი სიტყვით გასცა პასუხი: „გაძლებას!"

საიუბილეო საღამო ტელევიზიით გადაიცემოდა, მაგრამ ტელემაყურებლებს ეს ერთადერთი სიტყვა არ გაუგიათ, რადგან მიკროფონი „წინდახედულად" გამოეთიშა. ეკრანზე კი კარგად ჩანდა აღფრთოვანებული დარბაზის რეაქცია და მათი სიხარულით გაბრწყინებული სახეები.

მეორე დღეს უკვე ყველამ იცოდა ბატონ კონსტანტინეს მიერ ქართველი ერის მიმართ ანდერძივით დატოვებული დევიზი: „გაძლება"!

ისიც უნდა გავახსენოთ, რომ ეს სიტყვა, აშკარად თუ ფარულად, გააზრებულად თუ ქვეცნობიერად, 1801 წლიდან მუდამ ტრიალებდა ქართველი კაცის შეგნებაში. ძალა, რომელიც ჩვენივე დანაშაულებრივი თანხმობით შემოვიდა და დამკვიდრდა ამიერკავკასიაში, ჩვენსავე საწინააღმდეგოდ მუშაობდა მთელი საუკუნის განმავლობაში. ძალთა თანაფარდობა მეტად დიდი იყო და ბრძოლის ერთადერთ ნორმალურ ფორმას გაძლება წარმოადგენდა.

გავძელით! იმპერიის შიგნით მიმდინარე სოციალურმა კატაკლიზმებმა თუ საგარეო სამხედრო-პოლიტიკურმა მდგომარეობამ მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ 117 წლის შემდეგ აღგვედგინა დაკარგული დამოუკიდებლობა, მაგრამ იმპერიის ნანგრევებზე წარმოშობილმა ტოტალიტარულმა სახელმწიფომ ზღვარი დაუდო ჩვენს მისწრაფებებს: ახლა უკვე ჩვენი ნების გარეშე დავკარგეთ თავისუფლება და კვლავ ამოტივტივდა ჩვენი ეროვნული დევიზი: გაძლება!

იმპერიის მემკვიდრე ტოტალიტარულ სახელმწიფოში მიმდინარე „დინასტიურმა ომებმა" ქართველი ხალხის მთელი რიგი თაობები შეიწირა. ამავე სახელმწიფოში, ახალი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის კატაკლიზმებს აქვს ადგილი. მეორდება ისტორიულ მომენტთა პერიოდულობის ახალი წრე.

ჩვენ კვლავ გავძელით!

დიახ, ნამდვილად გავძელით, რადგანაც შევძელით, რომ პირველად „დედამიწის ერთ მეექვსედზე" არსებულ „ხალხთა საპყრობილეში" ჩაგვეტარებინა დემოკრატიული არჩევნები და ჩვენი პოლიტიკური (თუ სხვა) მისწრაფებების განხორციელება ჩაგვებარებინა ჩვენს მიერვე არჩეული ხელმძღვანელობისათვის.

ნუ შევქმნით ტრაგედიას იმისგან, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ერთი ნაწილი (მეტად მცირე, მაგრამ მაინც ერთი ნაწილი!) შეურიგებელ პოზიციას ადგას არსებული ხელისუფლების მიმართ. არასოდეს, არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ და რაღა ჩვენთან უნდა იყოს!

აქ მთავარია სულ სხვა საკითხი: რესპუბლიკაში არსებობს კონსტიტუცია. არსებობს კონსტიტუციური მმართველობითი სისტემა. პრეზიდენტის ინსტიტუტი. მინისტრთა კაბინეტი. პარლამენტი. მიუხედავად იმისა, თუ ვინ ვის მისცა ხმა არჩევნების დროს, ყველა ვალდებულია, შეასრულოს თავისი მოქალაქეობრივი ვალდებულება და დაემორჩილოს რესპუბლიკის კანონებს. დემოკრატია არ ნიშნავს ანარქიას და კანონთა სისტემის არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ იკრძალება ზოგიერთი ქმედობა. როგორც ძველები იტყოდნენ, მხოლოდ გიჟია თავისუფალი. ჩვენ დავუმატებდით, რომ მხოლოდ საგიჟეთში და არა ქუჩაში!

ელემენტარულია, მაგრამ როგორც ჩანს, გამეორებაა საჭირო, რომ ოპოზიცია შეიძლება მხოლოდ პარლამენტში არსებობდეს, ხოლო პარლამენტის გარეთ, რბილად რომ ვთქვათ, ის მარტოოდენ პოლიტიკურ ხულიგნობაში გამოვლინდება.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობას უნდა შეეძლოს დემოკრატიის დაცვა და არ უნდა შეკრთეს იმის წინაშე, რომ სახელმწიფო კანონების ცხოვრებაში გატარება პოლიტიკურმა პროვოკატორებმა მას დიქტატორული მეთოდების გამოყენებაში ჩაუთვალონ. მხოლოდ ასეთ ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ხალხი მუდამ იქნება მის გვერდით და მის დასაცავად თავს გასწირავს.

ნორმალური ადამიანის აზროვნებაში ვერ თავსდება ისეთი მოქმედება, როდესაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტყეში გარბის და პრეზიდენტის გადაყენებას ან დამხობას მოითხოვს. ან პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, რომელიც ვერ გახდა პრეზიდენტი, ამიტომ პრეზიდენტობის ინსტიტუტის გაუქმებას მოითხოვს. ან პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი, რომელსაც პირველსავე საფეხურზე ამომრჩევლებმა უნდობლობა გამოუცხადეს, ახლა დგას ქუჩაში და გამოუცდელ ახალგაზრდებს მოუწოდებს, რომ კონსტიტუციური გზით არჩეული პარლამენტი არმატურის კეტებით დაშალონ და სამაგიეროდ ის აირჩიონ.

ჩემი ღრმა რწმენით, ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში ამდაგვარი ადამიანების წინააღმდეგ უეჭველად აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე, რადგანაც თბილისში გამოწვეული ექსცესები მხოლოდ და მხოლოდ ასე შეიძლება დაკვალიფიცირდეს, რამაც უკვე მიიღო სამხედრო და სამოქალაქო პუტჩის სახე.

ამ საკითხთან დაკავშირებით კი ნება მომეცით მონათმფლობელური აღმოსავლეთის სამართლიდან ერთი პასაჟი გაგაცნოთ: განიხილავენ რა კერძო საკუთრების ხელშეუხებელ უფლებას და მისი დარღვევის შემთხვევაში სადამსჯელო ღონისძიებებს, რამდენიმე ათასი წლის წინ შედგენილ კანონთა კოდექსში მოტანილია საინტერესო მაგალითი: ქუჩაში მიდიან ორნი — თავისუფალი და მონა; ლობიდან მსხმოიარე ვაშლის ტოტია გადმოშვერილი. ერთმაც მოწყვიტა ვაშლი და მეორემაც. ორივე დამნაშავეა, რადგანაც სხვის საკუთრებას შეეხნენ. მონამ უნდა გადაიხადოს ფულის 3 ერთეული, თავისუფალმა კი — 91. რატომ? იქნებ თავისუფალმა უფრო დიდი ვაშლი მოწყვიტა? არა, საქმე ის არის, რომ მას, როგორც თავისუფალ ადამიანს, გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება კანონების დაცვის თვალსაზრისით.

დიახ, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ რუსთაველის პროსპექტზე ბარიკადების ამგები, სახელმწიფო ტელევიზიის ხელში ჩამგდები ახალგაზრდები დამნაშავენი არიან. მაგრამ გაცილებით დამნაშავენი არიან ისინი, ვინც მეამბოხე ახალგაზრდების თავისებურება ბოროტად გამოიყენა და უბიძგა მათ ანტიკონსტიტუციური მოქმედებისაკენ.

**როლანდ გურჯულაძე**

# „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის განცხადება

მთელმა ქვეყნიერებამ კიდევ ერთხელ გამოიხედა საქართველოსკენ, მაგრამ ამ შემთხვევაში არც ცხრა აპრილის ტრაგედია დატრიალებულა და არც მიწისძვრა მომხდარა, როცა ყველამ თანაგრძნობითა და სიბრალულით შემოგვხედა.

დღეს ჩვენს მიწაზე მომხდარ სამარცხვინო მოვლენებს აყურადებს მთელი მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები ჩვენი სამშობლოს სახელთან აკავშირებენ შურს, ბოღმას, გათიშვას, ბანდიტიზმს, დაუნდობლობას, უკანონობას, რასაც მივყევართ სახელმწიფო გადატრიალებამდე, სამოქალაქო ომამდე.

ჩვენ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" თანამშრომლები ვგრძნობთ, რომ დღევანდელი მოვლენები უფრო სახიფათო მოვლენებისაკენ მიგვაქანებენ. ამიტომ ვთხოვთ, ტელევიზიის შენობასთან შეკრებილ შეიარაღებული რაზმების მეთაურებს, პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებების ხელმძღვანელებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს — პატივი სცენ კანონიერად არჩეულ რესპუბლიკის პარლამენტსა და პრეზიდენტს. დაე, პრობლემები დამშვიდებულ საქართველოში გადაწყდეს, გადაწყდეს არა სისხლისღვრით, არამედ დემოკრატიის, შერიგების გზით.

ხოხო სიგუა,
ელიზბარ მაისურაძე,
ქეთო ცერცვაძე,
მედეა ზუბადალაშვილი,
იზო დემეტრაშვილი,
მანანა გარაყანიძე,
მამუკა წიკლაური,
ვანო ამირხანაშვილი,
მურმან ჩაჩუა,
გია თასოევი,
ანდრო ბედუკაძე,
კარლო ფაჩულია,
ელისო სიხარულიძე,
დოდო ფოფხაძე,
ნინო კვიტაშვილი,
ნაირა ცქიმანაური,
დარეჯან გავაშელაშვილი,
ნათია ჯაყელი,
ლია ვაშალომიძე.

# შეჩერდით!

ორმა სექტემბერმა ნათლად გვიჩვენა ქართველებს შორის შუღლი და გათიშულობა. ორ სექტემბერს გამოჩნდა, ერსა და ბერს როგორ „უყვარს" ერთმანეთი. ორი სექტემბრის „პატარა ბაზალეთი" ჩემი თვალით რომ არ მენახა, ვერავინ დამარწმუნებდა ქართულ მილიციასა (მთავრობა) და მომიტინგეებს შორის არსებულ უთანხმოებაში. გამომჟღავნდა ყოველივე. ქართველებო! ორივე მხარეს რა პოლიტიკური პლატფორმა გაქვთ, რომ ასე გაიმეტეთ ერთმანეთი? თქვენ, მილიციელებო, რომელმა რელიგიამ გასულდგმულათ, რომ ღმერთი არ იწამეთ.

ძმებო, ქართველებო! დაიხსომეთ, ჩვენი ერისათვის ყველაზე დიდი პარტია და რელიგია საქართველოა და ქართველობაა, ეს კი სიყვარულია, ღმერთია — გიყვარდეთ ერთმანეთი, ერთიანობის გრძნობით იყავით თავისუფალნი და დამოუკიდებელნი. რად გვინდა ისეთი დამოუკიდებლობა და დემოკრატია, თუკი ქართველები (ზნეობრივად და ფიზიკურად) აღარ ვიქნებით. ნუთუ ჩვენი ერის ისტორია ჩვენთვის გაკვეთილი არ არის?

თუ გვინდა, რომ ძმათა სისხლი არ დაიღვაროს, ცხოვრების უზენაესად კანონი უნდა გავიხადოთ და არა — პირადი ამბიცია. ვისწავლოთ სამართლებრივი ცხოვრება, ერთმანეთის მიმართ ვიყოთ კეთილნი და მიმტევებელნი. რუსი იმპერიული შეგნების ჯარისკაცმა როგორ უნდა აჯობოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ მილიციელს საკუთარი ერის სიყვარულში? რუსი კაცი, რომელიც იმპერიული თვითშეგნებით იზრდებოდა, მონობისაგან დაღწეულ, თავისუფლებისაკენ მიმავალ ქართველ კაცს მოყვასის სიყვარულში როგორ უნდა აღემატებოდეს?! სისხლმა სისხლი არ უნდა იცნოს? სად გაქრა ჩვენი სიბრძნე, მტრები რომ მოყვრებად გვიქცევია?!

ახლა იმაზე, მე რომ მტრად მაცხადებენ, ალბათ იმიტომ, რომ ბატონ ზვიად გამსახურდიაზე მცირე ესე დავწერე, ვინც ამის გამო ერის მტრად მრაცხს, უნდა შევახსენო, რომ ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს ერთ-ერთმა პირველმა მაღალი პოლიტიკურ-ეროვნული შეფასება მივეცი ბატონ ირაკლი წერეთელს, ბატონ ირაკლი შენგელაიას. დიდი პუბლიცისტური გამოკვლევა მივუძღვენი ბატონ აკაკი ბაქრაძის პოლიტიკურ პლატფორმას, ამაზე რა ხურდასაც ვილებდი, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ჩემო „ნათლიებო"! ჩვენს ეროვნულ ლიდერებს იმიტომ კი არ ვაქებდი, რომ ზოგიერთივით თანამდებობის მაძიებელი ვარ, ჩემი ყველაზე დიდი თანამდებობა დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობაა, გაქებდით და კვლავაც შეგაქებთ, წიგნსაც დაგიწერთ, ოღონდ ერთმანეთის შუღლი და მტრობა ამოიღეთ მაგ გიზგიზა გულებიდან, მე ამას შუღლსაც არ ვეძახი, ეს უბრალო პოლიტიკური ბუტიაობა ანუ ზოგიერთისაგან უხასიათობა უნდა დასძლიოთ, თქვენ ერისათვის ანთებული გულები გაქვთ.

ამგვარი მეტაფორული „შექებები" იმის ბრალია, რომ ვერა და ვერ დავსხედით ერთად, არა და არ გავტეხეთ პური, პური ხომ ჩვენი არსობისა და მარადიულობის საწინდარია!

**ავთანდილ ადეიშვილი**

# გლოვობს სრულიად საქართველო

საქართველოში ტრაგედია დატრიალდა, ძმამ ძმის სისხლი დაღვარა და კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაიწერა ჩვენს ისტორიაში. თბილისის დიდუბის რაიონის ვანის ქუჩაზე მდებარე „თელასის" შენობაზე თავდასხმამ ხუთი ქართველის სიცოცხლე იმსხვერპლა. შენობის დამცველთაგან გარდაიცვალა სამი, ხოლო ოპოზიციის მხრიდან ორი ადამიანი. მომხდარ დანაშაულს იძიებენ შესაბამისი ორგანოები და მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება.

თბილისში, მთავრობის სახლთან არ წყდება მიტინგი. მუდარა, ტკივილი, ხვალინდელი დღის იმედი, სიმტკიცე ენაცვლება ერთმანეთს გამომსვლელთა განწყობილებაში.

მიტინგზე წაიკითხეს პრეზიდენტის მხარდამჭერი წერილები, განცხადებები, დეპეშები. რესპუბლიკის პრეფექტურებიდან კვლავ ჩამოდიან დელეგაციები. აღინიშნა, რომ ქალაქში გავრცელებული ხმები, თითქოს პრეფექტებს ხალხი ძალით ჩამოჰყავთ რაიონებიდან, სიცრუეა და შეურაცხმყოფელი ათასობით ადამიანისათვის.

უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, ყოფილმა პოლიტპატიმარმა ვახტანგ ჭითანავამ გონიერებისაკენ, დიალოგისაკენ მოუწოდა მეორე მხარეს: „ამ ომში არ იქნება გამარჯვებული. ამიტომ დროზე ჩავაგოთ ხმალი ქარქაშში. ნუ გავუშვებთ ხელიდან ისტორიულ შანსს თავისუფლების მოპოვებისა. იარაღი ჩააბარეთ თავდაცვის სამინისტროს და ერთად ვიბრძოლოთ მტრის წინააღმდეგ, წინაღმდეგ შემთხვევაში მოღალატეებად შეგრაცხავთ ერი".

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა: „უმძიმესი დღეა დღეს. ჩვენი ერის სამარცხვინო შვილებმა შავი დილა გაგვითენეს, ქართველმა ქართველზე აღმართა ხელი. ყველა ხედავს ვის სურს ქართველის სისხლის დაღვრა ისევ ქართველის ხელით. განა ეს არის თქვენი ადამიანობა დემოკრატებო, ჰუმანისტებო! კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ: დაყარეთ იარაღი, დაშალეთ ხუნტა, უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, ხელს არ გახლებთ, წაბრძანდით სახლებში, იყავით ქართველები, მოქალაქენი. მაგრამ ქართველი ერის მოთმინება უსაზღვრო არ არის, გონს მოეგეთ დროზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ველარ გიშველით... აღარ უნდა დაიღვაროს სისხლი საქართველოში. კიდევ ერთხელ მივმართოთ, ვთხოვოთ, ვეხვეწოთ და თუ არ გაჭრის არაფერი, მაშინ მოვუხმოთ საქართველოს — გამოიტანოს განაჩენი. გაუმარჯოს მშვიდობას, კაცთმოყვარეობას, შერიგებას!"

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: უზენაესი საბჭოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე თემურ ქორიძე, ახალგაზრდა მწერალი ირმა კეკელიძე, პოეტი ჯულიეტა მილდიანი და სხვები.

●

სამოქალაქო ომის ღრუბელი ჩამოწვა საქართველოში. უაღრესად დაიძაბა პოლიტიკური ვითარება. დაძაბულობის ცენტრად მონიშნულია ქალაქი თბილისი.

უკვე მესამე კვირაა, რაც გრძელდება საპროტესტო აქცია ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობის წინ. ტელე-რადიოჟურნალისტების ერთმა ნაწილმა დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ბოიკოტი გამოუცხადა და მათი გადაყენება მოითხოვა. 22 სექტემბერს რუსთაველის პროსპექტზე ბარიკადების აღების შემდეგ აქ გადმოინაცვლეს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა. იმავე დღეს სრული სამხედრო აღჭურვილობით მათ შემოუერთდა საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილი, რომელიც პრეზიდენტს არ ემორჩილება.

მიუხედავად იმისა, რომ ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობის წინ უამრავი შეიარაღებული საომარ მზადყოფნაშია, ამას ხელი არ შეუშლია იმ მრავალათასიანი მიტინგებისათვის, ყოველდღიურად აქ რომ იმართება. ორად გაიხლიჩა თბილისი.

25 სექტემბერს ტელე-რადიო დეპარტამენტის წინ, გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი. მან აღნიშნა, რომ საქართველოში დღევანდელი დაძაბული ვითარება კატასტროფის მომასწავებელია, ხელისუფლება კი არავითარ დათმობაზე არ მიდის, რაც მოლაპარაკებას ჩიხში აქცევს. ისაუბრა რა 25 სექტემბრის „თელასთან" მომხდარ ამაზრზენ შეტაკებაზე, ირაკლი წერეთელმა აღნიშნა, რომ მომხდარი ფაქტი არის სამარცხვინო მთელი ერისათვის და მსგავსი რამ, არასოდეს აღარ უნდა განმეორდეს.

# მე კი ტირილს მივეც კალო...

## გიორგი გოგოლაშვილი

### წინასიტყვა

„როგორც ჩანს, იგი (ე. ი. მე, გიორგი გოგოლაშვილი) ზედმეტად გულწრფელი ადამიანია და ამიტომაც პირდაპირ ამბობს სათქმელს," — წერს ბატონი გურამ ბარნოვი იმ წერილში, რომლის შესახებაც მინდა ვისაუბრო (**„გრამატიკა", მამული, სარწმუნოება — „ლიტერატურული საქართველო", 10 მაისი, 1991 წელი**). რამდენადაც ჩემ შესახებ ავტორს აზრი უკვე ჩამოყალიბებული აქვს (ე. ი. ვარ ზედმეტად გულწრფელი და პირდაპირი), ამიტომ უფლებაც არა მაქვს, არ ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ ამ წერილის თაობაზე. ამას იმის ფიქრიც მაკეთებინებს, ხვალ არ დამწამოს ოპონენტმა, ხასიათს ხშირად იცვლისო!

ვიცი, რა მძიმე გზას შევუდექი, როცა პოლემიკაში ჩავერთე; მართლის მთქმელის ბედიც ვიცი, მაგრამ რადგან ერთხელ უკვე შეიკაზმა ცხენი, „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად" (ეს ციტატა „ანექსირებულ ტერიტორიებზე" მოვიპოვე!).

### სათაურის განმარტებისათვის

ბატონ გურამ ბარნოვს მადლობა მინდა მოვახსენო იმისთვის, რომ თავის წერილს „შეგონების" სახით სულხან-საბას არაკი დაურთო და მომაგონა იგი. მკითხველს ახსოვს: ერთი და იგივე ამბავი ერთს ატირებს, მეორეს — აცინებს. ბატონი გურამი მეორეს უჭერს მხარს — ცინიზმით, ირონიით, „იუმორით" ცდილობს თავისი აზრის მკითხველამდე მიტანას; სათაურიდან დაწყებული ბოლო ფრაზის ჩათვლით (სახელსა და გვარს არ ვგულისხმობ) დაცინვით უყურებს ენათმეცნიერებს და გამარჯვებულის ღიმილით შესცქერის მკითხველს. დიახ, თვითონ იცინის და შიგადაშიგ მკითხველის გაღიმებასაც ცდილობს („ადრე, ალბათ, განათლების სახალხო კომისარიატი ამტკიცებდა"..., „მაშინ იჩინა თავი ველიკოგრამატიკულმა შოვინიზმმა"... და სხვა მისთანანი, ე. ი. „ხუმრობანი"). ჩემი აზრით, თუ ავტორი მართლა ფიქრობს, რომ ისეა ვითარება, როგორც წარმოაჩენს, სასაცილოდ არ გვქონია საქმე; მოყვარე ამან არ უნდა გააცინოს... წერილის კითხვისას შეიძლება იმ მოკეთემ გაიცინოს, ობიექტურად ვინც შეაფასებს სიტუაციას და იტყვის, ეს რა დაუწერიაო... მაგრამ მაინც სატირალი უფროა საკითხის ასე დასმა, ვიდრე — საცინარი. რატომ? აი, ამის თქმა მსურს ამ წერილში.

### რატომ იცვალა გეზი პოლემიკამ?

დისკუსიას სრულიად გამოკვეთილი თემა ჰქონდა — როგორ ჩატარდეს წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში; ვეთანხმებით თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს. თავიდან, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა. ბოლო წერილებში გეზი შეიცვალა; თავი იჩინა სრულიად მოულოდნელმა თემამ: ვის ეკუთვნის პრიორიტეტი — ენათმეცნიერს თუ ლიტერატორს... თავისთავად, პირველი დიდი შეცდომა საკითხის ასე დასმაა: ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ორი სხვადასხვა დარგია მეცნიერებისა და ერთის მიერ მეორის „ტერიტორიების ანექსირება", სხვა რომ არა იყოს, უცნაურად ჟღერს. ამ საკითხს ქვევით კვლავ მივუბრუნდებით...

წინა წერილში („ლიტ. საქართველო", 12 აპრილი, 1991) ვწერდი: სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, კამათის რეალური საფუძველი სარეცენზიო წერილის მიღმა უნდა ვეძებოთ-მეთქი. მართლაც, ბატონი გ. ბარნოვის წერილში მისაღები გამოცდები სხვათაშორისაა ნახსენები, საბაბია მოულოდნელი თვალსაზრისის განსავითარებლად...

მისაღები გამოცდები რომ საბაბია, ამის დასტურად ერთ ფაქტს მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება — ოპონენტები დაჟინებით საუბრობენ „პროფ. ქ. დანელიას მოდელზე". წინა წერილშიც ვწერდი და ახლაც შევახსენებ მკითხველს: 1989 და 1990 წლებში ტექნიკურ უნივერსიტეტში მსგავსი მოდელით ჩატარდა მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ სიახლის ინიციატორი იყო კათედრა, რომლის გამგეც ბრძანდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ს. ცაიშვილი. რესპუბლიკურ პრესაში ამ სიახლის თაობაზე დაიბეჭდა პროფ. თ. ჯაგოდნიშვილის წერილები. მოდელი ასეთი იყო. აბიტურიენტს ეძლეოდა სამი საკითხი, **პირველი** შინაარსობრივი მასალის ცოდნას ამოწმებდა; **მეორე** ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზს მოითხოვდა და **მესამე** გრამატიკული მასალის ცოდნის გამოვლენას ითვალისწინებდა.

რა განსხვავებაა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტთან? მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის საბოლოო ვარიანტი ასეთია: აბიტურიენტებს წერით გამოცდაზე მიეცემა სამი საკითხი. **პირველი** ავლენს ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის ცოდნას. **მეორე** — მოითხოვს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს და **მესამე** გრამატიკული ცოდნის გამოვლენას ითვალისწინებს. როგორც ვხედავთ, ორი მოდელი იდენტურია. მესამე საკითხში გრამატიკული ცოდნის გამოვლენა ხდება განსხვავებულად: ტექნიკურ უნივერსიტეტში ტექსტი ეძლევა, რომელშიც მცდარი ფორმები უნდა გაასწოროს აბიტურიენტმა; სახელმწიფო უნივერსიტეტში — წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსურ გარჩევას სთხოვენ. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ უკანასკნელში ასეთ მოთხოვნას ჰუმანიტარებს უყენებენ (როცა გ. ბარნოვის წერილი გამოქვეყნდა, ეს გადაწყვეტილება კარგა ხნის მიღებული იყო).

რატომ დაერქვა, მაშ, მოდელს „ქ. დანელიას მოდელი"? ტექნიკურ უნივერსიტეტშიც კი ამჟამად აბიტურიენტები და მათი მშობლები „ქ. დანელიას მოდელს" უწოდებენ. რა ხდება? აი, რა: პროფ. ქ. დანელია არის ენათმეცნიერი, ხოლო ტექნიკურ უნივერსიტეტში დანერგილი სიახლის ინიციატორები — ლიტერატორები. გაკვირვებულმა მკითხველმა შეიძლება იკითხოს, ეს რა შუაშიაო. მეც ეს კითხვა მაწუხებდა, სანამ ბატონი გ. ბარნოვის წერილი გამოქვეყნდებოდა. არა მგონია, ამ შემთხვევაში „ქმული, ვეუბნებიან, რძალო, გაიგონეს" პრინციპით მოქმედებდნენ ოპონენტები...

ისიც გავიხსენოთ: ბატონი ქ. იმედაშვილის თაოსნობით „საკითხებით" ჩატარდა მისაღები გამოცდები უცხო ენათა ინსტიტუტში (ბატონი კობა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო)...

ამის თაობაზე წინა წერილშიც ვწერდი. რამდენიმე კითხვა დავსვი: „რეცენზენტს ეს ფაქტიც უნდა გაეანალიზებინა და მის შედეგებზეც ემსჯელა. თუ მხოლოდ უნივერსიტეტის აბიტურიენტთა ბედზე ზრუნვაა საქმე და ტექნიკური უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის მრავალათასიანი არმია აბიტურიენტებისა არ გვადარდებს? რატომ არ დაინტერესდა შემოთავაზებული თვალსაზრისის მოწინააღმდეგე რეცენზენტი ამ ფაქტით? ანდა რამ გამოიწვია და რა იყო მიზანი ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში ჩატარებული რეფორმისა? ახალგაზრდობის ბედით შეშფოთებული მოღვაწისათვის მხოლოდ უნივერსიტეტის ახალგაზრდობა არ უნდა იყოს ზრუნვისა და ფიქრის საგანი. თუ შველა სჭირდება და იღუპება ქვეყანა, ვუშველოთ სხვა უმაღლეს სასწავლებელთა აბიტურიენტებსაც". ჩემი წერილის შემდეგ ორი ვრცელი წერილი დაიბეჭდა (ბატონების რ. თვარაძისა და გ. ბარნოვის). ამ კითხვებს გვერდი აუარეს. რატომ? სხვა რა დასკვნა შეიძლება გააკეთოს კაცმა, თუ არა ის, რომ ებრძვიან არა პრინციპს, არამედ პიროვნებას—ენათმეცნიერს; **ვიტყვი შევცდი-მეთქი და საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს,** თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ ეს არის „ქ. დანელიას მოდელი" და გაუმართლებელია მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო სხვაგან — დასაშვები.

### ჩემი შენ გითხარიო...

აზრი, რომელიც წერილიდან წერილში გადადის, ასეთია: ენათმეცნიერები ერთმანეთში ურევენ ცნებებს — „ენა", „დედაენა", „ენათმეცნიერება", „გრამატიკა", სერიოზულად რომ ვეღარ „შეგვასმინეს", იუმორის თუ ირონიის ენაზე დაგვიწყეს შეგონებანი... „პროფესორი დანელია უკლებლივ ყველგან აიგივებს ცნებებს — „ქართული ენა" და „ქართული გრამატიკა" ან „გრამატიკა". მოკრძალებით შევახსენებ, რომ ასე არ არის" (რ. თვარაძე). „ახლა მე შევახსენებ ასევე მოკრძალებით, რომ დაახლოებით მეც ამასვე ვწერდი ამ ერთი წლის წინათ" (გ. ბარნოვი). „თვითონ (ე. ი. გ. გოგოლაშვილი) „ქართულ ენაში" დედაენის მისხალსაც აღარ გულისხმობს", — ბრძანებს გ. ბარნოვი და განაგრძობს, „სამწუხაროდ, **ბატონი გიორგი გამონაკლისი არ არის.** გამონაკლისი კი არა, **ყველა გრამატიკოსი,** ყველა წერა-კითხვის მცოდნე, ვისაც სკოლაში უვლია (დღევანდელ დღეს კი ვის აღარ უვლია სკოლაში), მით უფრო ყველა აბიტურიენტი **დარწმუნებულია, რომ „ენა" ნიშნავს მხოლოდ „გრამატიკას"** (ხაზი ჩემია — გ. გ.). კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! აქ გოგოლაშვილი და ბატონი აკაკი შანიძე ერთ ტაფაში მოაქცია ავტორმა. გოგოლაშვილისთვის კია ეს დიდი პატივი, მაგრამ რა ვუთხრათ „ჩვენი სასიქადულო მეცნიერის" (ბატონი გ. ბარნოვის სიტყვებია) ნათელ სულს? საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებს V-დან IX კლასის ჩათვლით „ქართული ენა" ჰქვია და მათი ავტორი, მოგეხსენებათ, აკაკი შანიძეა (თანაავტორები პროფესორები ი. იმნაიშვილი და ლ. კვაჭაძე). „დისციპლინა, რომელსაც „ენას" ვუწოდებთ და ვასწავლით, ფაქტიურად არის „გრამატიკა". აშკარაა, მოხდა ცნებების აღრევა", — ბრძანებს გ. ბარნოვი. დავიჯეროთ, მკითხველო, რომ ასეთ ელემენტარულ ცნებებს ურევდა „ჩვენი სასიქადულო მეცნიერი"? ხოლო თუ მართლა ურევდა, აღარ ყოფილა მაშინ სასიქადულო. ოპონენტს რომ საშუალო სკოლის პროგრამებში ჩაეხედა, ანდა სახელმძღვანელოები გადაეშალა, ნახავდა, რომ ბატონი აკაკი შანიძის სახელმძღვანელოებში საგნის **„ქართული ენა"** შემადგენელ ნაწილებად იგულისხმება — **ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკა და ფრაზეოლოგია, მეტყველების განვითარება, ძველი ქართული ენა.** ყველა აქ ჩამოთვლილი დასახელება სხვადასხვა კლასის სახელმძღვანელოში საერთო სათაურის — „ქართული ენა" — ქვევითაა მიწერილი საკმაოდ მოზრდილი შრიფტით. „გრამატიკა" კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ „მორფოლოგიასა" და „სინტაქსს" გულისხმობს.

რა დავარქვათ, მკითხველო, ამ ფაქტს? ენათმეცნიერები ურევენ ცნებებს? ოპონენტი რომ „ენას" და „დედაენას" აიგივებს და ჩვენ გვიკიჟინებს, სხვადასხვა ჰგონიათო, ამასაც არ ვიცი, რა ჰქვია სახელად. არა, შეიძლება ვიცოდე, მაგრამ... „დედა გრამატიკა", „ქართული დედაგრამატიკა და ლიტერატურა"... და საერთოდ სიტყვა „გრამატიკის" მეშვეობით ჩატარებული თამაშობანი მხოლოდ ტენდენციურ და საქმეში ჩაუხედავ კაცზე მოახდენს გამიზნულ ეფექტს; მაგრამ ობიექტური მკითხველიც ხომ არსებობს? ხომ არ სჯობია, მათთვის ვწეროთ? ჩემგან ვის რა ესწავლება და, დასკვნა რაც უნდა კატეგორიული იყოს, მკაცრად და ხელაღებით გაკეთებული, ჭეშმარიტებას ვერ გაარკვევს, თუ არგუმენტირებული არაა: ასეთ კამათში არა თუ იბადება, იკარგება ჭეშმარიტება; „მაგრად" თქმა არ ნიშნავს სიმართლეს...

„ანდაზა სხვაა, გამოცანა სხვაა" — ამ მოტივზე არ შეიძლება მღერა „ენა სხვაა, გრამატიკა სხვაა", რადგან საქმეში ჩახედული მკითხველი ვერ დაინახავს, „შუა უძევს დიდი ზღვარიო"... მაპატიოს მკითხველმა ამ თემაზე სიტყვის გაგრძელება. დაინტერესებულ კაცს შეუძლია ნებისმიერ ცნობარში, ლექსიკონში (რა თქმა უნდა, თემატურში) ჩაიხედოს და ნახოს განმარტებანი ცნებებისა „ენა", „ენათმეცნიერება", „დედაენა", „გრამატიკა" და შეადაროს, რა მნიშვნელობით ხმარობენ ოპონენტთა მიერ შერისხულნი ამ სიტყვებს. თუ შემთხვევითი ლაფსუსი ან უზუსტობა არაა გაპარული, უსაგნო ბრალდებაც მოგვეხსნება.

თუ ოპონენტები იმას გულისხმობენ, რომ საშუალო სკოლის პროგრამები გადატვირთულია გრამატიკის თეორიული საკითხებით და გადახალისებაა საჭირო, სავსებით ვეთანხმები. მაგრამ განა ამ საკითხზე მათ ენათმეცნიერთა აზრი არ მოუსმენიათ, არ წაუკითხავთ? ბატონი გ. ბარნოვი თავად იყო მოწმე, რა დაჟინებით მოითხოვდნენ ენათმეცნიერები ქართული ენის პროგრამების გამარტივებას, გადახალისებას, შეცვლას ოფიციალურ შეკრებებზე. თუ არაფერი შეიცვალა, იმათ ვედავოთ, ვისი ბრალიცაა. მხარდაჭერა გვჭირდება ამ შემთხვევაში და არა თავდასხმა. მაგრამ, სამწუხაროდ, იქ, ოფიციალურ შეკრებებზე, ეს მხარდაჭერა არ გვიგრძვნია. რატომ? ამ დღეს ველოდით, როცა მოგვეცემოდა შესაძლებლობა დაპირისპირებისა? და განა ქართული ლიტერატურის პროგრამებში ყველაფერი რიგზე იყო, ანდა რიგზეა? ამან ათქმევინა ვინმეს, ლიტერატურისმცოდნეებმა ლიტერატურა არ იციანრაო, ანდა უარვყოთ ეს საგანიო?

ნუ იტყვით, ბატონო გურამ, შეგვაგონებსო, უბრალოდ ჩემს აზრს ვამბობ: ერთი ოჯახის წევრთა შორის გაუცხოება არ უნდა მოხდეს, მით უმეტეს — კონფრონტაცია; მუნდირების გადახაწილება და საკუთარი მუნდირის დაცვის მიზნით სხვისი მუნდირის ხელყოფაც ვერაა მოსაწონი საქმე. ნუ ათქმევინებთ ლიტერატურას, ავ მოკეთეს კარგი მძაგებელი მირჩევნიაო. ფილოლოგია ის ოჯახია, რომელშიც ენათმეცნიერიც და ლიტერატორიც შეთანხმებულად ცხოვრობდნენ. ჯ. კეკელიძე ბრწყინვალე ენათმეცნიერულ შრომებსაც თუ წერდა და ლიტერატურული საკითხების კვლევისას იყენებდა ენათმეცნიერულ მონაპოვარს, ანდა ა. შანიძე ბრწყინვალედ გამოსცემდა ლიტერატურულ თუ ფოლკლორულ ძეგლებს და იკვლევდა მათ, ამას სიკეთის მეტი არა მოუტანია რა... დღეს კი? ტოტალიტარული რეჟიმის მომხრე ენათმეცნიერება ახდენს ლიტერატურის ტერიტორიების ანექსირებას! ნუ გაიცინებ, მკითხველო...

### „არ ვხედავ ჟამთა ცვლას"...

ავტორის მიზანი ერთია: ყველანაირად ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ენათმეცნიერები ისეთ საქმეს აკეთებენ, რაც მათი საკეთებელი არაა; სხვის მიერ იძულებით დათმობილი ტერიტორიები „ოპერატიულად დაიკავა ენათმეცნიერებამ"; „მანქურთების" აღზრდის პოლიტიკამ და პრაქტიკამ თავისთავად მოითხოვა ლიტერატურის ფაქტიური უარყოფა"; „ლინგვისტიკა ცდილობს ანექსირებულ ტერიტორიებზე საკუთარი მართლწესრიგის დამყარებას"; ამ დროს „საკუთარ მეურნეობაშიც არა აქვს ყველაფერი მოწესრიგებული"; „თავი იჩინა ველიკოგრამატიკულმა შოვინიზმმა"; „ამ დალოცვილებმაც (გრამატიკოსებზე მოგახსენეთ), ძალიან მალე აუღეს ალღო ტოტალიტარიზმის ბუნებას [illegible] სახით. არცთუ შორეული ეპოქის პრაქტიკიდან ნასესხები მეთოდებით ამგვარ ბრალდებას მაშინ ჰქონდა გასაქანი, როცა კითხვის — „რატომ?", „როგორ?" — დასმა არ შეიძლებოდა. მთავარი იყო ბრალდება, შემდეგ „ტროიკა" წყვეტდა ბრალდებულის ბედს. დაიგმო, ბატონო გურამ, ასეთი პრაქტიკა და დღეს დასაბუთებას ითხოვენ ყოველგვარი ბრალდებისას. თქვენ უბრალოდ ეს გამოგრჩათ მხედველობიდან და ამიტომ ამთავრებთ თქვენს წერილს საზეიმო შეძახილით: „ასე, ჩემო ბატონო რევაზ!" მაგრამ არ არის ასე, ბატონო გურამ! მე არ ვიცი, თქვენ სერიოზულად გიფიქრიათ თუ არა ყოველივე იმის თაობაზე, რაც დეკლარაციების სახით ბრალდებად წაუყენეთ ენათმეცნიერებას. და თუ გიფიქრიათ სერიოზულად, თუ ცდილხართ მის დასაბუთებას, არგუმენტირებულ მსჯელობას თითოეულ ბრალდებაზე? რა თქმა უნდა, არც ცდილხართ და ნურც ეცდებით. ამგვარი რამ, რასაც თქვენ ბრძანებთ, არ მომხდარა, არ არსებობს და არმომხდარისა და არარსებულის მტკიცება წყლის ნაყვაა. თუ თქვენ ამ პრინციპით აქვეყნებთ ბრალდებებს — მე ვიტყვი და მერე იმათ ამტკიცონ, რომ ასე არაო — აქაც გაგიმტყუნებთ იმედს. ერთი მეგობარი ლიტერატორი ხუმრობდა თავის ნაცნობზე (გამომცდელზე): ასე შერებაო, თუ შეიტყობს, რომ აბიტურიენტი კარგი მცოდნეა, იმას ეკითხება, რაც თვითონ არ იცის და ამით ივსებს ნაკლულ ცოდნისო... კარგი მეთოდია, არა?..

თქვენ შეგიძლიათ ბრძანოთ, ვიხუმრეო (ხშირად „ხუმრობთ" ამ წერილში), მაგრამ თქვენივე მეთოდით, მოკრძალებით შეგახსენებთ, რომ ასე არ ხუმრობენ...

### დაგვაწერინებს „ვეფხისტყაოსანს" გრამატიკის უგულებელყოფა?

ენათმეცნიერებს თავიანთი საქმისათვის ვერ მოუბამთ თავი („საკუთარ მეურნეობაშიც არა აქვს ყველაფერი მოწესრიგებული") და სხვის საქმეში ერევიანო („ლინგვისტიკა ცდილობს „ანექსირებულ ტერიტორიებზე" საკუთარი მართლწესრიგის დამყარებას") — ეს ერთ-ერთი ძირითადი თეზისია ბატონი გ. ბარნოვისა. აქ ავტორი „მიუკერძოებელი" და შეუწყნარებელია „ოკუპანტების" მიმართ. მოვუსმინოთ: „ჩვენი გრამატიკოსები სიტყვით დღემუდამ იბრძვიან ყოველივე უცხოურის წინააღმდეგ, ვთქვათ, კალკების წინააღმდეგ, მაგრამ თვითონვე ცდილობენ სხვა ენებიდან ისეთი წესების გადმოღებას, რომლებიც ჩვენი ენის ბუნებას ვერ ესადაგებიან". ასომთავრულის შემოღების მცდელობა მოჰყავს მაგალითად. პრინციპულობაც ამას ჰქვია! რადგან ქვეყანა იქცევა, ა. შანიძე და ქ. გამსახურდიაც არ უნდა დავინდოთ. რადგან ეს საკითხი — ასომთავრულის შემოღებისა — მათ დასვეს, ისინიც ქვეყნის დამაქცევარი „გრამატიკოსები" (ბრჭყალებში ვსვამთ იმიტომ, რომ ვხმარობთ ავტორისეული გაგებით) არიან. ყველა-ყველა, მაგრამ ა. შანიძესა და ქ. გამსახურდიას ჩვენგან არ ესწავლებოდა ის, რომ „ყველა დაწინაურებული ენა მართლწერის მაქსიმალურ გამარტივებას ცდილობს"...

თქვენ ბრძანებთ: „მისი (გრამატიკის — გ. გ.). ამჟამინდელი „ზეობის" ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მას უამრავი კანონი აქვს. ხოლო ჩვენ დიდი ხანია რაც კანონთა სიმრავლეს შევეჩვიეთ. ამ დალოცვილებმა (გრამატიკოსებზე მოგახსენებთ), ძალიან მალე აუღეს ალღო ტოტალიტარიზმის ბუნებას და დეკრეტების სახით იმდენი კანონი გამოგვიცხადეს"... ჯერ ერთი, ბატონო გურამ, კანონები ენას აქვს, ენათმეცნიერება ამ კანონებს იკვლევს.

ის, რომ ენის კანონთა კვლევა ხდება და შესაბამისად — ნორმათა დადგენა, ტოტალიტარიზმის ბუნებისადმი ალღოს აღება კი არ არის, ნებისმიერი კულტურული ენის არსებობის აუცილებელი პირობაა. მოვუსმინოთ კლასიკოს მწერალს: „ენა ხომ ხალხის

(დასასრული მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

საკუთრებაა. მისი ერთობლივი მეტყველება. ამ მეტყველებას ერთნაირი ყალიბი უნდა, ერთ დიდ ხუროთმოძღვრების გეგმაზე აგებული. ვინ იქნება ეს ხუროთმოძღვარი? მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენცია... ამიტომ ძლიერ საშუროა ამ კონფერენციის მოწვევა. ცხადია, მართლწერის კონფერენციის დასკვნებს ხელისუფლება დააკანონებს და აღსდგება ქართული ენის სისადავე და მშვენება" (კ. გამსახურდია). ამგვარი კონფერენციის მოწვევის აუცილებლობის საკითხი არც მიხეილ ჯავახიშვილისთვისაა საეჭვო, თუმცა იგი ვადებს აზუსტებს: „სადაო ბევრი დაგვიგროვდა. ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა. დაირღვა საერთო გრამატიკა, დაიშალა მთლიანი ქართულიც, და მისი აღდგენისათვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მცოდნეთა კონფერენციისა. ჩემი რწმენით კონფერენციის მოწვევა ნაადრევია... და როცა ძალთა ურთიერთობის წყალობით დამკვიდრდება ცხადი უპირატესობა ამა თუ იმ ფორმებისა, კონფერენციამ მაშინღა უნდა დაადასტუროს არსებული ფაქტი". ასე რომ, ის „გამოცხადებული კანონები" საჭირო ყოფილა, ფორმათა სიმრავლეს ანარქია შემოაქვსო — კლასიკოსი მწერალი ბრძანებს და არა „გრამატიკოსი". ამ ფონზე სრულიად გაუგებარია, რას გულისხმობთ: „ჯერ მარტო ზმნის პარალელური ფორმებისადმი გრამატიკოსების დამოკიდებულება რად ღირს!"

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თქმული რომ შეგვახსენეთ მოკრძალებით, რისი თქმა გსურდათ ამით? ჯერ მოვუსმინოთ ბატონ არნოლდს (ციტატა მოგვყავს თქვენივე შემოკლებით): „ენა არ შეიძლება კაცმა ისწავლოს გრამატიკის მეშვეობით"... და მხოლოდ მაშინ, „როცა სტუდენტი პრაქტიკულად გაიწაფება ენაში, გრამატიკის ძირითადი წესები პრაქტიკულ ცოდნას გააზრებინებს". თქვენ პატივცემული მეცნიერი იმისათვის დაიმოწმეთ, რომ გრამატიკა ზედმეტიაო. ბატონი არნოლდი კი პირიქით ამბობს: გრამატიკა აუცილებელია, რომ ენის პრაქტიკული ცოდნის გააზრება მოხდესო. როგორ ფიქრობთ, გააზრებული ცოდნა სჯობია თუ გაუაზრებელი?

და კიდევ: როცა არნ. ჩიქობავას ნაშრომებში თქვენთვის საჭირო ციტატებს დაუწყებთ ძებნას, ასეთ რამეს ნუ აუვლით გვერდს: „ვეფხისტყაოსანი" იმ დროს დაიწერა, როდესაც ქართული ენის გრამატიკული წყობა და სათანადო კანონზომიერებანი არ ყოფილა გარკვეული. აქედან ის დასკვნა ვერ გაკეთდება, თითქოს მწერალს ენის კანონზომიერებათა ცოდნა არ სჭირდებოდეს, ანდა თითქოს გრამატიკის ცოდნის უგულებელყოფა „ვეფხისტყაოსნის" დაწერას შეგვაძლებინებდეს. ყველაფერსა და ყველას თავისი ადგილი აქვს".

## „ინტელიგენტური ბაასი" თუ „მოახლური გაქიშპება"

ავტორი ბრძანებს, ენათმეცნიერების შიშით „ხელში კალმის აღებისა და უბრალო წერილის დაწერის ეშინია კაცს, აქაოდა შეცდომა არ მომივიდესო." „თვითონ მათ (ე. ი. ენათმეცნიერებს — გ. გ.) კი შეცდომებისა, როგორც თქვენ დარწმუნდით (ბატონ რ. თვარაძეს მიმართავს — გ. გ.) და მომავალშიც კიდევ არაერთხელ დარწმუნდებით, სრულებით არ ეშინიათ (ალბათ, რაკი კანონმდებლები თვითონ არიან)". ჯერ ერთი, რასაც თქვენ შეცდომებად მიიჩნევთ, ენის კარგი მცოდნე დაგვეთანხმება, ნამდვილად არაა შეცდომა... თუმცა, ეს სხვა საკითხია. მთავარი ისაა, რომ ამ ბოლო ხანებში გახშირდა გაღმა შედავების შემთხვევები; ის კი გვავიწყდება, რომ გაღმა შედავება გამოღმა მოსაგვარებელ საკითხებს არ უშველის. ერთ ნაწყვეტს შეგახსენებთ აკაკი წერეთლის მოგონებიდან: „ერთხელ სადილად ვიყავი იმასთან (ივანე მაჩაბელთან — გ. გ.) და სუფრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი შექსპირის შესახებ. ვანომ სთქვა: მეფე ლირი პირდაპირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულზე გადაღებულიო! — პირდაპირ ინგლისურიდან რომ არის ნათარგმნი, ეტყობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს-მეთქი, ვუპასუხე მე. — გაცხარდა. წამოვარდა ზეზე, შეიჭრა მეორე ოთახში, გამოიტანა წიგნი და დამიგდო წინ... აბა გვიჩვენე შეცდომებიო! პირველ გვერდზევე მივუთითე. გადააბრუნა მეორე, აქაც აღმოჩნდა... ჩაჰყვა ამგვარად და რომ გამტყუნდა, მითხრა: „რა ვუყოთ მერე, განა შენს ნაწერებში კი არ არის შეცდომები თუო?" მე სიცილი დავიწყე და ვუთხარი: .აქ სიტყვა ჩამოვარდა მეფე ლირზე და მეც მიტომ ვამბობ! და როცა ჩემ ნაწერებზე გადახვალთ, რა იცით, რომ აქაც არ დაგეთანხმებით? — მერე კიდევ, განა ერთის უვარგისობა ამართლებს მეორისას? მე რომ ქართული კარგათ არ ვიცი, ნუთუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ? ამგვარი ბაასი ინტელიგენტური ბაასი კი არ არის, მოახლური გაქიშპებაა-მეთქი". დაეჯერება, ალბათ, აკაკი წერეთელს.

გუსტავ ფლობერის გატაცება — „ლინგვისტური ნაშრომებიდან კრებდა ენობრივი შეცდომების ნიმუშებსო" — დროის კარგვა მგონია მე. აი, რატომ: „ენა ისეთი უცნაური ფენომენია, რომ არც ერთი, თვით სიტყვის უდიდესი ოსტატიც არაა დაზღვეული, რომ მას თუნდაც ერთ-ორჯერ რაიმე ლაპსუსი, ან შეცდომა არ გაეპაროს" (კ. გამსახურდია). უნდა დავიჯეროთ და ნუ დავკარგავთ დროს ენათმეცნიერთა ნაშრომებში შეცდომების ძებნით: პრობლემას ეს არ გადაჭრის.

## რამ შეჭამა ციტატა?

ბატონ გურამს ჩემი ციტატა მოჰყავს — „საგანს ჰქვია „ქართული ენა და ლიტერატურა", პირველ ნაწილს — „ქართული ენა", ხოლო მეორე ნაწილს — „ქართული ლიტერატურა" — და აკეთებს დასკვნას: „ხედავთ, ბატონო რევაზ, რაში ყოფილა საქმე? რაკი პირველ ნაწილს ჰქვია „ქართული ენა", ხოლო მეორე ნაწილს — — „ქართული ლიტერატურა", შესაბამისად, პირველი ნაწილი უფრო მთავარია, ხოლო მეორე ნაწილი — შედარებით ნაკლებ მთავარი". არადა, ჩემი ციტატის წინა (აქ მოკვეცილ) ნაწილში იმაზე იყო საუბარი, რომ მისაღები გამოცდების პროგრამებშია-მეთქი ასე დაბეჭდილი. ფაქტზე მივანიშნე და, რა თქმა უნდა, ამგვარი დასკვნის გაკეთება ჩემგან უაზრობა იქნებოდა. ბატონმა გურამმა ციტატა ისე მოწყვიტა ტექსტს, შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ასეთი კლასიფიკაცია მე მოვახდინე. რატომ? ასე იყო საჭირო! თორემ პროგრამაშია ასეო, რომ ეთქვა და ეს დასკვნა გაეკეთებინა, ხომ შეიძლება რომელიმე აბიტურიენტს ეკითხა — ბიოლოგიის პროგრამაში პირველი რომ **მცენარეებია**, მეორე — **ცხოველები** და მესამე — **ადამიანი**, ეს იმას ნიშნავს, რომ **მცენარეები „უფრო მთავარია", ცხოველები „შედარებით ნაკლებ მთავარი", ხოლო ადამიანი კიდევ უფრო ნაკლებ მთავარი?** — დაეთანხმებოდა? სამწუხაროდ, საკუთარი აზრის ჭეშმარიტებად გასაღების სურვილმა „შეჭამა" ციტატა...

ავტორი ბრძანებს: „მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ბატონი გ. გოგოლაშვილის მიერ მოხმობილი ციტატა ზეპირი გამოცდის პროგრამიდანაა"... როგორც ჩანს, ოპონენტმა ან აღარ ჩაიკითხა ბოლომდე, ანდა „შეიჭამა" ციტატა. მე ვწერდი: „წერით გამოცდაზე ენობრივი საკითხის შემოტანა არ არის საპროგრამო მოთხოვნის დარღვევა — პროგრამაში არაა მითითება იმის თაობაზე, მხოლოდ ზეპირად ჩაბარდესო „ქართული ენა". ეს არაა ერთეული ფაქტი; გახშირდა დასკვნების გაკეთება ასეთი წანამძღვრების საფუძველზე: ასე მითხრა ვიღაცამ, გამოცდებზე მხოლოდ ენათმეცნიერები არიანო; რამდენადაც მახსოვს, ასეაო... ჩემგან ვის რა ესწავლება, მაგრამ როცა სერიოზულ დასკვნებს ვაკეთებთ, მით უმეტეს, თუ ბრალს ვდებთ ვინმეს რამეში, ფაქტების შემოწმება სჯობს ყურმოკრულზე დაყრდნობილ მსჯელობას.

## პასუხი შეკითხვებზე

ბატონი გ. ბარნოვის წერილში რამდენიმე რიტორიკული კითხვაა დასმული. ვფიქრობ, ზოგ მათგანზე პასუხი მაინც საჭიროა.

**კითხვა:** „საინტერესოა, აბიტურიენტმა რომ დაწეროს: „კაცმა მოვიდა", დედაენის არცოდნაში ჩაეთვლება, თუ „ქართული ენის საკითხების" „არცოდნაში?"

**პასუხი:** გააჩნია, ბატონო გურამ, რა ეროვნებისაა აბიტურიენტი; თუ არაქართველია, მაშინ არ ჩაეთვლება „დედაენის არცოდნაში", ხოლო თუ ქართველია, დედაენის არცოდნად ჩაეთვლება.

**კითხვა:** „მართალია, აუცილებელია აზრის გამოთქმისა და წერის წესების ცოდნა, მაგრამ პირველ რიგში მაინც სათქმელი უნდა ჰქონდეს ადამიანს. ასე არ არის, ბატონო რევაზ?"

**პასუხი:** ნუ შეაწუხებთ ბატონ რევაზს ასეთ მარტივ საკითხზე, მეც გიპასუხებთ: ნამდვილად ასეა!

**კითხვა:** „ნუთუ, აკადემიკოს აკაკი შანიძის ცნობილი მონოგრაფიის სათაური — „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები" — არაფერს ეუბნებათ?"

**პასუხი:** როგორ არა, ბატონო გურამ, შეგვახსენებს, რომ ის, რაც ბატონმა აკაკი შანიძემ და მისმა ნაშრომებმა გვასწავლეს, მთლად არ უნდა დავივიწყოთ.

**კითხვა:** „მგონი ის დროც დგება, „დედაენა" შეიცვალოს „დედაგრამატიკით", განა ცუდად ჟღერს: წერითი გამოცდა „ქართულ დედაგრამატიკასა და ლიტერატურაში"?!

**პასუხი:** წერილის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ აქ არ ხუმრობთ და მართლა გჯერათ, რასაც ამბობთ. კითხვაზე კითხვით არ უპასუხებენ, მაგრამ მომიტევეთ: რომ ბრძანებთ, „დედაენა" შეიცვალოს „დედაგრამატიკითო" და საგნის სახელწოდების თქვენეულ ვარიანტს გვთავაზობთ, რომ არ შეგეცვალათ, ასე იქნებოდა: გამოცდა „ქართულ დედაენასა და ლიტერატურაში". „ქართული დედაენა" ძალიან მოგწონთ?

**კითხვა:** „წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩააგდებდნენ აბიტურიენტს... მსგავსი ფორმა („დისაგანცა უფრო დესი" — გ. გ.) რომ ეხმარა"?

**პასუხი:** საინტერესოა, ამ შემთხვევაში რუსთაველთან რომ ატოლებთ, აბიტურიენტს უკეთებთ გულს და აგყავთ მის სიმაღლეზე, თუ რუსთაველს ამდაბლებთ ჩვეულებრივი აბიტურიენტის დონემდე? ეს ნაძალადევი გაშარჟება მავანისა და მავანისა, რუსთაველს ხომ არ შეურაცხგვაყოფინებს? როცა თქვენ გამოცდაზე ბრძანდებით, ასეთ ფორმებს — უუდიადესი, აგიყოვდება, მოიდა, მაუდის... — არ ასწორებთ აბიტურიენტთა ნაწერებში (რა თქმა უნდა, თუ ციტატაში არაა)? მეეჭვება.

და ბოლოს, თქვენ რომ ასეთი შეკითხვა დაგესვათ, რამდენი უცნაური აზრი შეიძლება დაიტიოს ერთმა წერილმაო, გიპასუხებდით: გააჩნია წერილს, გააჩნია ავტორს...

## ბოლოსიტყვა

სულო ცოდვილო, რა დაგიმალოთ და, ისიც კი ვიფიქრე, რომ ბატონი გ. ბარნოვის საპასუხო წერილს ბატონი რ. თვარაძე დაწერდა. აი, რატომ: ბატონი რ. თვარაძე ბატონ გურამს მის მიერ დასმულ საკითხებში თანამოაზრედ გამოჰყავს: „დაახლოებით მეც ამასვე ვწერდი (ე. ი. რასაც თქვენო — გ. გ.) ამ ერთი წლის წინათ"..., „ვინ დაგვიჯერებს, ბატონო რევაზ!" „მოდით, ორივემ ერთად ახლა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მიერ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თქმული შევახსენოთ...", „იყოს ისე, როგორც გადავწყვიტეთ...", „გულუბრყვილოდ გჯერა, რომ ახალი სახელწოდება მხოლოდ დროებითია..." რამდენადაც მე ბატონი რ. თვარაძის შემოქმედებას ვიცნობ, მეგონა ეტყოდა: „არაა ასე, ჩემო ბატონო გურამ!". მაგრამ არც ის მიკვირს, რომ არ უპასუხა: ქართველები ვართ და, როცა კაცი გეფიცება პატივს გცემო, გეთანხმები, შენი თანამოაზრე ვარო — ძნელია ამ დროს საჯაროდ გაემიჯნო მას... თორემ, დარწმუნებული ვარ, ამ წერილში წარმოდგენილ აზრთა თანაზიარობა სასიამოვნო არ უნდა იყოს ბატონი რ. თვარაძისათვის. გული მიგრძნობს, რომ „დახურულ წერილში" მაინც ითქმება სიმართლე.

ერთიც: როცა ეს წავიკითხე — „ბატონო რევაზ, კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ იმას უკვე დახურულ წერილში გეტყვი" — რა დაგიმალოთ და, ვიფიქრე: ჯობდა ეს „ღია წერილი" დაეხურა ავტორს და თუ რამ სასიკეთო იქნებოდა შიგ, დაპირებული „დახურული წერილი" გაეხსნა.

15 მაისი, 1991 წელი.

# რამდენიმე ფურცელი სპირიდონ კედიას ცხოვრებიდან

სპირიდონ კედია მამაჩემის, სარგის კაკაბაძის გიმნაზიის ამხანაგი იყო. 1905 წლის გამოსვლებში მონაწილეობის გამო მას დაეძებდა ჟანდარმერია. მისი ამხანაგები დაიჭირეს და ციმბირს გადაასახლეს. სპირიდონ კედია ერთხანს იმალებოდა, შემდეგ კი, მან მოახერხა და საზღვარგარეთ გაიქცა.

1914 წ. ის ფარულად დაბრუნდა თბილისში და ასევე ფარულად ცხოვრობდა სარგის კაკაბაძესთან. სარგის კაკაბაძემ ვექილ კანდელაკის მეშვეობით გამოარკვია, რომ საქმე შეწყვეტილი არ იყო, ე. ი. სპ. კედიას ეძებდნენ და ჟანდარმერიას რომ აღმოეჩინა იგი, მაშინვე პასუხისგებაში მისცემდნენ. ცხადი გახდა, რომ სპ. კედია ისევ საზღვარგარეთ უნდა წასულიყო. ამისათვის კი სახსრები იყო საჭირო, რომელიც მათ არ ჰქონდათ. დახმარებისთვის მიმართეს თავადაზნაურობის წინამძღოლ კოტე აფხაზს. სარგის კაკაბაძე მივიდა კოტე აფხაზთან და მას გულახდილად გაანდო საქმის ვითარება. თავადაზნაურობის წინამძღოლმა 150 მანეთი გაიღო.

სპირიდონ კედიას ცხოვრების კიდევ ერთ ფურცელს გვიშლის მისი წერილები, რომლებსაც ის, სტუდენტი, პარიზიდან ვენაში უგზავნის სტუდენტს სარგის კაკაბაძეს (1907 წ).

ლია კაკაბაძე

**მეგობარო სერგო!**

თუ ცოტაოდენ ანგარიშს გაუწევთ იმ მრავალფეროვან სულიერ მოთხოვნილებას ჩვენი ხალხისას, არ შეგვეძლება ყრუდ დავრჩეთ მის სამართლიან მოთხოვნაზე. ყველაზე უფრო მოვალეობა გვაწევს ჩვენ მოსწავლე მზარდ თაობას და უკვე სამოქმედოთ გამოსულ ინტელიგენტურ ძალებს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის არც ერთში ამ ორ სფეროდან არ გაჩენილა აქტიური მოძრაობა ამ საქმისათვის, ამ მიზნისაკენ. ეხლა, როდესაც მოთხოვნილება ძალზედ მომწიფებულია, როდესაც ნიადაგი მზად არის ჩაითესოს მშობლიურს ნიადაგზე სწავლა-მეცნიერების თესლი, ეხლა, ასეთ დიდებულ მომენტში მოვალეობა ერთი ორად გვემატება და ჩვენც რომელსამე გზით მაინც უნდა ვემსახუროთ ჩვენი ღარიბი მწერლობის გამდიდრების საქმეს. თუ გინდ, მაგალითად, თარგმნითი საქმის მოგვარების მხრივ აბა რა დიდი სინაკლულეა ამ მხრივ ჩვენ მწერლობაში. ცოცხალი სამეცნიერო, ისტორიული, სახალხო პოპულარული მეცნიერული წიგნების გამოცემა ჩვენს ენაზედ დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ხალხის იდეურათ მომწიფების საქმეს. სწორედ ამ მიზნით აქ, პარიზში, ქართველ სტუდენტთა შორის შესდგა მთარგმნელთა საზოგადოება, რასაკვირველია, უპარტიო. ამ საზოგადოების მიზანია საუკეთესო ნაწარმოები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, თუ ისტორიიდან სიტყვა კაზმულ მწერლობიდან, ერთი სიტყვით, ადამიანის გონების შემონაქმედიდან სთარგმნოს და გამოსცეს. ამ ნიადაგზე აქტიური მუშაობის სურვილი ბევრმა განაცხადა. ხუთი, ექვსი უკვე გამოცდილი დახელოვნებული მთარგმნელებია, რომელთა ნათარგმნი გამოსაცემათ ივარგებს. სხვები გაუწაფელი და ენის არმცოდნენი არიან, მაგრამ შავ მუშაობას დღიდან საზოგადოების დაარსებისა (10 იანვ.) შეუდგნენ. ყოველ კვირა დღე თითეულს მოაქვს კრებაზე თავისი კვირეული თარგმანი, იქ კითხულობენ, ერთმანეთს უსწორებენ და ასთე ამგვარად იწაფებიან. სურვილი აქვთ, კიდეც მუშაობენ და იმედი მაქვს, ერთი წლის ასეთი მუშაობის შემდეგ, როდესაც ამხანაგები გაერჩევიან, ექვსი კაცის ნაცვლათ ათიც გვეყოლება პარიზში. აზრად გვაქვს მივმართოდ უცხოეთში მყოფ ქართველობას, ამ ნიადაგზე კავშირით შევეკრან, რომ ამ გვარად დაარსდეს ერთი დიდი ქართველ სტუდენტთა საზოგადოება უცხოეთში, რომელიც შეკრული იქნება ამ იდეური კავშირით. აზრად გვაქვს, აგრეთვე, საზოგადოებასაც მივმართოთ დახმარებისათვის, მივმართოთ კერძო პირებსაც... მაგრამ ასე აშკარად გამოსვლა სცენაზე, ჯერ კიდევ როდესაც არც ერთი ნათარგმნი ხელთ არა გვაქვს, სულწასულობათ მიმაჩნია და კიდეც გადავდევით. ასეთი გულის ამატოკებელი რეკლამები და წამოწყებულებანი ჩვენში ბლომად არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ფრიად უფერული, უსიცოცხლო და დაუბადებლათ კვდება. ამიტომ ჯერ გვინდა ასეთ ჩუმ მუშაობაში ვიყოთ და წლის ბოლოს, როდესაც თარგმნები ხელთ გვექნება, მეტის რეზონით და გაბედვით შეგვეძლება მივმართოთ როგორც კერძო პირთ, აგრეთვე საზოგადოებას. ეხლა შენ ეს აზრი შეიტანე ამხანაგობაში თუ კი იქ არის ისეთი წრე, რომელიც რეალურ მოთხოვნილებას ჩაკვირვებულია. თუ იქ შეძლებთ ასეთ წრის შედგენას და გაუძლვებით შეერთებულის ძალით, დიდი სასარგებლო და სასიხარულო იქნება. ხოლო შენ კი ყოველს მიზეზის გარეშე ქართველური დაუდევრობა გადააგდე, იცი, ჩვენი მკვლელია. შეუდექი თარგმნას ისეთ წიგნისა, რომელსაც საჭიროთ სცნობ. მკითხველთა ორ კატეგორიას უნდა შეუწყოთ ჩვენი თარგმნები, მოსწავლე ახალგაზრდობას და ხალხს. აბა გადაგვარებულ ინტელიგენციას ვერ ვემსახურებით. ამისათვის გადამეტებულ სპეციალურ საგანს ჯერ მაინც ადგილი არ უნდა ქონდეს. მაცნობე თქვენი განწყობილება მანდ ერთმანეთშორის. მომწერე ლეობენში ვინ არიან, შეიძლება იქ საქმის მოწყობა. პასუხი გამე. საქმეს შეუდექი, თარგმნე. სალამი ჩვენებს, მექისა და ნინას სალამი. მგალობლიშვილს მოკითხვა.

საშა ჯავახიშვილმა, თუ გაგონდება, სალამი შემოგითვალა.

შენი სპ. კედია.

ადრესი: M eur Keïdia 23, Rue de la Placière Paris

**ძმაო სერგო!**

შენი წერილი დღეს მივიღე. სამწუხაროდ დამირჩა ის გარემოება, რომ ვენელი ქართველები ასე რიგათ აშლილი და მტრულ არა ამხანაგურ ურთიერთობაში ყოფილხართ. ეს სენი ყოველგან დევნის შავ-ბედიან ქართველს. იშვიათია ისეთი ქალაქი უცხოეთში, სადაც ხუთი ექვსი კაცი მეტი იყოს თავწაყრილი და მათ შორის ეს დამღუპველი კინკლაობა — ნაყოფი მოქალაქეობრივი მოუმწიფებლობისა და კაცურ დანიშნულების გაუთვალისწინებლობისა არ გაჩნდეს, არ დაბუდდეს. ჩემი ბრალია, რომ არ გაგაფრთხილე, უკეთესი იქნებოდა ასე მოქცეულიყავი და კარგი იქნება, შემდეგშიც ამ ნიადაგზე იმუშავებდე: ვისაც შენ იცნობ ამ საქმისათვის გამოსადეგად — და მოგეხსენებათ ამ საქმისათვის ყველა en masse არ გამოდგება, არამედ ზოგიერთები ენის მცოდნენი — იმათ მოუხმობდე და ვიწრო ამხანაგურ წრეს დაიარსებდეთ, თუნდ თარგმანების გადასასინჯავათ. სერგო! გვინდა გამოვაქვეყნოთ იმ წიგნების სია, რომელიც ამ ამხანაგობაში ითარგმნება, რომ სხვები გავაფრთხილოთ და უიმისოდაც ნაკლები მუშა ძალები ერთი და იმავე წიგნს არ შევალიოთ. შენც გვაცნობე დაჩქარებით სათაური შენგან აღებული წიგნისა და მისი ავტორი. მითხრეს ნათიძე და ოქროპირიძე გამოდგებიანო. რა განწყობილებაში ხარ მათთან. მათი ადრესი გვაცნობე. სალამი მექის და მის მეუღლეს. სალამი სხვებსაც.

შენი სპირიდონ კედია

ჩემი ადრესი: 23, Rue de la Placière Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლადო სულაბერიძე



## საკანი—36

1
რუსთაველზე ციხე არის,
რადიოს და ფოსტის უკან.
ოპერაში „კარმენია“,
„დარიალში“ თარი უკრავს.
შენ მიდიხარ და გოგონას
გზად მასპინძლობ:
„აი, ნუში!“
ფოსტის უკან ციხე როა,
შენ არა ხარ აინუნში.
კარს გუშაგი დამიყენეს,
ილრინება, როგორც ძუკნა.
რუსთაველზე ციხე არის,
რადიოს და ფოსტის უკან.
2
დავდიოდი... —
დავ... დიო... დი...
დავ... დიო... დი... —
ვღიღინებდი გამზირზე.
ჰე, სოფელო, — ვბუტბუტებდი, —
ამ ჭადრების ფოთლებთანვე ჟამსრისე.
რა ვიცოდი, ამ სახლს უკან
ციხე იყო,
ტუსაღი და
საკანი...
მე აქედან არ მესმოდა კვნესანი:
„საფლავიო დავკარგეო საყვარლის“.
არც შენ გესმის, ჰე, ძმობილო,
ახლა ჩემი ოხვრანი.
წუთისოფლის სტუმრები ვართ...
ოხ, რანი ვართ!
ოხ, რანი!
ჩვენ წავალთ და სხვა გაივლის
ამ ძაფებზე, უგრეხსა და ურთველზე...
დავდიოდი... —
დავ... დიო... დი...
დავ... დიო... დი... —
ვღიღინებდი რუსთველზე.
3
ამყარეს ყველა უფლება,
წამართვეს ჩანგი, კალამი.
ხელთ ბორკილები ჩამჩარეს,
თქვეს: „აწი დაუკარ ამით“.
და ვაჩხარუნებ ჯაჭვებსა,
ვაფრთხობ იადონ-ბულბულებს.
ცხრა ზეცას შევაზანზარებ,
შავშავად გადაღრუბლულებს.
ვთავდები ამ წვა-დაგვაში,
ცრემლების ღვარ-ღვარ-ღვარულში.
ვაიმე, ვეღარც ვლოცულობ
მძიმე ბორკილთა ჟღარუნში.
4
— ჟორეს, რა არის საკანი?
— ოთხი კედელი ვიწრო.
— სა არს, სა — ძვლები, სა — კანი?
— ეშმა გულის სისხლს მიწოვს.
— ამიყვავდიო წყლულო.
— სანამ ძნას მიჰკრავ-მოჰკრავდე,
მაგრად დაგრიხე ულო.
— ჟორეს, სად არის ზღვარი?
— საცაა საკნის კარი.
— იქით?
— კარს იქით სოფელი
და სასაფლაო არის.
რუსის ჯარსაც ვემსახურე...
ხურე...
ხურე...
ხურე...
ვეერმახტშიც შუბლით ოფლი
ვწურე...
ვწურე...
ვწურე...
ფიცი იქაც, იქაც ვტეხე...
ვტეხე...
ვტეხე...
ვტეხე...
ამად ვზივარ აქ, ციხეში,
მიბორკავენ ფეხებს.
ახლა ვისლა ვემსახურო?..
ხურო?..
ხურო?..
ხურო?..
. . . . . . . .
აწ, სოფელო, ოფლი უნდა
ცოდვებისთვის ვწურო.

6
— ბედისწერა რაა, ჟორეს?
— მე რა ვიცი უფალი რას წერს.
— ქარი კვლავაც ღრუბლებს მორეკს?
— როგორც ადრე, წელსაც მორეკს,
წელს...
— ხარის ბეჭზე წერიაო?
— ხარის ბეჭზე არჩივია ხარის.
— წელს აფთარის წელიაო.
— მერე მოვა წელი თხის და ცხვარის.
— მე გზას ველი შორზე შორესს.
— აქ დარჩება მთა-გორები ტურფანი.
— ბანზე მიგდებ სიტყვას, ჟორეს?
— მე კაცი ვარ, მე არა ვარ უფალი.

7
ხელებს უკან დამაწყობინებენ.
მკაცრად ვიცავ ამა წყობილებებს.
— თსუ!.. ჩუმათო!.. ხმა არ ამოიღოო.
იყავ ისე, სხვა როგორაც იყოო.
ახლა მარცხნივ, მერე მარჯვნივ იაროო.
რო ჩამოჰკნე ისე, როგორ ია, რო.
რო ჩამოხმე ისე, როგორც მუხა, რო.
დაგრჩეს ოხრად ულელ-კავი უხარო.
. . . . . .
ვერ გავუძლებ ციხის ამა წყობილებებს.
ბოლოს ხელებს მკერდზე
დამაწყობინებენ.

8
ოთხ კედელს შუა
მე დავიბადე,
თურმე ცის შუქი
მედვა პირბადედ.
ოთხ კედელს შუა
მე გავიზარდე,
გავიზაფხულე
და გავიზამთრე.
შემივიწროვდა
ოთხი კედელი.
ახლა მპირდება
ბედის მჭედელი:
ოთხ კედელს შუა
ჩაგდებ ბოლოსო
და მერე გეტყვი
სადღეგრძელოსო.
9
— ჟორეს, სული მეხუთება!
— მეათება, მეხუთება
გასაჭირი აწინდელი.
— ვიყავ ვაზის დამწინდველი,
ჟორეს, აქ რა გადავწინდო,
კარს მირაზვენ გარეწრები?!
— ფიქრის რტონი.
— ფიქრის რტონი?!
— ფიქრის რტონი და ლერწები.

10
მოსკოვს მკაცრი კანონი აქვს
რომისაზე.
ოცდახუთი წლის კატორღა მომისაჯეს.
რის რომიო? რა რომი და რომულები?!
კეისრები, გავეფხებულ-ლომულები?!
რის მონები?! რა გლადიატორებიო?!
შენ დაგკორტნის ციმბირული ქორებიო.
ჰოი, საჭევ,
საჭევ, საჭევ,
მო, მისაჭე!..
ოცდახუთი წლის კატორღა მომისაჯეს.
11
ციხის სარკმელს მზე მოადგა, —
მზევ, შინ შემოდიო.
გისოსებთან ნისლი შედგა, —
ნისლმაც შემოსდიოს.
ქარიც მოჰყვეს ქარუნია
ზემო-ქვემოთიო.
ის ღრუბელიც ჩემი არი,
ჩემად ვჩემობდიო,
ღრუბლის ფურებს ვეძახოდი:
დიიო... დიიო... დიო...
ნისლს შემოჰყე,
ქარს შემოჰყე,
მზევ, შინ შემოდიო.

12
ქვემოთ თოფებს ისვრიან,
განუწყვეტლივ, დღედაღამე, დილამდე.
ორადორი ნაბიჯია
ამ საკნიდან იქ სი... სი... სიკვდილამდე.
თოფს ისვრიან
ჭახ!
ჭახ!
ჭახო!
ამ საკნების ქვემოთ თოფებს ისვრიან.
სადღაც კლავენ ალბათ კაცებს,
ჯალათები ხელებს სისხლით ისვრიან.
აქ კი თოფებს —
ჭახ!
ჭახ!
ჭახო!
ტყვია რომელს ჩაერჭობა სამიზნეს?!
იქ, რაც ტყვია ჩხავის დღე-ღამ,
ყორანივით ჩემ გულს კორტნის სამიწეს.

13
ევროპაში დახლართული გზებია.
მე იმ გზებზე ბედი გამრისხებია.
სად ეკლები, სად კი ნარგიზებია.
მათი სუსხიც და კოცონიც მგზნებია.
ბალებია, ყანებია, ზვრებია,
ბალახებზე ნამებია, ცვრებია.
ევროპული ქარი გამკიდებია.
იმ გზებზეაც ცოცხლობენ და კვდებიან.
ცელიანი ჩონჩხიც დამჭიდებია.
კლდით ნასხლეტი მკერდზე ლოდიც
მდებია.
მოგზაურთა სნებაც შემომდებია.
ჩემს ნაფეხურს წვიმა ჩაჰგუბებია,
გუბურებში ცის ვარსკვლავნიც
ჩნდებიან.
ახლა საკნის კართან მოგროვდებიან:
— გამო! გამო! გამო! —
მათი ხმებია.
აწლა საით?!
სით მი... იკლაკნებიან?!

14
კვლავ სიზმარი, კვლავ სიზმარი,
ჟორეს...
ჩემი რაში ველზე სცემდა ტორებს.
მივარღვევდი მტერთა სისხლის
ტბორებს.
ეს კრწანისი იყო მართლა, თორემ
რა უნდოდა იქ ყვავებს და ქორებს?!
ნისკარტს სცემდნენ აბჯრებსა და
თორებს.
მეც იქ ვეგდე, არაგველთა შორის.
ედებოდა ქარი ლობე-ყორეს.
ჩემი რაშიც აღარ სცემდა ტორებს.
ლომგულ ძმათა მკერდებს მივეტოლე.
. . . . . .
მე იმ სიკვდილს რადღა განმაშორე?!
ახლა რადღა გამაღვიძე, ჟორეს?!
15
— ვინა ხარ? რა ხარ? აგრე მშვენიერს
შენ აქ რა გინდა? რა გესაქმება?
ხო ხედავ, ლანდად ავეკარ კედელს
და ალბათ, მალე ლანდიც გაქრება.
მომჩერებიხარ, როგორც ქაოსი,
ასგზის დარეგვილს, ნაგვემს,
გაროზგილს.
ჟორეს, მიშველე, შენი მფარველი
ვარო, — მეძახის, — მე ანგელოზი.
რა მშვენიერი უსახობაა!
თრთის და ქათქათებს ფერად-ფერადად.
მე ბედისწერას შენსას ვმართავო,
აგდევნებივარ ბედისწერადა.
— კვდებოდი, ჩემი ფრთები გფარავდა,
გშიოდა, ჩემი შუქი გკვებავდა.
მე შემიძლია აქვე გაგაქრო,
მერე გაქციო ქანდაკებადაც.
— ჟორეს, მიშველე, რამე უთხარი,
ვერრა გავუგე ამის სირინოზს.
— კვლავ მოგდევ, რათა უდაბნოს
ქარებს
შენი თავი არ დავასილინო.
— შე დალოცვილო...
— ჰო, ჯერ გაწამებ,
მერე აღგადგენ, კვლავაც გატარებ.
საცა წახველი, გზად ჩემი მადლი
და სასოება თან გაგატანე.
— კვლავაც მოგდევო... ჟორეს,
მიშველე,
შეაღნა სარკმლის რკინის გისოსებს.
— წადი, — მომძახის, — იარე,
ბევრჯერ
მოკვდები, მაგრამ მაინც იცოცხლებ.

16
ჟორეს, სიზმარში ჩიტი ვნახე, ჩიტი სამოთხის,
ხეს დააფრინდა; გრიგალისგან ულვთოდ ამოთხრილს.
ნისკარტი დაჰკრა და აფეთქდა რტოზე კვირტები,
კვლავ ზე აღზევდა, აღიმართა ძველის დიდებით
ხე წაქცეული...
ჟორეს, სიზმარში ჩიტი ვნახე, ჩიტი სამოთხის,
ხეს დააფრინდა, გრიგალისგან ულვთოდ ამოთხრილს.
17
დამიკაკუნე, საყვარელო, დამიკაკუნე,
ოღონდ გუშაგმა არ გაიგოს შენი კაკუნი.
ამ კედელს იქით და აქეთაც სულით აკრულებს,
ქრისტე შეგვყურებს გოლგოთიდან, ჯვარზე გაკრული.
მითხარი რამე სიყვარულზე, თორემ გულქვანი
მჭვრეტენ გუშაგნი სიძულვილით თვალსაჭვრეტიდან.
გათელილი ვარ, ვით ნათათარ და ნათურქალი,
მე, ცად შექმნილი ღვთის ფუნჯითა და საჭრეთლითა.
სიყვარულის ფრთებს ჩვენ ვალეწავთ ამ ყრუ კედელზე..
შენ ხო მოაწყდი ღამით სარკმელს უცხო ქედანად?!
ეს უსაშველო ტრფობის ტანჯვა გვაუკეთესებს
ამ კედლის ჯვარზე შენ იქიდან, მე აქედანა.
შუქი მასხურე ღვთაებრივი, ცვარი მაპკურე,
ხმა მომასმინე უცოდველი, ჰანგი აკვნური...
დამიკაკუნე, საყვარელო, დამიკაკუნე,
ქრისტე შეგვყურებს გოლგოთიდან, ჯვარზე გაკრული.
18
იმღერე, ძმაო, მესმის შენი ნალაღადარი.
მაგა ჰანგებმა ჩემი სევდის ნახა ლადარიც.
შენი საკნიდან ჩემ საკნამდე სიმღერის ბილიკს
მოჰყვება სევდის ნაკადული, წმინდა და გრილი.
გუშაგს არ ძალუძს ეს ბილიკი ღორღით ჩახერგოს,
ის ვერ მიწვდება ამ მირაჟის მოჩახჩახე რგოლს.
იმღერე, ძმაო, დილეგიდან გადმომჩქეფარე
ჩანჩქერი შენი გალობისა არწყულებს ქარებს.
სიმღერას ვერა, ვერ ჩაამწყვდევს ვერვინ საკანში,
ქღერს იგი ყველა უხილავ და ხილულ საგანში.
ვერრა ბორკილით ვერ შებორკავ, ვერრა ხუნდებით.
ზამთარი თუ ხარ, იმღერებ, და გაზაფხულდები.
იმღერე, ძმაო, გამოჰყევი მზესავით დილით
შენი საკნიდან ჩემ საკნამდე სიმღერის ბილიკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვანო ჩხიკვაძე

# მოთხრობები

### გაცრეცილი სურათები

დილის ძილი გამწარებული გვქონდა. თვითონ რომ ერთი წათვლემა ყოფნიდა, ჩვენ კი აღარ გვკითხავდა. უთენია ქორივით დაგვეცემოდა ხოლმე:

— ადექით, ადექით... დროით, საქმეს დაადექით... წოლით მარტო კიტრი იზრდება.

გაიხუხებოდნენ საბანში თავჩაძვრენილი ბიძაჩემები, სახაროდ მოყრილი ბიჭები, გაინაბებოდნენ, უფრო გაუტკბებოდათ ლოგინი...

— საზრე არ შემომატანინოთ, იცოდეთ... ვითომ შენცა გძინავს? — ახლა ჩემკენ დაიხრებოდა, — ვერ გაიგე, რას გეუბნები? შენ თუ არ გინდა ჭამა, ზბოს მაინც არა შია? ადე, გადაიყვანე გორაკზე, ყურები წაიღო მაგის ზმუილმა...

აღარ მოგვასვენებდა და მეტი რაღა გზა გვქონდა, წამოვჯდებოდით უკმაყოფილო ბუზღუნით, წახურული საბნიდან ამოვყოფდით გაბურძგნულ თავებს, უხიდად მივწვდებოდით ტაბურეტზე გადაგდებულ შარვლებს და როგორც კი გარეთ გავიგულებდით, ისევ ძილად მივეყრებოდით.

არ იცოდა ჩვენი ხასიათი თუ რა, — წაგვიღებდა დამბანგველი ბურანი და ზელმეორედ შემოვიდოდა, შემოიტანდა მანეულის სამტკაველიან წქეპლას, გადაგვხდიდა საბანს და ფეხისგულებს შეგვიხურებდა.

ჩვენ ვხხმარტალებდით, ვევედრებოდით, ვთხოვდით, ცოტაც ეცლია... თუ პაპაჩემი შემოგვისწრებდა, თავიდან გამოგვეხარჩლებოდა ხოლმე, აცალე ბავშვებს, იძინონო, მაგრამ იმასაც ისეთს დაუცაცხანებდა, ისე დაუბაკუნებდა ფეხებს, რომ „შეშინებული" საწოლთან ჩამომიჯდებოდა და ყურში ჩამჩურჩულებდა, ჩაიცვი, თორე, მეც მომხვდებაო...

ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ პაპაჩემსაც ხომ არ ვაცემინებდი, ამიტომ იძულებული ვიყავი თვალების ფშვნეტით გავყოლოდი თოკჩაბმულ ზბოს, წინ კუნტრუშით რომ მირბოდა და თავის წართმევას ლამობდა.

ამას კიდევ რა უშავს, ბიძაჩემმა ქალი რომ შეირთო, მესამე დღეს, უთენია წამოაგდეს და კოლექტივის სიმინდის გასათოხნად წავედით.

გზაში, პაპაჩემი, ხან რას იტყვის, ხან რას, ახლა თუ არ მოვასწარით, დაგვიანდება, ისედაც მოიდო ბალახს. მერე ჭარხალი, სტაფილო... ჩვენი ბალებიც ხო მისახედიაო...

მოგვდევს ბოღმისაგან კრიჭაშეკრული ბიძაჩემი და ფეხები უკან რჩება.

მივედით, ჩამიყენეს შუაში, დავიწყეთ თოხნა.

ერთხანს უხათქუნებს თოხს დამხვდარ მიწას ბიძაჩემი, შეისვენებს, კიდევ ცოტაზე გაუყვება, გამოაცლის სიმინდის ძირებს მოდებულ ღიჯას, ისევ შეისვენებს...

პაპაჩემს ეშმაკურად ელიმება:

— რა მოგივიდა, ბიჭო, დაგიდგა მუხლები?

— ნეტა ერთი შენცა, ხუმრობის ხასიათზე ხარ! — ბუზღუნებს აწითლებული.

საღამოს, ნავახშმევს. ბებიაჩემი ქსოვს, წინდისჩხირებს სწრაფად ატრიალებს, ხან ცხვირზე ჩამოცურებულ სათვალეს ზემოდან გამოიხედავს, თვალს მოგვატარებს. იმის უნებური ხომ არაფერი ხდება.

რა უნდა მოხდეს, ბიძაჩემი გავიდა ცალკე ოთახში, თავის ახლადმოყვანილ ცოლთან, დანარჩენები — ზოგი სად არის, ზოგიც — სად. მე დასაწოლად ვემზადები, პაპაჩემი კიდევ მიმჯდარა რადიოლასთან და ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემას უსმენს, კარგად არ მახსოვს, მგონი დავით კლდიაშვილის რომელიღაც მოთხრობის რადიო-ინსცენირებას.

გადაცემაში მამალი ყივის, კარგად, ყოხალად, ომახიანად.

— გესმის, კაცო, — თითებს აჩერებს ხმენაგაფაციცებული ბებიაჩემი, — ნეტა რომელია, ეხლა მამლის ყივილის დროა?

პაპაჩემი გულიანად კუჭკუჭებს და თვალს მიკრავს.

შენ ოღონდ დაგვიკალი და მე ვიცი, რომელიც ამ უდროოდროს ყივისო.

გზისპირას ახლოს, წამოზრდილ ტირიფებქვეშ, მესერშემოვლებულში, გვერდიგვერდ ორი სურათიანი ფილა აღმართულა.

სურათები პატარაა, ოვალური ფორმის.

ჩვენი ძილისდამაფრთხობლები, სიცივით გაცრეცილი, ერთმანეთს მიყუჟებული გუგულებივით მიყურებენ.

ვაღებ მესერის ჟანგიან კარს და ხელისგულით სურათებზე აფარებულ სველ შუშას ვამშრალებ.

ქარი არხევს ტოტებს, აყრევინებს ფოთლებს მსხვილ-მსხვილ წვეთებს.

ირგვლივ მეფობს მოწყენა და რაღაც მოწყენაზე უფრო მეტი, სახელს რომ ვერ მოუძებნი.

### თებერვლის ულონო თოვლი

ფანჯრის პირდაპირ, ალაფული გზის გადაღმა, ალაგ-ალაგ გაგლეჯილი მავთულხლართია. მავთულხლართს იქით, მინდორზე, ჩვენკენ ლულამოშვერილი, მძიმე ტანკები გოლიათი ზულიქებივით განაბულან.

საკმარისია მავთულხლართს შიგნით გადააბიჯო, რომ უცებ შეირხეს, აფუთფუთდეს ყველაფერი, აყეფდნენ რუხი, უსიცოცხლო ყაზარმები, წყლით გაჟღენთილ მიწაზე დაბუღრავდნენ ტანკები.

— ეს მინდორი ჩვენი საგვარეულო მამულია, — ამბობს ღუმელთან მიმჯდარი, ხელებმიფიცხებული დედაბერი, — კარგი პური იცოდა. მახობლიანი... ჯერ კოლმეურნეობამ წაგვართვა. მერე ბოძები ზედ ცხვირწინ ჩაგვისვეს და ჯარისკაცები მოიყვანეს...

ჩემი მოსაუბრე ქალი ყურს არ უგდებს მოხუცებულის ლაპარაკს. პირმოკუმული, სახეგამკაცრებული გაიყურება შემოღობილი სამხედრო ნაწილის უკან აყუდებული საცხოვრებელი კორპუსებისაკენ.

კორპუსები კი სულ ახლოა...

— თქვენი გაწყვეტა ვნახე! — ამბობს ზიზღჩამდგარი თვალებით და ვერ გაარკვევ, მინდორზე გამოშლილ ჯარისკაცებს წყევლის თუ საშიშ სილუეტებად აღმართულ კორპუსების ბინადართ.

ქალი ჰყვება სვენებ-სვენებით, თითქოს უსიამოვნო, მძიმე სიზმრიდან გამოყოლილის აღდგენას ცდილობს. ხან ტირის. ხელისგულში მალავს აკანკალებულ ნიკაპს, ხანაც ბედსშერიგებულივით ერთბაშად მშვიდდება. გაუშტერდება თვალი.

— აი, თქვენ თქვით, შემეცოდაო, ბავშვი იყო და შემებრალაო... მე პედაგოგი ვარ, მათი შვილების გაზრდაში ლამის გავჭაღარავდი... ცივია ჩვენი ლიახვის ხეობა, გათოშილები რომ შემოდიოდნენ კლასში, ვიდექი და ხელებს ვუთბობდი, რიგრიგობით ვუორთქლიდი... ჩემზე მეტად არ შეიძლება გეცოდებოდეთ... ვინ დაინახა ჩემი სიკეთე... ერთი გენახათ, თექვსმეტი წლის ლაწირაკს ტალახიან ჩექმებზე რომ ვეხვეოდი, ვკოცნიდი. ცრემლით ვულობდი, ალბათ, სამხედროსგან არაუზე გადაცვლილ უხეშ ჩექმებს... გენახათ, როგორ ზიზღით წამკრა ჰვინტი. როგორც ფეხებში წამოდებულ მაწანწალა ძაღლს. ისე... ამ გადამთიელმა, ამ არგასაზრდელმა ჯაყომ... თქვენ კიდევ...

— ქალმა დაჭმუჭნული ცხვირსახოცი გაშალა და თვალებზე აიფარა.

გრაფინიდან ჭიქაში წყალი ჩამოვასხი და წინ დავუდგი.

ცოტა მოსვა და ისევ გაუშტერდა თვალი.

ტოტებზე თებერვლის ულონო, მოთენთილი თოვლი დევს, ერთი გარხევა და ძირს დაეფინება. წყლადქცეული ჩაიდნება მიწას.

კორპუსებში, აქა-იქ სინათლე აინთო, შენობები ციკლოპებს დაემსგავსნენ.

— სამნი იყვნენ, სამივე მთვრალები, — განაგრძო ქალმა, — არ მოუკაკუნებიათ. გინებით მოაწყდნენ და შემოგლიჯეს კარი... ფული და იარაღი მომთხოვეს.

— არა მაქვს-მეთქი.

დაერივნენ და მთელი არაფერი დამიტოვეს. გამიყვანეს სახლსუკან, მოფარებულში. ფულს სად ინახავ, გამოტყდიო, გამიცალეს ფეხებთან ავტომატი... მომაკვეთა მუხლი, დავეცი თოვლზე, ნამდვილად არა მაქვს, ნუ მომკლავთ-მეთქი. ყველაზე ახალგაზრდა შედარებით ლმობიერი მეჩვენა, იმისკენ გავხოხდი, მოვეხვიე ჩექმებზე, ვტირი. ვიაგლახე... ამომკრა ჰვინტი, ლამის გულისფიცარი შემინგრია... გადავვარდი წუმპეში... სამივე დგას და ხარხარებს... ძლივს წამოვიწიე, დავიხედე ამოვლებულ მკლავებზე, შემზიზღდა ჩემი თავი. შემძულდა სიცოცხლე, ამომხსხა ზიზღმა და ბოღმამ, რაღაც ძალამ წამომაგდო და იმ დევმორეულ ლაწირაკს თვალების გამოხაკორტნად ვეცი... ბიჭი კედელს მიაწყდა... სასუშმლილი ვიწყევლებოდი, საფლავში ვდებდი იმათ სახსენებელს... ალბათ, ისეთი შემზარავი ვიყავი, რომ დანარჩენებიც დაიბნენ, სახედაკაწრული ამხანაგი წინ გაიგდეს და ეზოდან გაძუნძულდნენ...

— ქალბატონო, თქვენ პედაგოგი ბრძანდებით?..

— ვიყავი! — შემაწყვეტინა მკაცრად, — ახლა აღარ ვიცი, ვინა ვარ... ანდა ვარსებობ კი საერთოდ?

დედაბერი თანაგრძნობით შესჩურებს.

მაგიდის კიდეზე ჩამოყიდული ქალის ხელის მტევანი, თავისი უმწეობით ტოტზე შერჩენილ თებერვლის ულონო თოვლს გავს და ასე მგონია, სადაცაა ძირს ჩამოვარდება.

### ყველაზე მთავარი

ადამიანისათვის ყველაზე მთავარი რა არის-მეთქი, რომ გკითხო, — ფულიო, მაშინვე მომახლი.

ფიოდორ კუზმიჩი ასე არ ფიქრობს: ადამიანისათვის მთავარი და მთავარზე უმთავრესია „პირადი ჰიგიენის დაცვა".

ფული კი, როგორც ბავშვობაში ჩვენი პატრონები და ხელმოკლე მშობლები გვმოძღვრავდნენ, ხელის ჭუჭყია. მითხარი, ჭუჭყი და ჰიგიენა ერთად გაგონილა?

ეგეც შენ, მოუკაკვე თითი ფიოდორ კუზმიჩს!..

ჩვენ ბედნიერი შემთხვევის წყალობით შევხვდით ერთმანეთს...

ქალაქ M-ში მივლინებით ჩასულ მე და ჩემს თანამშრომელს სასტუმროში ადგილი არ დაგვხვდა დაჯავშნული. დავრჩით ცივ, მიუსაფარ ღამის ქალაქში ღია ცისქვეშ.

პირი რომ ავიმურალეთ და ამ უთავბოლო ქვეყნის გინებით გული ვიჯერეთ, ჩვენს წინ ტაქსი დამუხრუჭდა.

ღამის გასათევს ვეძებთო, შევჩივლეთ მძღოლს და ჩვენი ბარგი-ბარხანიც შევალაგეთ.

მძღოლმა კეფა მოიქექა, ყურადღებით შეგვათვალიერა, კერძო ბინაში თუ გაჩერდებითო, — გვკითხა ბოლოს.

ოღონდ რაიმე გაგვიხერხეთ და პატივისცემა ჩვენზე იყოსო, შევაგულიანეთ შეცივნულებმა.

მანქანა ტელეფონის ჯიხურთან მიაყენა.

საუბარი მალე მოათავა.

შინ წაგიყვანთ, სიდედრ-სიმამრი თანახმა არიანო.

ხასიათი უცებ გამოგვიკეთდა. ჩემმა ამხანაგმა მუხლებზე დადგმულ მუყაოს ყუთს ხელი დაჰკრა, ამაღამ კაი პური უნდა ვჭამოთო.

მოდის სველი, წვიმაში არეული თოვლი, საწმენდები ძლივს ასწრებენ მინის გასუფთავებას.

კარგა ხანს ვიარეთ და, როგორც იქნა, ერთ აწოწილ მრავალსართულიანს მივადექით.

ტაქსის ფული მე გადამიხადეთ, ღამის ქირა — ჩემს სიმამრსო, წინასწარ გაგვაფრთხილა მძღოლმა და ლიფტში შეგვიძღვა.

მოკლედ ჩაგვაბარა ცოლსა და სიდედრს და თვითონ ისევ სამუშაოდ წავიდა.

ფეხსაცმელი შესასვლელშივე დაგვახდევინეს.

აქ მოისვენეთო, მიგვიჩინა ორსაწოლიანი. მყუდრო და რაც მთავარია, თბილი ოთახი.

გვეშველა, დავიბანეთ ხელ-პირი, გახსნა ჩემმა თანამგზავრმა ყუთი და რა გინდა სულო და გულო.

მასპინძლებს ჭიქები და თეფშები ვთხოვეთ, სანაცვლოდ ხილი მივართვით.

წარბშეკრული ქალები გახალისდნენ, ჭურჭელს დაკეპილი კომბოსტოს მწნილიც მოაყოლეს.

ის იყო მაგიდას სავახშმოდ მივუსხედით, რომ ოთახში პიჟამოიანი, მკაცრი სახის ხნიერი კაცი შემოვიდა.

— ფიოდორ კუზმიჩ! — ხელი ღონივრად ჩამოგვართვა და პირდაპირ დაკითხვაზე გადავიდა, — საიდან ხართ, ბიჭებო?

— თბილისიდან.

— თბილისი... თბილისი... — ხალათის განიერ ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა გაიარ-გამოიარა, — არა ვარ ნამყოფი, მაგრამ ვიცი... „პიცუნდაში" ხშირად... ხშირად... აპირებთ? — გადახედა მაგიდაზე შემოდგმულ ბოთლს და ყელთან წკიპურტი მიირტყა.

— დაბრძანდით, დაგვეწვიეთ.

— არა, გმადლობთ, უკვე ვივახშმე... ექვსი საათის მერე აღარ გვეხლებით, ზედმეტი დატვირთვაა კუჭისათვის... ჰო, თქვენთან ალბათ, ჯერ კიდევ თბილა.

— პიჯაკით დავდივართ.

— საწყენია. საწყენი... აქ, ა, ხომ ხედავთ, უკვე მაგრად მოუჭირა...

— უფრო მოუჭერს. — „დაამშვიდა" ჩემმა თანამესუფრემ და ხაჭაპურის ნაჭერს ყბა მოუქნია.

ფიოდორ კუზმიჩმა ნერწყვი გადაულაპა.

— რა თქმა უნდა, ჯერ სადა ხართ, ზამთარი მხოლოდ ახლა იწყება... საწყენია, საწყენი, გაიმეორა ისევ და ვერ გავიგე, რა სწყინდა, აქ რომ ციოდა თუ თბილისში რომ თბილოდა და პიჯაკით დავდიოდით.

— ყელში ლუკმა არ გადამდის, ან დაჯდეს, ან... — ჩამილაპარაკა ამხანაგმა და ერთხელ კიდევ სთხოვა, ხილი მაინც მიირთვითო.

— ხილი შეიძლება! — მოაჩორა ხმამ

— მგონი არც სასმელზე იტყვით უარს.

— უარს იმდენ რამეზე ვამბობ, რომ არ კმარა? — გაუღიმა საცობმოხდილ ბოთლს და ჩვენდა გასაკვირად, პიჟამოს ჯიბიდან, პლასტმასის ვარდისფერი ჭიქა ამოაძვრინა.

— არ გაგიკვირდეთ... ცოტა, სულ ცოტა, ოციოდე გრამი... იმას ვამბობდი, არ გაგიკვირდეთ-მეთქი, ყველგან ჩემი ჭიქით და დანაჩანგლით დავდივარ... იცით, ადამიანისათვის ყველაზე მთავარი პირადი ჰიგიენის დაცვაა... ინგლისელები კბილების გამოხეხვას დღეში ნახევარ საათს ანდომებენ, იაპონელები მგონი უფრო მეტს... ჩვენ კი, მიწისქვეშეთიდან ამოსული, მტვერში და ოფლში ამოგანგლული მეშახტისათვის საპონი ვერ მიგვიცია, ჭუჭყი რომ ჩამოიბანოს... რომელ ჰიგიენაზეა ლაპარაკი... ახლა ეს შიდსი!.. საზოგადოებრივ ჭურჭლით ათასნაირი ზიანი შეიძლება მიაყენო ორგანიზმს... უჰ, მაგარია! — პიჟამოს საყელო დაუწოხა და ვაშლი გაკბიჩა.

თითქოს ჭიქიდან ვარდისფერი გადაედო, ლოყები წამოუწითლდა, მეორეც რომ მიაყოლა, ჩვენს სტუმარს სახე გავარვარებულ ტაფის ძირივით აულაპლაპდა.

— რაც მართალია მართალია, მიყვარს თქვენი მხარე, — გული გადაგვიშალა ენაარეულმა, — მარტო ნავთობი რად ღირს, თავისი ხარისხით საუკეთესოა მსოფლიოში.

— თქვენ, ალბათ, ბაქოს გულისხმობთ! — შევახსენე.

— ბაქოც, რა თქმა უნდა, ბაქოზეც ვიტყვი... ჩვენს დიდ ქვეყანას ძალიან კარგად ვიცნობ, — თითი დამიქნია ტაფისძირმა.

კარზე მოაკაკუნეს. ფიოდორ კუზმიჩ გამოდი, ფილმი იწყებაო, მოისმა ქალის ხმა.

კაცმა ჭიქა ჯიბისკენ გააქანა და თან თვალი ჩაგვიკრა, ვითომ, არ გამცეთ სასმელს რომ ვულურწავო.

იმ ღამეს კიდევ რამდენჯერმე შემოვიდა.



მირბოდა და მორბოდა, არც ფილმი ეთმობოდა, არც ბოთლში მოქცეული, ჯანის დამბუჟველი ცეცხლი, ოთახიდან გასული [illegible] პარკეტზე ქოშებს. ცდილობდა სწორად გაევლო, რათა მისი „ფერიცვალება" მეუღლეს არ შეემჩნია, [illegible] მისთვის გამოყოფილ სავარძელში და ბატონკაცურად, ფეხი-ფეხზე გადადებულს ყური მიეგდო. [illegible]

„ეჰ, ფიოდორ კუზმიჩ, ფიოდორ კუზმიჩ, ჯერ სუფრასთან არ მოდიოდი, ახლა გული გაგვიწყალე მაგ შენი ვარდისფერი ჭიქით... უნდა გამოგიტყდე, უფროს ძმად კი არა, შორეულ ნათესავადაც ვერ ივარგე... მეგონა ერთი ღირსება მაინც გქონდა, პირად ჰიგიენას ზედმიწევნით იცავდი. მაგრამ ჩავარდნილი ნამცეცის ამოსაღებად ჭიქაში [illegible] თითს რომ ურევ, რა ვიფიქრო?.."

— ბიჭებო, სულელი არ გეგონოთ, ჩემ ჭიქას რომ ვატარებ... ჰიგიენა, ჰიგიენაო... იქნებ ეს ბრძნული სიტყვა არც გაგიგონიათ... ჩვენს დიად სამშობლოს კარგად ვიცნობ, არ გეწყინოთ და კავკასიაში მაინც სიბნელე [illegible]. ეს უმადურობაც სიბნელის ბრალია... დიახ! — ამოაბოყინა და არაყი ჭიქიდან ხელზე გადმოღვარა. [illegible] რატომ, გამცემ პასუხს? ვერ გამცემ!.. ოცდათხი დღე... მხოლოდ ოცდათხი... „პიცუნდაში"... თქვენ კი მთელი წელიწადი... მართალია?.. უნდა დაფიქრდეთ ამაზე ამხანაგებო, უეჭველად უნდა დაფიქრდეთ! [illegible] მართლა, — მოგვიბრუნდა კართან მისული, — როდის გამისწორდებით? დღეს თუ ხვალ? მგონი დღეს ჯობია, ხვალ რა ვიცი, რა ხდება, ფუთფუთებს, იმუშნება დედამიწა...

ეგებ დროულად მოგვცილდეთო, სასწრაფოდ „გავუსწორდით". მასპინძელმა ვლადივოსტოკიდან კალინინგრადამდე ნათრევ-გაცრეცილი ასიგნაცია ჭიქასთან ერთად ჩაიდო ჯიბეში და კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა „პირადი ჰიგიენისადმი" თავისი ერთგულება.

— ჩემს სიძეს დიდი ხანია იცნობთ?

— საბავშვო ბაღიდან, — უპასუხე გაღიზიანებულმა.

— მართლა? — გაუფართოვდა თვალები, — არ უთქვამს ბავშვობა თუ ბაღში აქვს გატარებული... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს... ჯავრი მჭამს, ბიჭებო, ჯავრი! — [illegible] მკერდი, — ორი წელიწადი დამსახურებულ პენსიაზე ვარ და სულის სიმშვიდე მჭირდება, მაგრამ ვინ მაცლის? ქალიშვილმა უბინაო სიძე შინ [illegible]... აი, ასე... ახლა შვილიშვილები!.. [illegible] მაინცდამაინც უნდა გავყარო?.. სული მტკივა, ბიჭებო, სული... მაინც ვახერხებ, რა ვქნა, წესრიგი მიყვარს და ვახერხებ!.. — ამოიქშინა, თავი დაუკრა და საბოლოოდ გავიდა, [illegible] „ბრძენი", მოსაწყენი ფიოდორ კუზმიჩი...

ახლა, როცა ყველაფერი წვრილად გიამბე, [illegible]

### თამარო

ხო გახსოვს, თამარო... ჰოო, მომღერალი. ქალაქში ისე როგორ ჩამოვიდოდი, არ მენახა. მევალებოდა კიდეც. გიგას ცოლისდა და ჩვენი ძმობის ამბავი კარგად მოგეხსენება.

დალოცვილი ხმის პატრონია. [illegible]

იმას ვამბობდი, ხშირად ვკითხავდი, იმ ციცქნა ოთახში ზოგჯერ მეგობრებიც მომყავდა [illegible]

უზაროდა ჩემი დანახვა და მეც გავთამამდი. ერთხელ, მე რომ [illegible], ისეთი ქალიც მოვიყვანე, აბა ჩემო თამარო, შენი ჯადოქრობა ამ ქალბატონსაც აჩვენე და შენი ქორწილი ჩემ კისერზე იყოს-მეთქი.

მაინცდამაინც არ [illegible], ჯერ უარი გვითხრა, მერე იმღერა, მაგრამ სულ დაკოპილმა, მტრულად ათვალიერა ეს ჩემი მოყვანილი სტუმარი... ხან მეც გადმომხედავს. [illegible]

თვალმოყუდული და ჩონგურს სატრფიალოს დამღერებს.

როცა წამოვედით, თანამგზავრს ვკითხე, როგორია-მეთქი.

კარგია.

კარგი ყველაა, ეგ განსაკუთრებულია-მეთქი ვიწყინე.

განსაკუთრებულის რა მოგახსენო, მუსიკათმცოდნე არ გახლავართ, მაგრამ შენ რომ ძალიან მოსწონხარ, ეს კი ცხადია.

ვიტყოცე, ვიუარე, მაგრამ ვერ გადავათქმევინე. მე მაინც ეგრე მგონია.

სიმართლე გითხრა, მეც დავეჭვდი და... არა, ძმაო, ასეთ საქმეში კაცები ბრმა ლეკვებით ვყოფილვართ. გავახილე თვალი, დავუკვირდი და, არ უნდა ბევრი ჩიჩინი, ჩემ ყურადღებას, მზრუნველობას თამარო სულ სიყვარულად „თარგმნის"... რა ვქნა, ცეცხლს ვეთამაშო? ჯანდაბას ყველაფერი, უცხო მაინც იყოს, მეორის ცოლისდაა, გიგა არ მოვა და პირში არ შემაფურთხებს?.. მართალიც იქნება!..

წელიწადზე მეტ ხანს აღარ გავკარებივარ, თუმცა მითვლიდა კი, რატომ დაიკარგეო...

[illegible]

რამდენი ვილაპარაკე, მთავარი კი ახლა უნდა გითხრა:

ამას წინათ, კვირას, ნაშუადღევს მომადგა მანქანა, [illegible]

— ნამდვილად თამარო ხარ? — ძლივს ამოღერღა ნატროშვილმა.

— რაო, არ მელოდით, თქვენი!.. — სათითაოდ გადაგვკოცნა და [illegible]

[illegible]

— ა-ა-ა-ა... — მკერდი ჩაიმჭიდა [illegible]

[illegible]



## მედეა კახიძე

# ახალი ლექსები

●

რაღა მე გავხდი
ამ წლების მოწმე,
მე დამებედა მკაცრი დარები,
როგორ ვირწმუნო
ამდენის მომსწრემ,
ხვალინდელი დღის
გაცისმარების.
რაღა მე იმედგადაფშრუკული,
ზურგზე ვიკიდებ
აღმართს დამქანცველს,
გადავეყარე ქარაფშუტულად,
ვარდობის თვეში
ამდენ ნარ-ქაცვებს.
რაღა მე მითვლის
ყველა სამძიმარს,
ვერ გავიმზევე
ერთი წამითაც,
დარდი უფრო და უფრო მამძიმებს
და გულის ყველა
სიმი ამიწყდა.
ქარი რაღა მე შემომეტოტა,
ბედმა რაღა მე მომაფრიალა,
დაიკალთავა,
რაღა ჩემს ტოტთან
და წვიმით სავსე
მოაქვს ფიალა.
მაგრამ ხეს ტოტი
თუ არ შეახმა
და მოლაღურმა
იწყო კვასკვალი,
იქნებ სიცოცხლე
შევძლო ხელახლა,
იქნებ არ ჩაქრეს
ჩემი ვარსკვლავი.

●

წვიმს,
ხამუშ-ხამუშ
ამ შინდებს,
ამ ნძუშს
გულგრილად აწვიმს
და ვიცი უფრო —
იწვიმებს აწი.
დარდში ჩავღრმავდი,
ვაი თუ ბაღნარი,
კვლავ ვეღარ ვნახო
აჭრელებული.
კვლავ ხელში შემრჩე.
ველი და ახო,
ზამთრის დღესავით
დამჭლევებული.
ნაზამთრი მუხა
ჯანდაშრეტილი,
ველზე დასმული
შავი წერტილი
გასცქერის მუხრანს,
კლდეებში ქუხან,
ხმებდაბოხებით
მდინარეები —
თავაწყვეტილი,
მეამბოხენი.
ალვართქაფებულ
ხეობებს აწვიმს,
ჩაკეტილი აქვს
გზა ცისკენ არწივს,
კვლავ თავში იცემს
ტყე ტოტებს ნაწვიმს
და ვიცი, უფრო
იწვიმებს აწი.

ერთი ხელის დადებით

ერთი ხელის დაკვრით
ყველაფერი დასრულდა.
ხე მომიჭრეს ნატვრის,
რისი მოჭრაც არ მსურდა.
ერთი ხელის მოსმით
გზა წაშალა ნალვარმა,
აღარც შენი მოსვლის
მოლოდინი აღარ მაქვს.
დარდი ვერ გამიქარვა
ცეცხლზე წაყრილ ნაცარმა,
ვით უჩრდილო პირქარი,
თითქოს ვარ და არცა ვარ.
კვლავ მზის წელიწადები
გაიკრიფა ჯარ-ჯარად.
ერთი ხელის დადებით
ჩაქრა ყველა ფანჯარა.
თუმცა მთვარეს ხილულად
ვხედავ ცაზე შერჩენილს,
მლვიძავს თუ თვალს
მივლულავ,
სიკვდილზე ფიქრს ვერჩევი.
გავეყარე რაკი,
ვისთან გაყრაც
არ მსურდა,
ერთი ხელის დაკვრით
ყველაფერი დასრულდა.

●

მინდა, ველის ნიავო,
შენს თმებს ველოლიავო,
შენი უჩინ-საჩინო
სული გადავარჩინო.
სიკეთისთვის გაჩენილს
მკლავებს გიწვდის ბუჩქნარი,
მოფერებას ნაჩვევი
თვალს არიდებ
ურჩ ქარებს.
სულში იძვრენ უწყინარ
ღვთისხელნადებ მთა-კორდებს,
გული ვერ დაუწყვილე
გულცივ წვიმის აკორდებს.
გიყვარს ჩურჩულ-ჩურჩულით
ჩემთან სალმის შემოთვლა,
ყინვით ჩამოჩურჩული
შიშველი ტყის შეფოთვლა.
ყოველ კუთხე-ნაპრალში
ვგრძნობ შენს სუსთქვას,
უჩქამესს,
მაჯისცემას აპრილში
ვხედავ, როგორ უჩქარებ.
მინდა გულით ლოცავდე
ჩემს დათაფლულ მთა-მდელოს,
გენდო სულით ხორცამდე
ჩემი სულის ანგელოსს.
მინდა, ველის ნიავო,
სულ შენ გელოლიავო,
შენი უჩინ-საჩინო
სული გადავარჩინო!

ლამის ზედ მომაწყვიტა მანქანა.

სინათლე გამორთო, გადმოვიდა და გულხელდაკრეფილი მელოდება, როდის მივეახლები.

ისეთი ნატანჯი, ჩაფერფლილი სახე აქვს. სულაც არ არის წელანდელივით ლამაზი.

[illegible]

მკვდარი ქალის გათხოვება? — ჩაუკითხა უვარსკვლავო ცას.

ცამ, რა თქმა უნდა, ვერაფერი უპასუხა და ამანაც მკლავები დაბლა ჩამოჰყარა.

— წავედი, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— ქალაქში? — როგორც იქნა, ამოვიღე ხმა.

[illegible]



# გიორგი ლეონიძის გახსენება

1965 წლის აგვისტოში გურიას ვესტუმრე, სოფელ შემოქმედში ჩემს ფრონტელ მეგობარს აკაკი გირკელიძეს მოვინახულე და მერე იქიდან ქობულეთში ჩავედი დასასვენებლად.

ქობულეთში აგვისტოს ბოლომდე დავრჩი. რადგან საზაფხულო არდადეგები დამთავრებული იყო და ამ დროისთვის თბილისისაკენ მგზავრობა ყოველთვის გაძნელებულია ხოლმე, გადავწყვიტე ბათუმში ჩავსულიყავ და საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგესთვის — ფრიდონ ხალვაშისათვის მეთხოვა დამხმარებოდა მატარებლის ბილეთის შოვნაში.

მეორე დღეს, მართლაც ბათუმში ჩავედი. ფრიდონ ხალვაში მწერალთა კავშირში არ დამხვდა.

— ამ დილას გიორგი ლეონიძე ჩამოვიდა თბილისიდან. ფრიდონი მის შესახვედრად წავიდა. ახლა ისინი სასტუმროში იქნებიან! — მიპასუხა მდივანმა ქალმა.

გიორგი ლეონიძის გაგონებაზე სიხარულით ცას ვეწიე. მდივან ქალს მადლობა გადავუხადე, კარში გამოვედი და მაშინვე იმ სასტუმროსაკენ გავწიე, რომელიც დამისახელეს.

ის იყო სასტუმროში უნდა შევსულიყავი, რომ მაღლიდან ბატონი გიორგის ხმა მომესმა უცბად.

უნებურად შევდექი და ავიხედე. მეოთხე თუ მეხუთე სართულის ღია ვერანდაზე მართლაც დავინახე იგი ვიღაც ხანშიშესულ ქალთან ერთად. ქალი წინ ჩამოსხდგომოდა და გაცხარებით რაღაცას ელაპარაკებოდა, ბატონი გიორგი კი ვერანდაზე ნახევრად გადმოყუდებული ღიმილით ხელს მიქნევდა, ამოდიო.

სულმოუთქმელად ავირბინე შენობის საფეხურები და მაშინვე მასთან გავჩნდი.

— აგერ, იმათთან მიდი და მეც მალე მოვალ! — მითხრა ხელის ჩამორთმევისთანავე და გვერდით მიმახედა, სადაც ათიოდე ნაბიჯის მოშორებით, პურმარილით გაწყობილ მაგიდას შემოსხდომოდნენ ფრიდონ ხალვაში, კიდევ ერთი სხვა აჭარელი პოეტი, რომლის გვარი აღარ მახსოვს და მისი მეუღლე ქალბატონი ფეფუცა.

ახლაღა მივხვდი, რომ რესტორანში ვიყავით.

ქალბატონ ფეფუცას ახლოს არ ვიცნობდი. ახლა მის პირისპირ ვიჯექი მაგიდასთან და მოკრძალებით შევცქეროდი დიდი პოეტის მეუღლეს, რომელსაც რამდენადაც უფრო ვაკვირდებოდი, იმდენად უფრო მხიბლავდა თავისი გარეგნული სიმშვენიერით, სიდარბაისლით, მოხდენილი საუბრით, ქართველი მანდილოსნის ღირსებით.

საუბარი ჩვეულებრივად აეწყო. ქალბატონ ფეფუცას ჩემი თავი მე თვითონვე წარვუდგინე. როდესაც ვუთხარი, რომ მე სასირეთიდან ვარ-მეთქი, სიხარულით ცას ეწია. მას ხომ ქალიშვილობა სასირეთში ჰქონდა გატარებული, ბიძებთან — დედის ძმებთან, საკმაოდ კარგად იცნობდა ჩვენს სოფელს, თუმც დიდი ხანი აღარ ენახა.

მეკითხებოდა სასირეთის ამბებს. იგონებდა ადრე გარდაცვლილ ბიძებს, ნათესავებს, იქ გატარებულ წლებს.. მეკითხებოდა ვინ იყო მისი ნაცნობებიდან ცოცხალი და ვინ არა.

მერე მკითხა, სასირეთში რა ადგილას ცხოვრობთო. ქვემო უბანში-მეთქი, რომ ვუთხარი, მაშინვე მომიგო — გენერალ მაზნიაშვილის მეზობლადო?

— მახსოვს თქვენი სახლები, გრძელი სახლები გზის პირზე... ეე... რამდენი რამ გამახსენდება სასირეთში გატარებული წლებიდან. ამოოხვრით თქვა ბოლოს.

მე ყურადღებით მივჩერებოდი ქალბატონ ფეფუცას და ვგრძნობდი, დიახ, ვგრძნობდი, რომ ამჟამად იგი ბათუმში, შავი ზღვის პირას კი არა, მთელი თავისი ფიქრით, მთელი თავისი არსებით სასირეთში იყო და სასირეთის ჰაერით სუნთქავდა, სასირეთში გატარებულ ქალიშვილობის დროინდელ მოგონებებში რიალობდა.

მალე ბატონი გიორგი და მისი თანმხლები ქალი შემოგვიერთდნენ და სუფრას სულ სხვა ეშხი მიეცა. გოგლა მხიარულ გუნებაზე იყო, ხუმრობდა, ენაწყლიანობდა, თვითონაც იცინოდა, ჩვენც გვაცინებდა.

უცბად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჩემსკენ შემობრუნდა, ცალი მკლავი მხარზე გადამდო, ღონივრად მომწია, გამიცინა, მერე ქალბატონ ფეფუცას მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

— იცი ვინ არის ესა?

— ვიცი, ახლა გავიცანი...

— არ იცი! მე და ელიზბარი ქვისლები ვართ! — ეს რომ თქვა, ისე ხმამაღლა გადაიხარხარა, რომ რესტორანში მსხდომმა, ყველამ ჩვენ დაგვიწყო ცქერა.

— როგორ თუ ქვისლები?! — წარბები შეყარა ქალბატონმა ფეფუცამ და გაკვირვებით შემომაცქერდა. ხან გოგლას მიხჩერებოდა.

— როგორ და ასე!.. უფრო სწორად ქვისლები უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ არ მოხერხდა. თუ რატომ არ მოხერხდა, შენს ბიძაშვილ მაყვალას ჰკითხე! — მერე უამბო ქალბატონ ფეფუცას მე და მაყვალას ადრინდელი გატაცების შესახებ (ერთხელ დამცდა გოგლასთან ეს ამბავი და მეგონა აღარ ახსოვდა).

გოგლა მხიარულად ხარხარებდა. ქალბატონი ფეფუცაც მომხიბვლელად იცინოდა. ეს სიცილი ყველა იქ მყოფს გადასდებოდა. მე კი, ცოტა არ იყოს დარცხვენილი მივჩერებოდი ქალბატონ ფეფუცას, და არ ვიცი მეჩვენებოდა თუ ნამდვილად ასე იყო, იგი ძლიერ ჩამოგავდა პოეზიის არწივს.

სუფრას კარგახანს შევრჩით. ქეიფი რომ დამთავრდა, ფრიდონ ხალვაში აჭარული სიმკვირცხლით ზეზე წამოიჭრა და ჯიბეზე ხელი გაიკრა.

— მოითმინეთ ყმაწვილო, — სახე შეიკრა გოგლამ, — რატომ გავიწყდება ქართული სუფრის ტრადიციული წესი?

— არ დამვიწყებია, ბატონო გიორგი, მასპინძელი ხომ მე ვარ?!

— შენ კი არა, მე ვარ!

— ეს როგორ? — გაკვირვებით თვალები გაუფართოვდა ხალვაშს.

— როგორ და ასე!.. სად გაგონილა რესტორანში მე დაგპატიჟო, ფული კი შენ გადაიხადო. მერე რა, რომ ბათუმელი ხარ. ქართველ კაცს ეს არ უნდა შეეშალოს. მეორედ აღარ დაგემართოს თუ კაცი ხარ.

ფრიდონი სახტად დარჩა. მისი თანმხლები პოეტიც გაოცებული მიხჩერებოდა გოგლას. მე არ გამკვირვებია მხოლოდ, რადგან ვიცოდი მისი ხასიათი, რამდენჯერმე მეც ასე მომექცა.

სანამ ფრიდონი გონს მოვიდოდა, გოგლამ ანგარიში გაუსწორა ოფიციანტს და ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ახლა ფეფუცა მივაცილოთ ნომრამდე, დაღლილია, მოისვენოს, ჩვენ კი ბულვარზე გავისეირნოთ, თანახმა ხართ?

— სიამოვნებით, ბატონო გიორგი! — მივუგეთ ერთხმად.

ქალბატონი ფეფუცა მართლაც უძინარი ჩანდა, ისინი ხომ ამ დილით ჩამოვიდნენ თბილისიდან, წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ლამაზი იყო იმ დილით ბათუმი. კრიალა ცა დაგვყურებდა. მარადმწვანე ხეებით დაჩრდილული ბულვარი ადამიანის თვალს ერთნაირად ატკბობდა და აჯადოებდა. ზღვის ტალღების ხმაური ოდნავ აღწევდა ჩვენამდე.

ბულვარზე აჭარელი ახალგაზრდების გუნდი აგვედევნა. რა თქმა უნდა, მათ იცნეს გიორგი ლეონიძე, შორი-ახლო მოგვყვებოდნენ და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ სახელგანთქმულ მგოსანს. როგორც კი შევჩერდებოდით, ისინიც შეჩერდებოდნენ. გზას განვაგრძობდით და ისინიც გამოგვყვებოდნენ უკან.

როგორც ზემოთ ვთქვი, ბატონი გიორგი მხიარულ გუნებაზე იყო. გვიყვებოდა აჭარელ ლეონიძეებთან შეხვედრაზე, რომელიც მოეწყოთ მისთვის ბათუმში ყოფნის დროს.

უცბათ ჩვენი ყურადღება ბულვარზე მოსეირნე ახალგაზრდა ქალმა მიიპყრო, რომელსაც მკლავზე თოვლივით თეთრ, ქათქათა სახვევში გახვეული ჩვილი ეწვინა. ეტყობა ბავშვს ჩასძინებოდა და ახლა შინ მიჰყავდა.

ქალი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის თუ იქნებოდა, ძალზე ლამაზი იყო. ეცვა გემოვნებით და ისე მომხიბვლელად მოირხეოდა, რომ იტყვიან მთელი ბულვარი თან მოჰქონდა.

ჩვენ მონუსხულებივით გავჩერდით ერთ ადგილზე და ქალს დავუწყეთ ცქერა, რომელიც თანდათან უფრო გვიახლოვდებოდა.

უნებურად ბატონ გიორგის გავხედე. მე არასოდეს მენახა იგი ასეთი ანთებული თვალებით. მისი მზერა იმ ახალგაზრდა ქალს შეჰყინვოდა. გაოცებული მიხჩერებოდა და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

რატომღაც მომეჩვენა, რომ იმ ქალში ბატონი გიორგი ქართლის დედას ხედავდა. გული სიამაყით უძგერდა, რომ ამისთანა ქართველის დედები კვლავ უზრდიან საქართველოს ცოტნე დადიანებს, მაია წყნეთელებს, სამას არაგველებს, კრწანისის გმირებს...

ოო... მე არასოდეს მინახავს გოგლა ასეთი გაცისკროვნებული სახით, ასეთი ანთებული თვალებით.

განზე გავდექით, ქალს გზა დავუთმეთ. როგორც კი გაგვისწორდა, ბატონმა გიორგიმ ორი ნაბიჯი წინ წარსდგა და მოკრძალებით მიმართა.

— თქვენია, ქალბატონო ეს ყრმა?

— **Я не понимаю, что вы говорите, и что хотите?**

ამ მოულოდნელ პასუხზე გოგლა სახტად დარჩა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ისე გახდა.

— **Да ничего, ничего...**

უთხრა და ჩვენსკენ შემობრუნდა. გზა განვაგრძეთ, ისე გავლიეთ ბულვარი, ბატონ გიორგის ხმა არ ამოუღია, დადუმებული იყო, რომ იტყვიან, დანა პირს არ უხსნიდა.



ზღვას მივადექით. ერთხანს მდუმარებით შევცქეროდით მოლივლივე ტალღებს, მერე ბატონმა გიორგიმ მე და ფრიდონ ხალვაშს აქეთ-იქიდან მხარზე ხელი გადაგვდო და მცირე პაუზის შემდეგ თქვა:

—ამ ზღვაში ბინადრობს ერთი პატარა თევზი (მისი სახელი არ დამამახსოვრდა და ახლა ვნანობ რატომ არ ჩავიწერე), გარდა ამ პატარა თევზისა, ვეშაპი ყველაფერს ინელებს, რაც კი მის კუჭში მოხვდება. დროთა განმავლობაში იგი ნელ-ნელა სჭრის ვეშაპის კუჭს ერთ მშვენიერ დღეს გახვრეტს და გამოვა.

ამ პატარა თევზს მაგონებს საქართველო. რამდენმა ვეშაპმა გადაყლაპა იგი თავისი ისტორიის მანძილზე, მაგრამ ვერ მოინელა,

ნუ გეშინიათ, არ გადაშენდება ჩვენი ერი! — ეს რომ თქვა, სახე გაებადრა და კვლავ თავის მხიარულ განწყობილებას დაუბრუნდა.

ელიზბარ მაისურაძე

# როგორ ზრდიან შვილებს ამერიკელები



ამ ერთი წლის წინ შეიქმნა დავით სარაჯიშვილის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება. ახლახან კი ამ საზოგადოებასთან მუშაობას შეუდგა გამომცემლობა „ლომისი“.

უკვე გამოვიდა ახალი გამომცემლობის გრიფით დასტამბული პირველი წიგნიც — ჰაიმ ჯაინოტის „მშობლები და შვილები“.

ეს წიგნი მთელ მსოფლიოში ცნობილი წიგნია და სასიამოვნოა, რომ იგი ქართულადაც ითარგმნა (მთარგმნელი ელისაბედ ყვავილაშვილი). იგი ყველამ უნდა წაიკითხოს, ვისაც შვილები ჰყავს — წიგნი ხომ იმას გვაცნობს, როგორი ურთიერთობები გააჩნიათ მშობლებსა და შვილებს შეერთებულ შტატებში.

„დაპირებები და აუხდენელი იმედები“, „მუქარას სიჯიუტემდე მივყავართ“, „გზა სიწყნარისა და მშვიდობისაკენ“, „ჯიბის ფული“, „ნაცნობ-მეგობრები“, „როგორ ვუმკურნალოთ ეჭვიანობას“ — აი, ზოგიერთი ქვესათაური ამ წიგნიდან.

წიგნი იყიდება გამომცემლობა „მერანის“ მაღაზია-სალონში, მიიღება აგრეთვე კოლექტიური შეკვეთები წარმოება-დაწესებულებებიდან.

სხვადასხვა საგამომცემლო პროცესს გადის და მკითხველი მალე მიიღებს „ლომისის“ მიერ გამოცემულ ახალ წიგნებს: „ქართულ ისტორიულ ლექსიკონს“ (პირველი ტომი), „ქართულ სატრფიალო ლირიკას“, „ქართულ მინიატურულ პროზას“, „ვაჟა-ფშაველას რჩეულს“...

# ბერიას დანაშაულებრივი მოქმედება

**დავით მჭედლური**

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბერიას და იაგოდას მთელ რიგ საკითხებზე საერთო აზრი ჰქონდათ, კონკრეტულად, სტალინსა და მის მომავალზე. თუ ეს აღიარება ლუბიანკას კაზემატების დამსახურება არ არის, იაგოდას პროცესზე მისმა თანაშემწემ პაველ ბულანოვმა აღიარა, რომ იაგოდა სახელმწიფოებრივი მოწყობის ნიმუშად ჰიტლერულ გერმანიას მიიჩნევდაო. მას თითქმის აღარ ეეჭვებოდა სტალინის დამხობა და პორტფელებიც გადანაწილებული ჰქონია. თავად სახელმწიფოს მეთაურობას აპირებდა, რიკოვი პარტიის სათავეში უნდა ჩაეყენებინა, ბუხარინი გებელსის როლში ჰყავდა გათვალისწინებული და ა. შ. ბერიას, მისდა საბედნიეროდ, როგორც ჩანს, პორტფელი არ შეხვდა და გადარჩა. იაგოდას ჰიმლერის კოლეგად, ალბათ, ვინმე სხვა ჰყავდა ამორჩეული. სამაგიეროდ, ეს როლი ბერიას სტალინმა მოარგო პირდაპირი მნიშვნელობით. იალტის კონფერენციაზე სტალინი თურმე ხშირად მართავდა ქეიფებს და სუფრას ქართულ ყაიდაზე უძღვებოდა, რითაც დასავლელ მოკავშირეთა მოხიბვლას ცდილობდა. როგორც გრომიკო იგონებს, ერთხელ, როცა სუფრაზე დამსხდარან, რუზველტს უკითხავს — ელჩ გრომიკოს გვერდით რომ ზის, ის კაცი ვინ არისო. — ეს? — ეს ბერიაა, ჩვენი ჰიმლერი, — უთქვამს სტალინს, რითაც ერთობ შეუცბუნებია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

ბერიამ **НКВД**-ს შეფობა 1938 წლის დეკემბერში ჩაიბარა, როცა ის-ის იყო 39 წელი შეუსრულდა. მოხდა საოცარი ამბავი, ქვეყანაში უმალ შეწყდა ტერორის ტალღა, შეწყდა ძიებაში მყოფი უამრავი საქმე, თავისუფალ ცხოვრებას დაუბრუნდა ასიათასობით ადამიანი. ბანაკებში შერბილდა რეჟიმი და შიშით გათანგულ ქვეყანაში ბერია უმალ პოპულარულ პიროვნებად იქცა, ხალხს ნუგეში მიეცა და მომავლის რწმენა დაუბრუნდა.

აღიარებული ვერსიით, ეს ყველაფერი სტალინის სცენარით მოხდა, მაგრამ ხრუშჩოვი სხვა ცნობას გვაწვდის.

— რა ამბავია, — უთქვამს მისთვის ბერიას, როცა ის ჯერ კიდევ ეჟოვის მოადგილე იყო — ვიჭერთ ხალხს, ციხეებს ვავსებთ, უკვე ყველა რაიკომის მდივანი ჩავსვით, მალე დასაჭერი აღარავინ იქნება, უნდა მოვრჩეთ ამ საქმეს...

მოკლე დროში გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა „გადახრების“ საკითხი, ეს წყლიდან მშრალად ამოსვლის სტალინური მეთოდის მორიგი დემონსტრაცია იყო, როცა იგი თავის მიერ გაჩაღებულ გამანადგურებელი კამპანიების დასასრულს აუცილებლად პოულობდა ვიღაც დამნაშავეს. მიუხედავად ამისა, არავინ უარყოფდა ბერიას როლს ამ საქმეში, რომელმაც, საერთო აზრით, დაარწმუნა სტალინი, რომ ტერორმა ერთობ საშიშ ზღვარს მიაღწია და საჭირო იყო უკანდახევა (მოსკოვში უკვე დაიწყო ანტისაბჭოთა და ანტისტალინური პროკლამაციების გავრცელება). ბერიამ მტკიცედ განაგრძო „გადახრების“ წინააღმდეგ ბრძოლა და ცენტრალურ კომიტეტს სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე ექვსი დადგენილება მიაღებინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. კერძოდ, დადგენილებაში „დაპატიმრების, საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების შესახებ“ ნათქვამი იყო, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებმა ჩაშალეს დასმენითი და აგენტური ქსელი, ამჯობინებენ მასობრივად დააპატიმრონ ადამიანები, დგება დასაპატიმრებელთა ლიმიტები, გამოძიება მეტისმეტად გაიოლებულია, როცა გამოძიება კმაყოფილდება მხოლოდ ბრალდებულის აღიარებით. და ეს აღიარება გამაგრებული არ არის მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის აქტებით, ნივთიერი მტკიცებებით და სხვა“. გამოვლენილი იქნა საქმეების ფალსიფიკაციისა და უკანონო დაპატიმრების მრავალი შემთხვევა, მაგრამ იმდროინდელი ხელისკვეთებით, ეს ყველაფერი მიეწერებოდა შინაგან საქმეთა ორგანოებში შეღწეულ მტრებს. ორგანოებიდან დაითხოვეს და დასაჯეს მრავალი მუშაკი, წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლდა ათასობით ადამიანი.

ამის შემდეგ ბერიამ აქტიურად მიჰყო ხელი საბჭოთა სადაზვერვო ქსელის შექმნას მთელ მსოფლიოში. გერმანიაში ელჩად გაგზავნეს გამოცდილი ჩეკისტი დეკანოზოვი. ბერია ხელმძღვანელობს მრავალრიცხოვანი სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების მშენებლობას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელში თავს იყრის უზარმაზარი სახსრები და ამ უწყებას უდიდესი წვლილი შეაქვს იმპერიის ეკონომიკაში. ძველი ეპოქის მონათა დარად, ათასობით პატიმარი აშენებს არხებსა და რკინიგზებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, ამუშავებს წიაღისეულს...

მთელი ომის მანძილზე ბერია იყო უმაღლესი მთავარსარდლის უახლოესი თანამშრომელი და როგორც მთავარბანაკის წარმომადგენელი, ხშირად იმყოფებოდა ფრონტებზე, მათ შორის ორჯერ ჩამოვიდა კავკასიის ფრონტზე. ბერია, როგორც ჩანს, ვერ იყო ნიჭიერი სამხედრო მოღვაწე, მაგრამ თავისი გამუდმებული მუქარითა და კაპრიზებით სისხლს უშრობდა სამხედროებს. მას შეეძლო კადრების შერჩევა ნიჭიერების მიხედვით და ხშირად აღწევდა მეთაურთა შეცვლას. მაგალითად, მთავარბანაკმა ბერიას მოთხოვნით კავკასიის ფრონტიდან გაიწვია სტალინის მიერ „მოლაპარაკე ცხენად“ წოდებული, მისი ცარიცინელი მეგობარი მარშალი სემიონ ბუდიონი, რომელიც ძველი კავალერისტის მასშტაბებით აზროვნებდა, ახალ პირობებში ომისა არაფერი გაეგებოდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. სხვათა შორის, ბერიას დეპეშაში ბუდიონის შესახებ ნათქვამია „თავისი უმეცრების გამო აუცილებლად საქმეს წაახდენსო“.

1945 წლის 9 ივლისს, 46 წლის ლავრენტი ბერიას საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიენიჭა. 1939-1946 წლებში იგი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი იყო, 1946 წელს აირჩიეს პოლიტბიუროს წევრად. ამავე წელს მან შინაგან საქმეთა სამინისტრო კრუგლოვს გადააბარა, თავად კი მთლიანად პოლიტბიუროსა და მინისტრთა საბჭოში გადავიდა, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სახელმწიფო უშიშროების დარგში. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში დაიწყო გამალებული მუშაობა ატომური იარაღის შესაქმნელად, ატომური შეიარაღების სამთავრობო კომისიას სათავეში ჩაუდგა ლავრენტი ბერია და საბჭოთა იმპერია უმოკლეს დროში ატომურ სახელმწიფოდ იქცა.

ძველ თანამდებობას ბერია უკვე სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის 15 მარტს დაუბრუნდა, ერთ უწყებად გააერთიანა სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, რითაც შექმნა პლაცდარმი ხელისუფლებისათვის საბრძოლველად, ამავე დროს დატოვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტი. როგორც სასამართლო პროცესზე გოგლიძემ აჩვენა, ორი სამინისტროს შერწყმისას ბერია მთლიანად უარყოფდა თანამდებობებზე დანიშვნის ძველ წესს, რაც წინათ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით ხდებოდა, აპარატის გადახალისების საბაბით, ბერიამ დაითხოვა ცკ-ის მიერ დანიშნული ყოფილი პარტიული მუშაკები და შეუდგა სამინისტროს პროფესიონალებით დაკომპლექტებას. ზოგი მათგანი ციხეებიდანაც კი გაანთავისუფლა და თანამდებობა უბოძა.

სტალინის გარდაცვალებამ თითქოს ხელები გაუხსნა ბერიას, მან სწრაფად დაიწყო სულ ახალი და ახალი ღონისძიებების განხორციელება, რათა საბჭოთა კავშირი ოდნავ მაინც დამსგავსებოდა ცივილიზებულ ქვეყანას. ბერიას თითქმის ყოველ დღე შეჰქონდა მთავრობაში პროექტები, რომლებიც, მისი გავლენის წყალობით, მალე მტკიცდებოდა და მისივე მოქნილობითა და მომთხოვნელობით მთელ ქვეყანაში ოპერატიულად სრულდებოდა. ბერია თავის სტიქიაში იყო, მან მთლიანად უარყო მოხსენებითი ბარათების, განკარგულებების, მოხსენებების პარტიულ-ბიუროკრატიული სტილი, ალსავსე ფუჭსიტყვაობით, დოგმატიზმით, ფამილარობითა და მლიქვნელობით. ბერიას მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების სტილი სხარტია და საქმიანი, გადმოსცემს მხოლოდ საქმის არსს და მისი პრაქტიკული განხორციელების გზებს.

1953 წლის 6 მარტს, როცა სტალინის ცხედარი ჯერაც არ იყო გაციებული, ბერიამ მოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ სამმართველოთა ნუსხა და ცნობა იმის თაობაზე თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ ისინი. ამ ცნობის საფუძველზე მან მოამზადა პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო სამმართველოთა შესაბამისი სამინისტროების დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ. ამავე დროს, ბერიამ დააყენა საკითხი, რომ გ უ ლ ა გ ი ს მთელი სისტემა გადასცემოდა იუსტიციის სამინისტროს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს დარჩენოდა მხოლოდ ოპერატიული მუშაობისთვის საჭირო აპარატი. 18 მარტს მინისტრთა საბჭომ ბერიას ეს წინადადებები დაამტკიცა.

21 მარტს ბერიამ მინისტრთა საბჭოს წინაშე აღძრა საკითხი იმ გიგანტური მშენებლობების შეწყვეტის შესახებ, რომელიც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა და მხოლოდ სახსრების უზომო განიავებას იწვევდა (ამგვარმა გიგანტომანიამ ახალი გაქანება ჰპოვა ხრუშჩოვ-ბრეჟნევის დროს და ქვეყნის დაქცევის ერთ-ერთ მიზეზად იქცა). ბერიას წინადადებით შეჩერდა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობა, ვოლგა-ბალტიის საზღვაო გზა, ჰიდროკვანძი ქვემო დონზე... სულ შეჩერდა ოცი გიგანტური ობიექტის მშენებლობა.

24 მარტს ბერიამ წერილი დაუგზავნა პოლიტბიუროს წევრებს და აცნობა, რომ იმ დროისათვის პატიმრობაში სხვადასხვა ვადით იმყოფებოდა 2.526.402 ადამიანი, აქვე განმარტავდა, რომ მათი უმეტესობა არ იყო საზოგადოებისათვის საშიში. ბერია წინადადებას აყენებდა, რათა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიეღო კანონი ამნისტიის შესახებ.

27 მარტს გამოვიდა კანონი. პატიმრობიდან გათავისუფლდა მილიონ 181.264 კაცი (ამ მოვლენას ჩვეულებრივ მოსდევს უარყოფითი კომენტარი, აქაოდა, გათავისუფლებულმა პატიმრებმა კვლავ ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი და საზოგადოებაში დესტაბილიზაცია გამოიწვიეს, რაც ბერიას ბრალი სულაც არ იყო). ამასთანავე, გაუქმდა საპასპორტო შეზღუდვა 340 ქალაქში, სადაც მანამდე გათავისუფლებულ პატიმრებს ცხოვრება ეკრძალებოდათ. შესამჩნევად შერბილდა ამ კატეგორიის მოქალაქეებისადმი დამოკიდებულება იმ ქალაქებში, სადაც საპასპორტო რეჟიმი რჩებოდა, მაგალითად, 1953 წლის ივნისისათვის მოსკოვში უკვე ჩაწერილი იყო 31 ათასი ამნისტირებული, ლენინგრადში — 20 ათასი და ა. შ.

1953 წლის აპრილში ბერიამ შეწყვიტა სტალინის მიერ ინსპირირებული ე. წ. ექიმთა საქმე და პატიმრობიდან გაათავისუფლა ამ საქმეზე ყველა მსჯავრდებული. აპრილშივე პარტიის ცენტრალური



კომიტეტის პრეზიდიუმში (პოლიტბიუროში) ბერიამ შეიტანა წინადადება ე. წ. „განსაკუთრებული თათბირის“ უფლებათა შეზღუდვის შესახებ, რომელიც სტალინური ინკვიზიციის ძირითად იარაღს წარმოადგენდა.

ბერიამ აქტიურად დაიწყო ჩარევა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ცხოვრებაში, სცადა გადაეხალისებინა პარტიული კადრების შერჩევის სტილი, დაპატიმრებისას მას აღმოაჩნდა საქაღალდე, რომელშიც თავმოყრილი იყო სხვადასხვა დონის პარტიულ მუშაკთა (მათ შორის მ. სუსლოვის) მამხილებელი დოკუმენტები. ბერია ცდილობდა შინაგანი ორგანოების მეშვეობით კონტროლი დაეწესებინა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე და შეეზღუდა მათი განუსაზღვრელი ძალაუფლება, რამაც ერთობ დაძაბა ვითარება პარტიულ აპარატსა და ბერიას უწყებას შორის. სასამართლოზე და შემდგომი დროის პუბლიკაციებში ეს ყოველივე განმარტებული იქნა, როგორც ხელისუფლების მიტაცების ცდა.

— აღიარებთ თუ არა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ ყველა თქვენი მოქმედება მიმართული იყო ხელისუფლების მიტაცებისაკენ? — ჰკითხა პროცესზე გენერალმა მოსკალენკომ.

— მე ამას კატეგორიულად უარვყოფ — უპასუხა ბერიამ — უნდა ვთქვა, რომ განსაკუთრებული მოკრძალებით არ გამოვირჩეოდი, ეს ფაქტია, მე მართლაც ვყოფდი ცხვირს სხვა დარგებში, რომელთაც ჩემთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდათ, ესეც მართალია... რომ მე ვცდილობდი პოპულარობის მოპოვებას, მაგრამ რაც შეეხება ჩემს ბონაპარტისტულ განზრახვას, ეს მართალი არ არის.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბერიას ზეობის სამთვიანი პერიოდის კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც შეიძლება ბერიას ბონაპარტისტული ზრახვების სასარგებლოდ მეტყველებდეს. ხრუშჩოვის მოგონების მიხედვით, ბერიამ აპრილ-მაისში დაბეჯითებით დაიწყო იმ აზრის მტკიცება, რომ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს საკუთარი აგარაკები უნდა ჰქონდეს, რა ვიცით, ყველაფერი ხდებაო. საგარაკე ადგილიც თავადვე შეურჩია, სოხუმის ცენტრში მოსახლეობა უნდა აეყარათ, უზარმაზარი ტერიტორია ბეტონის მესერით შემოეღობათ და შიგ პერსონალური აგარაკები აეგოთ. პროექტიც შეადგინა, ხარჯებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიღებსო, აცხადებდა, მომავალ მოაგარაკეებს ცოტა არ იყოს ირონიულადაც ეუბნებოდა — შავი ზღვის გადაღმა თურქეთს დაინახავთ, ძმებო, ლამაზიარ. როგორც ხრუშჩოვი ვარაუდობს, სოხუმის ცენტრის მცხოვრებთა აყრით ბერიას სურდა ხალხის უკმაყოფილება გამოეწვია მთავრობის მიმართ, მაგრამ ეს მეტისმეტი გულუბრყვილობაა, მთავრობამ მთელი ხალხები აჰყარა, ციმბირსა და შუა აზიაში უკრა თავი და, აბა, სოხუმის ცენტრიდან რამდენიმე ათეული ოჯახის გასახლება რა დიდი ბედენა იყო.

უფრო სავარაუდოა, რომ ბერია სოხუმის ცენტრში კომფორტული სატუსაღოს აშენებას აპირებდა, სადაც თავს მოიყრიდნენ „ჯანმრთელობის მდგომარეობის“ გამო კოლექტიურად გადამდგარი ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელები და თავის მშობლიურ ქალაქში ბერია მათ ყველა პირობას შეუქმნიდა დანარჩენი ქვეყნიერებისაგან იზოლაციისათვის. თუ ეს ვარაუდი მართალია, ბერიას მოქმედება ცინიზმის კარგა მოზრდილ დოზას შეიცავს: მის მიერ გამრავლებული და პერსონალურად ჩამორიგებული მრავალფეროვანი პროექტებიდან სოხუმის მომავალ მკვიდრთ თავად უნდა აერჩიათ თავისი მომავალი სატუსაღოს სახე. თანაც ბერიას სამშობლოში. პოლიტიკის რანგში აყვანილი ცინიზმი საერთოდ ახასიათებდა ბუნებით ენამახვილსა და იუმორის მოყვარულ ბერიას. გვაუწყებენ, რომ იგი თვალშიმოსულ მოსკოველ ქალიშვილებს შინ მიიპატიჟებდა, სუფრასთან მოისვამდა და თუ სტუმარი დალევაზე უარს აცხადებდა, ბერია დაამუნათებდა — ერთი ჭიქა ქართული ღვინო მაინც უნდა დალიოთ ამხანაგ სტალინის სადღეგრძელოდო. სტუმარი, რა თქმა უნდა, სტალინის სადღეგრძელოზე უარს ვერ ამბობდა, ღვინოში ძილის წამალი იყო გარეული და ჩრდილოელი მზეთუნახავებიც მალე კარგავდნენ წინააღმდეგობის უნარს.

ბერიას რეფორმატორულმა მოღვაწეობამ სულ ოთხიოდე თვე გასტანა, მისი ბოლო აქტი იყო ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბერიას პროექტი ნაციონალური პოლიტიკის შესახებ, რომელიც წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ. უკვე თვალსაჩინო გახდა, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებებიდან ბერია აშკარა რეფორმებზე გადავიდა, რაც პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას მოასწავებდა. ეს კი თავზარს სცემდა და დაღუპვით ემუქრებოდა პარტოკრატიულ ელიტას. ისინი სტალინიზმის მტკიცე მიმდევრები იყვნენ და არავითარი სურვილი არ გააჩნდათ რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში რეფორმატორული მოძრაობის ტალღა აღეძრათ.

ჩქარობდა ბერია, მაგრამ არც მის მტრებს ეძინათ, შეთქმულება იმდენად მარტივი და მოულოდნელი იყო, რომ ბერიამ გაბრძოლებაც ვერ მოასწრო.

●

დავუბრუნდეთ ისევ იმ პერიოდს, როცა ბერია კრემლის უმაღლეს ელიტაში გამოჩნდა. მისმა მოსვლამ როგორღაც შეცვალა ადრინდელი ურთიერთობები, ბერიამ დაძაბულობა და საფრთხის გრძნობა დაამკვიდრა, თუმცა იგი უჩვეულოს არაფერს სჩადიოდა. ხრუშჩოვის მოგონების მიხედვით, ომის წინ სტალინმა ხმას უმატა, იგი თავის აგარაკზე იწვევდა პოლიტბიუროს წევრებს და გათენებამდე ქეიფობდნენ, თუმცა თვით სტალინი ცოტას სვამდა და არასოდეს თვრებოდა. სამაგიეროდ სხვებს აძალებდა, რომელთაც, რასაკვირველია, ამდენი სმა არ შეეძლოთ და საძაგლად ილეშებოდნენ. ამ საქმეზე ბერიაც აქტიურობდა და სასმისების ბოლომდე დაცლას მოითხოვდა, თუმცა დათრობით არც თავად თვრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სუფრაზე ყველაფერი მკაცრ სამედიცინო კონტროლს გადიოდა, ბერია საჭმელს პირს არ აკარებდა, მიირთმევდა მხოლოდ მწვანილს, რომელიც თურმე თავად მოჰქონდა, ამას სიფრთხილის გამო აკეთებდა, თუ ასეთი ჩვეულება ჰქონდა, ამის თქმა ძნელია. ამავე დროს თანამეინახეებს ლა-

(გაგრძელება მე-10 გვ.)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 38.

(გაგრძელება)

ვრენტი მოსწრებული ხუმრობითა და ანეკდოტებით ართობდა, როგორც ხრუშჩოვი წერს, იცოდა უამრავი „შუტკა-პრიბაუტკა". პოლიტბიუროს წევრთა ხუმრობა ხშირად ტლანქ ლაზღანდარობაში გადადიოდა, მათ უმეტესობა ერთმანეთს შენობითა და სახელით მიმართავდა, გამონაკლისი იყო მხოლოდ სტალინი.

ბერია, როგორც მოგონებებიდან ირკვევა, საინტერესო პიროვნება იყო და ადამიანებთან ადვილად შეეძლო დაახლოება. მისი უპირველესი მტერი ნიკიტა ხრუშჩოვი არაერთგზის აღნიშნავს ბერიასთან თავის ახლო მეგობრულ ურთიერთობას და ყველაფრის მიუხედავად, იგრძნობა, რომ სიმპათიით არის მისადმი გამსჭვალული.

ხრუშჩოვის გარდა, ბერია მეგობრობდა მიქოიანთან, ბულგანინთან და განსაკუთრებით მალენკოვთან. ეს უკანასკნელი მას თავის რთულ პოლიტიკურ თამაშში უფრო მეტად სჭირდებოდა, ვიდრე უბრალო მეგობარი.

საქმე ის არის, რომ ბერია დიდი ხნის წინათ გეგმავდა სტალინის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას, და თუ ამას ვერ შეძლებდა, ის ხომ მაინც იცოდა, რომ სტალინი ბოლოს და ბოლოს მოკვდებოდა. მას კი არ ეჩქარებოდა, ახალგაზრდა იყო და მოთმინებით იცდიდა. ასეთივე მოთმინებით ამზადებდა და უფრთხილდებოდა ადამიანს, ვინც შეიძლებოდა სტალინის შემცვლელად გამოეყენებინა, არა იმიტომ, რომ მას სტალინის თვისებები გააჩნდა, არამედ პირიქით, სრული ანტიპოდი იყო სტალინისა. ასეთ კაცად მას მალენკოვი მიაჩნდა. მალენკოვთან დაკავშირებული ბერიას გეგმები ცხადი გახდება თუ გავიხსენებთ ბერიას სიტყვებს, რომელიც ხრუშჩოვისათვის უთქვამს სტალინის სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე: — იგი (მალენკოვი) უნებისყოფო კაცია და თანაც დიდი აფრაკი ვინმე, თუ არ დავაკავე, აიწყვეტს, ამიტომ დავდივარ მასთან, რომ დავაკავო, ის რუსია, კულტურული ადამიანია და შეიძლება დაგვჭირდეს...

ამ სიტყვებში უნდა ამოვიკითხოთ ბერიას პოლიტიკური ამოცანა. სტალინის სიკვდილის ან ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემთხვევაში თვითონ კი არ აპირებდა ძალაუფლების აღებას, როგორც შემდგომში აბრალებდნენ (ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელიც იყო, საბჭოთა იმპერატორის ტახტზე მეორე ქართველის „ასვლას" არ შეიძლებოდა უარყოფითი რეაქცია არ მოჰყოლოდა), არამედ გეგმავდა რეჟიმის ლიბერალიზაციას, ხელისუფლების სათავეში რუსის, ამავე დროს, კულტურული ადამიანის ჩაყენებას, რომელსაც არ გააჩნდა მტკიცე ნებისყოფა და რომლის მართვაც ადვილად შეიძლებოდა. ეს ერთობ ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო და ბერია-მალენკოვის ტანდემი ძალზე თვალშისაცემი გახდა, მათი განუყრელი მეგობრობა უკვე სტალინსაც აღიზიანებდა: — ორი თაღლითი, ორი განუყრელი გაიძვერა — ბუზღუნებდა იგი, როცა ბერია და მალენკოვი საიდუმლო მუსაიფს გააბამდნენ. ომის შემდეგ სტალინმა რაღაც მიზეზით შერისხა მალენკოვი და შუა აზიაში გაგზავნა. ასეთ შემთხვევაში გაძევებული კაცის, თუნდაც საუკეთესო მეგობრის გამოსარჩლება სახიფათო იყო და თავს არავინ იდებდა, ბერიამ კი გარისკა და იმდენი ქნა, სტალინს გადაათქმევინა პირვანდელი გადაწყვეტილება, მალენკოვი ისევ კრემლში დააბრუნეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბერია ხალასი ბუნების კაცი იყო, მის ახლოს ყოფნას მაინც შიში და დაძაბულობა ახლდა, ყველა გრძნობდა, რომ ამ ენაკვიმატი და მოქნილი კაცის მიღმა მათთვის უცხო და საშიში პიროვნება იმალებოდა, გრძნობდა ამას თვით სტალინიც, მაგრამ ბერიას თავიდან მოცილება ადვილი აღარ იყო.

ბერია სტალინს ერთობ თავისუფლად ექცეოდა და როგორც ირკვევა, ცდილობდა თავის გავლენის ქვეშაც კი მოექცია, მაშინ როცა სხვები ბატკნებივით მორჩილნი იყვნენ და გარეგნული სიახლოვის მიუხედავად, ბელადის ყოველ შემოხედვაზე შიშით კანკალებდნენ.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში ბერიამ ბარემ ორჯერ ჩაიდინა ისეთი რამ, რაც მისგან უდიდეს რისკს მოითხოვდა და გამომჟღავნების შემთხვევაში დაღუპვა არ ასცდებოდა. მან რამდენჯერმე მოაწყო სტალინზე თავდასხმის ინსცენირება რიწის ტბასა და სოხუმის გზაზე, ვიღაც უცნობებმა ბუჩქებიდან სროლა აუტეხეს სტალინს, ბერიამ უნაკლოდ გაითამაშა სტალინის დაცვის სცენა და პირადად უკუაქცია „თავდამსხმელები".

ბერიას უყვარდა სტალინთან თავისი დამოკიდებულების საჯაროდ წარმოჩენა, პოლიტბიუროს სხდომებზე ხშირად ქართულად ელაპარაკებოდა, რაც შიშის ზარს სცემდა დანარჩენებს, ადვილი შესაძლებელი იყო იმ წუთს რომელიმე მათგანის ბედი წყდებოდა. ბერიამ კრემლში მისვლისთანავე ქართული გარემო შეუქმნა სტალინს, კრემლისა და სტალინის აგარაკების მომსახურე პერსონალი ქართველებისგან დააკომპლექტეს. სტალინმა ეს შენიშნა და ერთხელაც გაფთრებულმა იყვირა: — ეს რა ქართული გარემოცვაა ჩემს ირგვლივ, ვინ გააკეთა ეს, სასწრაფოდ მომაცილეთ! — ეს იმიტომ, რომ ქართველები თქვენი ერთგული არიან, — შეეპასუხა ბერია. — განა რუსები კი არ არიან ჩემი ერთგული? — კიდევ უფრო აღშფოთდა „იმპერატორი".

ბერია იძულებული გახდა გადაეხალისებინა სტალინის მომსახურე პერსონალი.

ხრუშჩოვი თავის გვიანდელ მოგონებებშიც კი აღშფოთებას ვერ მალავს ბერიასგან სტალინის უპატივცემულობის გამო მისი სიცოცხლის ბოლო წლებში. ბერია აშკარად ქირდავდა დიდების მწვერვალზე აღზევებულ სტალინს, უფრო მეტად მალენკოვთან საუბრებში, მაგრამ ამ საუბრებს სხვებიც ისმენდნენ. ყველაფრიდან ჩანს, რომ ბერია პოლიტბიუროს სხვა წევრებივით სტალინით მოხიბლული არასოდეს ყოფილა. ხშირად მასთან სახიფათო თამაშში ებმებოდა და როგორც კი საამისო საშუალება მიეცემოდა, მზად იყო დიქტატორის დასამხობად. ჯერ კიდევ თბილისში, ბერიას სახლის დერეფანში, მაჩაბლის ქუჩაზე, მისი დაცვის უფროსმა სარქისოვმა გაიგონა, როგორ ესაუბრებოდა ბერია რომელიღაც თანამშრომელს სტალინის შესახებ, ისინი ქართულად საუბრობდნენ, მაგრამ როცა პოლკოვნიკ სარქისოვს ჩაუარეს, ბერიამ ნარევი რუსულ-ქართულით თქვა: „კაცო, მი ეგო პოდნიალი ტაკ ვისოკო".

ასეთი განწყობილებებით ცხოვრება და სტალინის გვერდით ყოფნა, რასაკვირველია, მისთვის ადვილი არ იყო. სურდა თუ არა, საძულველი დიქტატორის წინაშე ერთგული კარისკაცის როლი უნდა ეთამაშა. თანაც ეთამაშა უნაკლოდ, რადგან სტალინს საოცრად გამახვილებული ჰქონდა ადამიანთა განწყობილებების შეცნობის უნარი.

ფართოდ არის გავრცელებული ვერსია, რომ სტალინი ბერიას შეთქმულების მსხვერპლი გახდა, ძნელია იმის თქმა შეესაბამება თუ არა ეს ჭეშმარიტებას, მიუხედავად იმისა, რომ სოლიდური ლიტერატურა უჭერს მხარს, მაგრამ ეს ლიტერატურა არა უტყუარ დოკუმენტებს ან მოწმეთა ჩვენებებს, არამედ პოლიტიკური მომენტების ანალიზს ემყარება, აქ კი ალბათობა ძალზე დიდია.

ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ბერია მომზადებული შეხვდა სტალინის სიკვდილს, მთელს მმართველ ელიტაში იგი ერთადერთი იყო, რომელმაც იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა იმ წუთს, როცა სტალინი სიკვდილს ებრძოდა. მაშინ, როცა პოლიტბიუროს წევრები და მათ შორის ხრუშჩოვი, დაბნეულები ყმაწვილებივით იცრემლებოდნენ, არ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ და რა მოელოდათ, ბერია გახარებული, ენერგიით აღსავსე და სამოქმედოდ შემართული იყო. ამ წუთებს კარგად აღწერს სვეტლანა ალილუევა: „მხოლოდ ერთი ადამიანი იქცეოდა უზრდელად, ეს ბერია გახლდათ. უკიდურესად ალგზნებულს, ისედაც შემზარავი სახე უფრო და უფრო უმახინჯდებოდა ვნებებისაგან, მისი ვნებები კი პატივმოყვარეობა, სისასტიკე, გაქნილობა, ძალაუფლება და მხოლოდ ძალაუფლება გახლდათ, ამ პასუხსაგებ წუთებშიც ვიღაცის მოტყუებას ცდილობდა... როცა ყველაფერი დასრულდა, პირველი გავარდა დერეფანში და ოთახის სიჩუმეში, სადაც მიცვალებულის სარეცელთან ყველანი დუმდნენ, ისმოდა მისი ხმამაღალი, მოზეიმე ძახილი: „ხრუსტალევ, მანქანა!"

არსებობს ვერსიები ბერიას მიერ სტალინის სიკვდილისას წარმოთქმული სიტყვებისა: „ტირანი მოკვდა!", „დამთავრდა დიქტატურა!", „იგი ტირანი იყო, შიშსა და სიკვდილს თესავდა!"... არავინ იცის, რომელია აქედან მართალი, ცხადი კი მხოლოდ ის არის, რომ ბერია დიდი ხნის მანძილზე ელოდა სტალინის აღსასრულს და მზად იყო დაუყოვნებლივ შეეცვალა სტალინის მიერ დაწყებული „კომუნიზმის მშენებლობის" გზა.

შესაძლოა ბერიას სიძულვილს სტალინისადმი ისიც აძლიერებდა, რომ მისი ნებით მუდმივი ჯალათობისთვის იქნა განწირული. გავიხსენოთ, რომ ბერიამ ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას შეიტანა თხოვნა ჩეკაში საკმაოდ მაღალი თანამდებობიდან გადადგომისა და ინსტიტუტში დაბრუნების შესახებ. 1931 წელს ბერია პარტიულ სამუშაოზე გადავიდა, მაგრამ 1938 წელს სტალინმა იგი ისევ სადამსჯელო ორგანოებში განაწესა. ამ ორგანოების სტრუქტურა და როლი რომ ბერიასთვის მიუღებელი იყო, ცხადი გახდა სტალინის გარდაცვალების უმალვე. ბერიამ იმავე მარტში ჩამოაშორა გულაგის შემზარავი სისტემა თავის უწყებას და იგი იუსტიციის სამინისტროს დაუქვემდებარა, შეზღუდა სტალინის მიერ შემოღებული „საგანგებო თათბირის" უფლებები, მშენებლობის სამინისტროს გადასცა ტუსაღთა სამშენებლო რაზმები და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ ოპერატიული სამსახური დაუტოვა. თუ ობიექტურად შევხედავთ, ღონისძიებები, რომელიც ბერიამ სტალინის გარდაცვალებისთანავე წამოიწყო, რაც უნდა პარადოქსულად გვეჩვენოს, მიმართული იყო სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ საფუძვლებზე დამყარებისაკენ. ეს იყო პარტიის მიერ უზურპირებული ხელისუფლების დამხობისათვის ბრძოლა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის როლის აშკარა იგნორირება და ამრიგად, „მესამე ძალის" ჩამოცილება სახელმწიფოს მმართველობიდან. ამ ბრძოლამ განსაზღვრა ბერიას შემდგომი ბედიც. იგი დაუპირისპირდა უზარმაზარ პარტიულ ბიუროკრატიას, რომელსაც ხელთ ეპყრა მთელი ძალაუფლება და ხალხში განუსაზღვრელი ავტორიტეტი გააჩნდა. როგორც ჩანს, ბერია არ იყო პოლიტიკური სტრატეგი, იგი ძალზე ჩქარობდა, თავის რეფორმატორულ მოძრაობას ვერ მოუმზადა იდეოლოგიური საფუძველი და მხოლოდ შინაგანი უშიშროების ძალებს ეყრდნობოდა. სტალინური გზიდან ამგვარი ჯიქური გადახვევა არ შეიძლებოდა სხვაგვარად დამთავრებულიყო თუ არა კრახით. ქვეყანა ჯერ კიდევ დიქტატორის გიგანტური ჩრდილის ქვეშ სთვლემდა, მის სახელს ფიცულობდა და ტოტალიტარიზმის შერყევა თითქოს შეუძლებელი ჩანდა. სტალინი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე სჭედდა ამ სიმტკიცეს და ერთსულოვნებას, თაობებს უნერგავდნენ რწმენას, რომ ერთადერთი შეუმცდარი ადამიანი იყო სტალინი, ერთადერთი შეუმცდარი პოლიტიკური ძალა კომუნისტური პარტია, ერთადერთი სწორი გზა საბჭოური სოციალიზმის მშენებლობის გზა და ამ სამერთიანობისადმი ყოველგვარი ოპოზიცია განიხილებოდა მტრობად, რომელიც მხოლოდ სიკვდილს იმსახურებდა.

ერთი სიტყვით, ბერიას მთავარი „დანაშაული" „არაკომუნისტური" შეხედულებები იყო, რამაც განაპირობა მისი სასტიკი განადგურება. სხვა შემთხვევაში, თუ ვერ გაიმარჯვებდა, ისიც „ჯანმრთელობის გამო" გადამდგარ საპატიო პენსიონერად იქცეოდა.

სანამ ბერია რეფორმატორული ღონისძიებებით იყო გართული, მის გარშემო ნელ-ნელა იხლართებოდა შეთქმულების ქსელი, რომელიც პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატს, თავისდა საბედისწეროდ, შეუმჩნეველი დარჩა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების უმაღლესი წრეები შიშმა და განგაშმა მოიცვა. ეს არ იყო ტირანის გაგრძელების წინაშე შიში, არამედ, უპირველესად, დაკავშირებული იყო ბერიას პიროვნებასთან, ამ გამოუცნობ ადამიანთან, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო არაორდინალური მოქმედება, უმაღლეს პარტიულ წრეებში იცოდნენ, რომ თუ ბერია ხელთ იგდებდა ძალაუფლებას, ეს ახალ რევოლუციას ნიშნავდა, რომელსაც მოჰყვებოდა „ოქტომბრის მონაპოვართა" დამხობა და კაპიტალიზმის რესტავრაცია, ანუ სახელმწიფო მმართველობის ცივილიზებულ ფორმაზე გადასვლა. მაშასადამე, ეს რევოლუცია უპირველესად კომუნისტების და, რასა თქმა უნდა, მმართველი ზედა ფენის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. აქედან მოდიოდა ხრუშჩოვის ცხოველური შიში, რასაც ის შეთქმულების მონაწილეებსაც უნერგავდა: „ის ჩვენ გაგვანადგურებს". პარტიული კადრების განადგურებაში ბერიას დიდი გამოცდილება ჰქონდა, 1937-38 წლების რეპრესიებმა ხომ უმთავრესად პარტიული ბიუროკრატიის ფენები იმსხვერპლა. ბერია თვალის დაუხამხამებლად სპობდა სხვადასხვა დონის ათასობით პარტიულ და საბჭოთა მუშაკს. სასამართლო პროცესზე ს. გოგლიძემ აჩვენა, რომ ბერია განსაკუთრებით მოითხოვდა მიეღოთ პატიმართა ჩვენებები პარტიულ მუშაკებზე და თუ ასეთი ჩვენების მიღება ვერ ხერხდებოდა, იგი მაინც იძლეოდა განკარგულებას დაეპატიმრებინათ ათეულობით პარტიული და საბჭოთა მუშაკი.

ახლა ძნელია იმის თქმა, ბერიას მხრიდან ეს მიზანმიმართული მოქმედება იყო კომუნისტების წინააღმდეგ, თუ უბრალოდ პირადი ანგარიშსწორება.

ახალ ვითარებაში კი შეიძლებოდა კომუნისტების ხელისუფლება მთლიანად დამხობილიყო და საფრთხე შექმნოდა თვით იმპერიის მთლიანობას, ვინაიდან ბერიას ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც რესპუბლიკების ფაქტობრივ სუვერენიტეტს მოასწავებდა, პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ხალხთა შერწყმა-შერევის აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდა კომუნისტური პარტია.

ბერიამ თვალთვალი დაუწესა მთელ პარტიულ ბიუროკრატიას და შეუდგა მათი მაკომპრომეტირებელი მასალების შეკრებას. თუმცა ეს ყოველივე უფრო ნათლად არის ფორმულირებული ბერიას საბრალდებო დასკვნაში: „ბერიამ შეაკოწიწა საბჭოთა სახელმწიფოს მტრულ შეთქმულთა ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა გამოეყენებინა შინაგან საქმეთა ორგანოები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, მიეტაცებინა ხელისუფლება, მოესდინა საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია და კაპიტალიზმის რესტავრაცია, აღედგინა ბურჟუაზიული ხელისუფლება... გახდა რა შინაგან საქმეთა მინისტრი 1953 წლის მარტში, ბერიამ დაიწყო ცილისმწამებლური მონაცემების შეგროვება პარტიაზე, მის შემადგენლობაზე, ცდილობდა ხელი შეეშალა პარტიული ორგანოების მუშაობისათვის, მიღებული იქნა ზომები მოკავშირე რესპუბლიკებში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების აქტივიზაციისათვის, მტრობის გაღვივებისა და შუღლისათვის სსრკ ხალხებს შორის". ამ მორიგი ფრაზების იდეოლოგიური შინაარსი დღეს კარგად არის ცნობილი, ცნობილია მათი საბჭოური მნიშვნელობა. მაგალითად, „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები" უნდა გავიგოთ, როგორც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალები. „სსრკ ხალხთა შორის მტრობა და შუღლი" — ერთა თვითგამორკვევისათვის ბრძოლა, „შეთქმულთა ჯგუფი" — ეს ოპოზიციაა, „ცილისმწამებლური მონაცემების შეგროვება პარტიაზე" — ბოლშევიკების ბოროტმოქმედებათა მხილების ცდა და ა. შ.

ნიკიტა ხრუშჩოვის ეჭვებს, რომ „ბერია კომუნისტი არ არის", გასაქანი მიეცა: „მე უკვე დიდი ხნის წინათ ვიცოდი, რომ ის არავითარი კომუნისტი არ არის, მე მას ვთვლიდი ვერაგ ოპორტუნისტად, რომელიც არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს, რათა თავისას მიაღწიოს. იდეოლოგიური თვალსაზრისით, ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, არ შეესაბამებოდა კომუნისტურ იდეალებს". სხვათა შორის, იგივე აზრისა იყო ბერიას შესახებ მისი თანაშემწე პეტრე შარია. „ბერია არ იყო საბჭოური ტიპის მოღვაწე" — თქვა მან დაკითხვისას.

შეთქმულების ქსელის გაბმა ხრუშჩოვმა სტალინის ავადმყოფობის პერიოდშივე დაიწყო. თუმცა, ჯერ კიდევ 1950 წელს გადაუწყვეტია, რომ: „როცა მოკვდება სტალინი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ბერიამ არ დაიკავოს პარტიაში წამყვანი ადგილი, რადგან ეს იქნება პარტიის აღსასრული (ხაზი ჩემია, დ. მ.) მე აგრეთვე ვთვლიდი რომ მას შეეძლო მიეყვანეთ რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვამდე, რომ ის შემოაბრუნებდა ქვეყანას განვითარების არა სოციალისტური, არამედ კაპიტალისტური გზით".

●

ახლა განვიხილოთ ზოგიერთი ბრალდება, რომელიც სასამართლო პროცესზე წაუყენეს ბერიას. ეს ბრალდებები უშუალოდ გამომდინარეობს ზემოთქმულიდან და გარკვეულ არგუმენტაციას ემყარება.

ბერიას ერთ-ერთ მთავარ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებად საბრალდებო დასკვნაში მიჩნეული იყო მის მიერ კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი როლის იგნორირება. ეს ბრალდება მარტო ეჭვებსა და ბერიას „არაკომუნისტურ" მოქმედებაზე დაკვირვებას როდი ემყარება, არამედ გარკვეული პოლიტიკური აქტი უდევს საფუძვლად.

ბუნებრივია, სტალინის გარდაცვალების უმალვე დაისვა საკითხი ხელისუფლების მწვერვალზე ძალთა გადანაწილების შესახებ. მიიღეს გადაწყვეტილება ორი უმაღლესი პოსტის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცალკევების შესახებ, რომლებიც ერთდროულად ეკავა სტალინს.

ბერია 1953 წლის მარტის პლენუმზე წამყვანი ფიგურა იყო და პორტფელებიც, ფაქტობრივად, მან დაანაწილა, მისი წინადადებით, მალენკოვი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. ამით ბერიამ თავის პოლიტიკურ თამაშში მას მთავარი ფუნქცია დააკისრა; მაგრამ იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ბუტაფორული თანამდებობა იყო. ქვეყანას, ფაქტობრივად, განაგებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გარშემო შემოკრებილი პატარა ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა დროს პრეზიდიუმად, პოლიტბიუროდ, ბიუროდ იწოდებოდა. მინისტრთა კაბინეტი მათი გადაწყვეტილების უსიტყვო განმახორციელებელი იყო. ბერიამ კი მიზნად დაისახა პარტიის ხელიდან ძალაუფლების გამოგლეჯა და მისი მინისტრთა საბჭოსათვის გადაცემა. მაგრამ, იგი, ამავე დროს, გრძნობდა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ და დამკვიდრებულ მართვის სტრუქტურას ერთი ხელის მოსმით ვერ დაარღვევდა, ამიტომ ყველაფერს გადაწყვეტდა ორი კაცის პიროვნება, რომელიც ამ ორ უმაღლეს თანამდებობას დაიკავებდა. ამით იყო განპირობებული, რომ ბერიასავე წინადადებით, პარტიის ლიდერობა ნიკიტა ხრუშჩოვისთვის გაითვალისწინეს, რომელიც საერთო აზრით, უფერული, მეორეხარისხოვანი ფიგურა იყო, არც ავტორიტეტი გააჩნდა და არც დამოუკიდებელი მოქმედების უნარი შესწევდა. ამრიგად, ბერიას ვარაუდით, მინისტრთა საბჭოს სათავეში ჩაუდგა მისი მარიონეტი „კულტურული რუსი" მალენკოვი, ხოლო პარტია აღმოჩნდა უთავბოლოდ მოლაყბე, მოსულელო „მუჟიკის" ნიკიტა ხრუშჩოვის ხელში, რაც თავისთავად მოასწავებდა პარტიის ხელმძღვანელი როლის დაქვეითებას და მთელი ძალაუფლების მინისტრთა საბჭოს ხელში თავმოყრას, ეს იყო პრაქტიკული ნაბიჯი მმართველობის ცივილიზებული ფორმების დამკვიდრებისაკენ.

ამავე დროს, ბერიას წინადადებით, მალენკოვი აერთიანებს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და ამ უწყების მეთაურად ინიშნება ბერია.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

# ულდის ბერზინში



ლატვიელი პოეტი და მთარგმნელი ულდის ბერზინში ცნობილია, როგორც პოლიგლოტი, რომელიც თითქმის ორ ათეულ ენას ფლობს და თარგმნის კიდევაც ამ ენებიდან: დაიწყო თურქულით... ბოლო ხანებში ცხოვრობდა შვეციაში, სადაც შეისწავლა შვედური ენა.

იგი ცნობილია, როგორც პოეტი-ავანგარდისტი, რომლისთვისაც უცხო არ არის ეპატაჟი.

ულდის ბერზინში საქართველოს, ქართული პოეზიისა და ქართველი პოეტების მეგობარია, იგი ლატვიური ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია.

ამ დღეებში შევიტყვე, რომ ულდის ბერზინში ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ აურჩევიათ (ლატვიაში სოციალ-დემოკრატია შვედური სოციალიზმის მიმდევარია. — რ. კ.), რამაც მისი ძველი მეგობრების გაოცება გამოიწვია...

თუმცა, როგორც იტყვიან: ღმერთმა ხელი მოუმართოს!.. სხვა დანარჩენი მის ლექსებშია.

იგი დაიბადა 1944 წ. თარგმნის ბევრს, წერს ცოტას — გამოცემული აქვს ლექსების ორი კრებული: „ძეგლის თხას“ (1980) და „პოეტიზმი ბელორუსი“ (1984).

**რენე კალანდია**

## იან პალახის[1] ცეცხლი

ა) უეჭველია რომ ამ ხალამოს სალუტია ისე
ბრიალებს ზეცა.
არა ჭაბუკი მოაბიჯებს ამაყად ცეცხლში აი,
რის გამო არის ასეთი ელვარება და ნათელში მოდის
ჭაბუკი სამი დღეა და იძირება ბოდვის მორევში
და კვნესის იგი აკი სტკივა ძალიან სტკივა
და იგი კიდეც დაიბუგა აჰა დაიწვა დაიფერფლა
მაგრამ არ ქრება ელვარება და არ იშრიტება ნათელი.
და თუ გუშინ ჯერაც არ იყო განსხვავება თუ
სად არის სიმართლე და სად არ არსებობს სიმართლის
სხივიც ხოლო დღეს არის პირიქით ეს უკვე
ნიშნავს რომ ის ჭაბუკი არ მოდიოდა ამაოდ.
ბ) ეს რაა ნეტავ დავყრუვდი თუ ირგვლივ ასეთი
მყუდროებაა.
არა მე არ დავყრუებულვარ.
მესმის ნიჩბების ჩხარაჩხური ისინი თხრიან
გაყინულ მიწას და ირგვლივ დგანან ქალაქები ნიჩბების
ჩხარუნს ზეზეულად უსმენს ყველა სახელგანთქმული ქალაქი.
გ) დღეს სალამოს ყველა ცნობილი მოედანი შეიკრიბება
პრაღაში ასე იტყოდა ალბათ ნაზიმ[2] ყველა
ცნობილი მოედანი ერთიმეორეს ხვდება პრაღაში
ცენტრში — ვაცლავის მოედანზე ასე იტყოდა ალბათ
ნაზიმი ბიჭო იწვოდე კერემივით წყვდიადისა და
ტანკების ჯიბრზე გაივლის წელი და მეორეც და კიდევ
ასწელი გაივლის და შენ ჭაბუკო მაინც იქნები
როგორც ცეცხლი.
საიქნურად ნარინჯისფერ მწვრე ცეცხლად.
წმინდანის მიერ გატაცებულ ცეცხლად დარჩები
მარადის.
გულო ძალლო როგორ ჩერდები მკერდში!
ცეცხლს ათასობით წაიღებენ დაარიგებენ ევროპებსა
და ამერიკებში შემდეგ სანთლებით და თვალებით
მოიტანენ ჩვენს ლატვიაში და ჩაიტანენ ლენინგრადში
მარსის მინდორზე.

[1] ჩეხი ახალგაზრდა, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის 1968 წლის ოკუპაციასთან დაკავშირებით პროტესტის ნიშნად სახალხოდ დაიწვა თავი ვაცლავის მოედანზე.

[2] იგულისხმება ნაზიმ ჰიქმეთი, რომლის ლექსები ლატვიურად თარგმნა უ. ბერზინშმა.

ჭექა-ქუხილი ელვა ზეცა შეძრწუნებულა იგი ირყევა
და ტანში უვლის ჟრუანტელი შენი ცეცხლით
აბრიალებულს.
შემდეგ მერე კი.
დ) შემდეგ კი გადის ასი წელი და მე ვხედავ
უკვე შევედი იმ დაპირებულ კომუნიზმში თანაც შევედი
იმისათვის რომ მეკითხა მითხარით ხალხნო იყო თუ არა
ის ახალგაზრდა მართალი და ისინი მპასუხობენ
მართალი იყო.

●

წვიმის მერე,
როცა მიწა უკან აბრუნებს
ჩემს ტანჯულ ნეშტს,
როცა ზეცა გაიბადრება კამის სიმწვანით,
წვიმის მერე.

წვიმის მერე,
როცა გარეთ გადის დინჯი ესტონელი,
როცა ლიტველი გადაახტება გუბეებს,
როცა იწყებენ წელში გამართვას დამძიმებული ყვავილები,
ხოლო ძვლები საფლავებში
ხდება ჩემი საკუთრება
და ისინი გრძნობენ, ალღოს აულებენ ვითარებას და
წამოდგებიან,
წვიმის მერე.

წვიმის მერე,
როცა ასე ახლო-ახლო მოიქცევა ზღვა,
როცა მიწა მეუბნება: — ადექი, ბიჭო!
როცა ადრე გარდაცვლილნი ბალახების ღეროებიდან
აორთქლდებიან
და შეერთდებიან ღრმა ამოსუნთქვაში,
წვიმის მერე.

### ჰქვია

დახე როგორი ბალახია თანაც ტყეში იზრდება და
როგორც გველი იკლაკნება ვიშ რა კარგია ესეც ახალი
ამბავია მაგრამ ამ ბალახს რა ჰქვია.

დახე ფრინველი ლაღად მიფრინავს მინდორში ცვივა
თეთრი ბუმბული მინდორი იწვის ესეც ახალი ამბავია
მაგრამ იმ ფრინველს რა ჰქვია.

დახე ყვავილი — თოვლისფერი მინდორში იწვის მიდი
მოწყვიტე ესეც ახალი ამბავია უმჯობესია რომ მე მითხრა
ამ ყვავილს რა ჰქვია.

### მაისი ღრუბლებში

გამოიღვიძა ღმერთმა? მე ბულბულებთან ვაკაკუნებ დამთხვეულივით, სხვა არავინ გაალებს კარს, მარტოოდენ ჩრდილოეთია — ნათელი მწვანე ფანჯარა, სადაც ყოველი ცისმარე დღე, ვით შარავანდი ცისარტყელას შვიდი ფერიდან, ბრუნავს მიწის შუშის ირგვლივ, მიხმობს, რომ თვალი არ დავხუჭო, და ბულბულები კივიან, მე — ლატვიურად ვღრიალებ, ხოლო ზემოთ, ანუ ახლოს ესტონეთია, ესტონეთი გიზგიზებს ფაფუკ ღრუბლებში (მიდი, ალხდექ წინააღმდეგ ამ ლაქიური ლაქუციისა, აკი გული ულმობელია — უკნიდან, სადაც მცხუნვარე წყვდიადში კვლავ ბუტბუტებენ რომი, სტამბული, ბინდში ბუზღუნებს კაირო და დუმს ელ-კუდსი, ბუყბუყებს დედამიწის სფეროს ხაოიანი, თან ცარიელი ფაშვი, სადაც დიდხანს ხრაშნიან ფალიას და აყავთ მძევლები, სადაც მოიწევს სიცრუე, როგორც მთა მთის წინააღმდეგ — ვინ გადააგდებს ვის? ცხელი, წმებვარე ფოთლებიდან წვეთს მურაცხი, ხრიალი, ქავილი, ოფლი, სიცილი, სიმყრალე ხშულად და ყურთამდე ღიად, სადაც ბუშტულებია). წმიდა არს! წმიდა არს! ჭექა-ქუხილი ღრუბლებშია, წელი აანთებს ჩირაღდანს და ბულბულები ღრიალებენ, ჩრდილოეთის გზა გავლილი არის ასმილიანი ნაბიჯებით, ჭიხვინებენ გრანიტის ცხენები, დაფიონი ერთვის დაფიონს, იწვის ცაზე, ანთია ჭაში, ხანაც ხელში და გუბეში, ეს მერამდენე ღამეა,
რაც მართლაც იწვის, წელიწადი ყალყზე შედგა, ჰეი, ღამის ნახევარო და შენც, ჭვირვალო საუკუნევ, ბულბულები ისევ ყვირიან, უსასრულო მრუდე ხაზებს შორის ღრეჩო შეკუმშულია მარადისობით იჟორელთა[1] შესახებ და მათი ხორბლით სავსე თოფრებზე დაწერილია სქელტანიან წიგნებში (გადამწერლებს — თაყვანისცემა, მოსარჩლეებს — ჩემი მდაბალი) თვით ჩრდილოეთისა, მწვანე ვაშლის ხის ფანჯარაში (ოჰ, ბულბულები ბღავიან) მე დამჭაბნიან ბულბულები და ბურუსის ვარჯებს დახრიან და შემოხავენ შიშველ სოფლებს, ყოფიერება აფეთქდება ყველა ნაცნობი მიმართულებით (ყლორტებს და რტოებს მიერეკება ჟამი, ამწიფებს და შემოდის გაბედულად შენს ხანმოკლე წუთისოფელში!). ყველა დალლილ საუკუნეში აჩხარუნებენ მედგარ ჯავარდენს ბულბულები.

ვით ბნელ ოთახში, ვეებერთელა მწვანე-ფერმკრთალი ფანჯარა, ვაი, დასწყევლოს მართლაც ეშმაკმა — ნახევარი ზეცის სიდიდის არის ფანჯარა! იქ ცისმარე დღეს ნათელია, იქ — მარადი ივანობაა, მიდი, ალხდექ წინააღმდეგ ამ ლაქიური ლაქუცის გზისა.

●

გზაა ჭაობის კოლბოხებზე მიწა გარბის პრანწია
უხმობს მაგრამ ტყისკაცი ჯერაც შორსაა მოდი ერთი
წავიჭიდაოთ მოდი კურდღელო ძამია.

ღმერთი კარდაკარ დადის ბლეზი ძაღლები ყეფენ
მაგრამ არაა ხრსად დათვი და მგელიც არ ჩანს მოდი
კურდღელო ძამია.

მალე დადგება შუაღამე: ზანტად ფრუტუნებს ულაყი
და მიწას ქაჩაჩით ჩიჩქნის უკვე ქამარი შემოვირტყიშემოვისალტე და გიცდი კურდღელო ძამია.

●

დაუგავის გუგუნი თუ
მწერთა ნაბიჯების ხმა?

სულის აღზევებას გაყვნენ,
აქ შთენილი: სიპი ქვაა.

გზებზე ჭინჭარი რბის ოთხით:
პოლონელ-შვედი სადაა[2].

### ლიფლანდია ოთხიდან ხუთამდე

აჰა, ძველთაძველ სიჩუმეშია, ვით ქვედატანში ბებერი ბალი, თუმცალა წიგნში არ წერია, მაგრამ კვლავ კვნესენ ბინდბუნდები, უამრავი რამის მომსწრენი. დუმს მამალი საყრდის თავზე, მოქრის ეკაბსი ზოზინა ცხენზე, იასამანი გზას არ უთმობს, უეცრად გაჰკრა გულში — უკვე ხუთი წელია, ჩრდილოეთშია აღმოსავლეთი[3], სუქდებიან უკვე ისინი, რომლებისთვისაც დულს ჭაობი, რომ შიგ ჩავარდნენ, ჩაიძირონ დამის ფსკერზე იღლიალონ, ვინ შეიყვარებს სიკვდილს, ვინ კი — გადააპურჭყებს ცეცხლში, თუმცალა წიგნში არ წერია, მაგრამ მოისმის მთის გადაღმა: მძლავრი გუგუნი — მოქრის იურისი ნახიზ ცხენზე, საძოვარზე კი სუქდებიან მუქი ფესვები, ძლივსღა სუნთქავენ პირები, და ამ სხეულზეა ორი ხალხის წუთისოფელი[4], მაგრამ სულ უფრო ლიპს იკიდებენ უცხო მხარეში გადხვეწილნი, ისინი იქ ფუჭდებიან, იღუპებიან, გახიებული ლაშებიდან ჩამოღვრილი ხრინწიანი დედის გინებით წამხდარნი; უეცრად გაჰკრა გულში მოქრის იანისი, ქვის ცხენზე მოქრის[5].

[1] მცირერიცხოვანი ხალხი ლენინგრადის ოლქში. ლაპარაკობენ რუსულ და იჟორულ ენებზე. იჟორული ენა განეკუთვნება ფინურ-უნგრულ ენათა ჯგუფს. დამწერლობა არ გააჩნია (მთარგმ. შენიშვნა).

[2] თავისი ისტორიის ერთ-ერთ პერიოდში ლატვიას ერთდროულად განაგებდნენ პოლონეთი და შვეცია (მთარგმ. შენიშვნა).

[3] ქართველი მკითხველისთვის ცნობილია: ჩრდილოეთიდან ამოსული მზე.

[4] ლიფლანდიის გუბერნია დასახლებული იყო ლატვიელებით და ესტონელებით.

[5] ლექსში ჩვენი აზრით იგულისხმება ცნობილ ლატვიელ მსროლელთა შთამომავლობის ბედი: ვინ გარუსდა, ვინ გალოთა და ა. შ.

ლატვიელ ხალხს ძალზე ცუდი სამსახური გაუწიეს „ცენტრის“ პოლიტიკის მიმდევრებმა პელშემ, ვოსმა, პუგომ, რუბიკსმა, ალქსნისმა და სხვებმა, რომლებსაც გვარის გარდა არაფერი აქვთ ლატვიური (მთარგმ. შენიშვნა).

ლატვიურიდან თარგმნა **რენე კალანდიამ**

# რამდენიმე მოსაზრება

ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე, როდესაც დადგა დიდი ცვლილებების დრო, ქართული ხუროთმოძღვრების წინაშე მდგარი პრობლემებიც სათანადო ყურადღებით განხილვასა და გადაწყვეტას საჭიროებს.

ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში თავისი არქიტექტურული დონით გამორჩეული არაერთი შენობა აშენდა, თითქმის ყოველწლიურად სტუდენტთა ნამუშევრები დიდ მოწონებას იმსახურებენ საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დღევანდელი ქართული ქალაქები და სოფლები პასუხობდნენ თანამედროვე ხუროთმოძღვრების მოთხოვნებს.

ჩემი აზრით, სასწავლო პროგრამები, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე მოძველდა და საჭიროებს სრულყოფასა და განახლებას. მაგალითად, სათანადო ყურადღება არ ეთმობა ხატვა-ფერწერას, კომპოზიციას, ხელოვნებათმცოდნეობას, სპეციალობის ისტორიას. აქცენტი გადატანილია ტექნიკურ საგნებზე, რომლებიც პრაქტიკული მუშაობისას ნაკლებად საჭიროა არქიტექტორისათვის და რომელთა ზედმიწევნითი ცოდნაც ინჟინერ-კონსტრუქტორების მოვალეობაში შედის. ასეთ საგნებს მიეკუთვნება: თეორიული მექანიკა, მასალათა გამძლეობა, სამშენებლო კონსტრუქციები და ა. შ. ამავე დროს შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ ისწავლება ფილოსოფია, ლოგიკა, ესთეტიკა, ეს, ჩემი აზრით, ის საგნებია, რომელთა ცოდნაც აუცილებელია არქიტექტორის აზროვნების განვითარებისთვის. ასევე საჭიროდ მიმაჩნია მსოფლიოს ისტორიის სწავლება, მომავალ სპეციალისტებს უკეთესად შეეძლებათ ამა თუ იმ ხუროთმოძღვრული ძეგლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მხრიდან გაანალიზება. გარდა ამისა, სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სურვილისამებრ ძირფესვიანად შეისწავლოს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ამა თუ იმ საგნის მოკლე კურსი, და რაც ყველაზე უფრო მთავარია, არ ისწავლება მუშაობა კომპიუტერულ ტექნიკასთან, რომელიც ერთიორად აადვილებს არქიტექტორის ფიზიკურ შრომას. ამასთანავე რამდენჯერმე ამცირებს პროექტზე მუშაობის დროს.

აუცილებელია ითქვას ერთ მეტად მტკივნეულ პრობლემაზეც. საქმე გვაქვს საჭირო ლიტერატურის სრულ უქონლობასთან, რაც ყოვლად შეუწყნარებლად მიმაჩნია. ყოველ სასწავლებელს უნდა ჰქონდეს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მსოფლიოს ყველა ქვეყნის სპეციალური ჟურნალ-გაზეთებით, რათა სტუდენტებმა თვალყური ადევნონ საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესებს.

ძალზე მძიმე მდგომარეობა იქმნება ინვენტარის უქონლობის გამო. საზღვარგარეთის ქვეყნებში გადასული არიან კომპიუტერებით მუშაობაზე, ჩვენთან კი უბრალო ფანქრის შოვნაც პრობლემაა. ჩემი აზრით, აუცილებელია სასწავლებელს ჰქონდეს თავისი სახსრები, ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა, რომ სწავლება გახდეს ფასიანი. ასევე საჭიროა, რომ სტუდენტებმა საკურსო მოცემულობების მაგივრად შეასრულონ სერიოზული პროექტები, რომლებიც თავიდანვე შესრულდება სარეალიზაციოდ. მოცემულობას შეადგენს არა კათედრა, არამედ დამკვეთი, რომელიც დააფინანსებს კიდეც სამუშაოს. კარგი იქნება, თუ ამ ანაზღაურებიდან გარკვეული პროცენტი გადაეცემა ამ პროექტზე მომუშავე სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს. ვფიქრობ, აუცილებელია სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აირჩიონ ერთი თავისუფალი თემა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სურვილისამებრ, რომელსაც ისინი დაამუშავებენ ზაფხულის განმავლობაში პედაგოგების დაუხმარებლად. სასწავლებლების ბაზაზე უნდა შეიქმნას (სტუდენტური) საპროექტო ბიუროები, რომელთა მოვალეობაში შევა სტუდენტთა მიერ შემოთავაზებული იდეების დამუშავება, დახვეწა.

ჩემი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხუროთმოძღვრების ე. წ. ინჟინრულ და მხატვრულ არქიტექტორებად დანაწილება. აუცილებელია, შეიქმნას ერთი ცენტრალიზებული სასწავლებელი, რომლის კედლებშიც სტუდენტები მიიღებენ იმ სახის განათლებას, როგორიც მათ სურთ. ამასთანავე, უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე სასურველია, შეიქმნას სტუდენტური ქალაქი, სადაც სტუდენტი ახალგაზრდობისა და პედაგოგებისათვის ყველა პირობა იქნება შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

**გიორგი მონასტრელი**

## თამარ დრაგაძე

# რაჭის მიწისძვრა

ხ...ით ნაქსოვი შენი სამოსის კიდეები
დიდი ნჯღრევისგან ალაგ-ალაგ გაწყალებულა,
ალაგ-ალაგ ცრემლით დამბალა,
ტალახის ფერად მოქცეულა,
მაგრამ კვლავ ქობაგაუცვეთელი
დღეს შენს ჭრილობებს და მწუხარებას
როგორც დოლბანდი შემოხვევია; და მე,
რაც ვიცი, ფსალმუნებს ყველას,
წმინდა დავითის სამწყემსურიდან
შენთვის აღვავლენ ჩურჩულით, რაჭავ,
სიკვდილისთვის არგასამეტო.
ჩვენ ყოველ დილით გადავდიოდით
საშიშარ ნისლში
ქვებით მოფენილ უდელტეხილებს,
და როგორც იცი, მე არც საგზალი
და არც ძღვენი თან არ მომქონდა,
მაგრამ არც რუკა დამჭირვებია;
შესაბრალისო, ქარნაცემო დედაო ჩემო,
ბრძენო და თოვლის ჭალარიანო,
როგორ ახერხებ, რომ თვალები
ასე ღრმა გქონდეს და ასე თბილი
და ასე სავსე ღიმილიან საიდუმლოთი!
როგორ ახერხებ, შენი ამბორით
თითოეული მკვდარი შვილის სულს
მიესათუთო, უამბო შენი ტკბილი ზღაპრები
და წლიდან წლამდე
გარს ყვავილები შემოურგო
ისეთნაირად, შენ რომ იცი, დედაო რაჭავ?!

ინგლისურიდან თარგმნა **თამარ ერისთავმა**

# ჯაგლაგ ფავნელისშვილი

მწერალი ჯაგლაგ ფავნელისშვილი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მხოლოდ თავისი სახელითა და გვარით არის ცნობილი. მას მელექსეთა შორის ახსენებს არჩილი, მაგრამ რა გააკეთა, ან რა ხასიათისა და შინაარსის ნაწარმოებებს წერდა, კონკრეტულად არ ამბობს. მისი სახელით რომელიმე თხზულებას არ მოუღწევია. ამიტომ ყველა მკვლევარი, რომელიც ჯაგლაგ ფავნელისშვილს ახსენებს, ჩვეულებრივ მიაყოლებს ხოლმე: რა დაწერა, არ ვიცითო.

ფაქტობრივი მასალით ეს მართლაც ასეა, მაგრამ არჩილის ცნობა, ვფიქრობთ, მთლად ასეთი მწირი ინფორმაციით არ უნდა ამოიწურებოდეს.

არჩილი, როგორც ითქვა, ჯაგლაგს თავისი დროის ქართველ პოეტთა შორის მოიხსენიებს, მაგრამ მეტად უარყოფითად ახასიათებს:

ჯაგლაგსა ფავნელისშვილსა
არვინ ათხოებს ყურსაო.
მას ვერცხლი დაუმსხვრევია
და ველარ დაუყურსაო.
სულ მელექსენი შევჰყარე,
მაგრამ ამ ორთა მშურსაო.
რა დავაბრალო ჯაგლაგსა,
ვერ მოჰყვეს ბედაურსაო.

ამ ზოგადი ხასიათის ქარაგმულ სტროფში რამდენადმე კონკრეტულობითა და რაღაც ხელმოსაკიდი მინიშნებით მაინც გამოირჩევა მესამე სტრიქონი: „სულ მელექსენი შევჰყარე. მაგრამ ამ ორთა მშურსაო“. თუმცა. აქაც ამოსაცნობია, რომელ ორ მწერალზეა საუბარი, მათი ასე რომ „შეშურებია“ არჩილს? ერთი თავისთავად ცხადია, რომ ჯაგლაგ ფავნელისშვილია, მაგრამ მეორე? მეორეს ვინაობას ვიგებთ მხოლოდ წინა სტროფით, რომელშიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილი ნანუჩა ციციშვილია გამათრახებული:

ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში
ბევრი რამ ჩაურევია.
საბრალოს ვერ შეუწყვია.
წმინდა რამ აუმღვრევია.
მასთან რას სწერდა მის ლექსსა.
სირეგვნე მით მორევია!
რუსთველი სიბრძნის ტბა არის.
არც თუ იგი მორევია.

უშუალოდ აი ამ სტროფს მოსდევს შემდეგი: „ჯაგლაგსა ფავნელისშვილსა“, რომლის მესამე სტრიქონშიც ნანუჩა და ჯაგლაგ ფავნელისშვილი ერთად მოიხსენიებიან, რაღაცით ერთიანდებიან მწერლის მიერ:

სულ მელექსენი შევჰყარე,
მ ა გ რ ა მ ა მ ო რ თ ა
მ შ უ რ ს ა ო.

ხაზგასმული სიტყვები, ცხადია, ირონიითაა ნათქვამი, მაგრამ ეს ირონიაა, რომ აკავშირებს ნანუჩასა და ჯაგლაგს, ერთ რანგში აქცევს, რაც საფუძველს ზღება ჯაგლაგის მწერლობის ხასიათის გარკვევისა. ჩანს, ჯაგლაგ ფავნელისშვილსაც ნანუჩასნაირი საქმით გამოუჩენია თავი და არჩილს სწორედ ეს „შურს“ მათი და ერთად ამიტომ ახსენებს.

ნათქვამის სამტკიცებლად მასალა, ვფიქრობთ, ჯაგლაგისადმი მიძღვნილ სტროფში ... გვაქვს. მაგ. არჩილი წერს: „მას, ე. ი. ჯაგლაგს — ვერცხლი დაუმსხვრევია და ველარ დაუყურსაო“. რას უნდა ... რა ვერცხლის დამსხვრევაზე და შემდეგ მის „ვერ დაყურსვაზე“ შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი (როცა საქმე. სიტყვა. მწერალს ეხება) თუ არა რაღაც დაზიანებული ლიტერატურული ნაწარმოების გაფუჭებაზე, რომელიც ფავნელისშვილმა თავისი ჩარევით არია, გააუკუღმართა და შემდეგ ველარაფერი მოუხერხა, ველარ „დააყურსა“. დაყურსვა ხომ დაზიანებას, გაწმენდას ნიშნავს? მაშასადამე, აქ ვერცხლის დამსხვრევა გადატანით რაღაც დაზიანებულის, მაღალმხატვრულის გაფუჭებაზე, ჯაგლაგის მიერ შერყვნაზე უნდა მიგვანიშნებდეს. სხვაგვარად მწერალზე ასეთ ნათქვამს აზრი არა აქვს. ამ ვარაუდს ისიც განგვიმტკიცებს, რომ ბოლო სტრიქონშიც ისევ რაღაც ასეთზეა მინიშნებული: „რა დავაბრალოთ ჯაგლაგსა, ვერ მოჰყვეს ბედაურსაო“. ბედაურში. ცხადია. ხელოვანი პოეტი იგულისხმება. რომელსაც ჯაგლაგი კი ეჯიბრება. მაგრამ ჯაგლაგი — უკვე გადატანითი მნიშვნელობით. როგორ მიჰყვება ბედაურს?

რადგან ნანუჩასა და ჯაგლაგს არჩილი ერთ კონტექსტში ახსენებს, ჩანს, ჯაგლაგ ფავნელისშვილიც ხელმოცარული ინტერპოლატორი იყო, ან რუსთაველის მიმბაძველი. იქნებ „ვეფხისტყაოსნის“ შემორჩენილ ხელნაწერებს სადმე აჩნევიათ კიდეც მისი კალმის ავბედითი კვალი.

**ხვთისო ზარიძე**

# „ჯერ ყველაფერი არ თქმულა“



გურამ რჩეულიშვილის შესახებ ბევრი რამ თქმულა. ბევრი რამ დაწერილა. ხშირად ძნელია. მოიგონო წარსული, გაიხსენო ნაღვლიანი, ტკივილიანი შეგრძნებები, მაგრამ უფრო ხშირად უთქმელობაა ძნელი.

„აი, მე. გურამი ვდგავარ თქვენს წინ“ ნუგზარ წერეთლის მეორე წიგნია მეგობრისადმი მიძღვნილი. პირველი — „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“. 1980 წელს გამოქვეყნდა და ფართო გამოხმაურებაც მოჰყვა. მთავარი, რაც ამ ორ წიგნს აერთიანებს და რისთვისაც ავტორი წარსულს უბრუნდება. მწერლის პიროვნების უკეთ შეცნობის სურვილია. ამ წიგნით იგი მიეფუძნება სახურველს ბედის მეგობრის ბევრ უცნაურობად მიჩნეულ საქციელს. ცდილობს. ამოიკითხოს ის ფარული აზრი, რაც ახალგაზრდა მწერალმა დროის უკუღმართობის გამო სტრიქონებს შორის იგულისხმა ან ალეგორიებით გამოხატა, რაც ხმამაღლა ვერ თქვა. შესაძლოა, საკუთარი ღირსების წარმოჩენისა მოერიდა.

გურამ რჩეულიშვილის შესახებ მოგონებებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ცნობილია, მწერლის მხატვრული ნაწარმოებები ძირითადად ავტობიოგრაფიულია და მისი შემოქმედების მკვლევარი თუ დაინტერესებული მკითხველი შეძლებს, იოლად ამოიცნოს თითოეულ ფრაზაში ნაგულისხმევი აზრი, ნაცვლად დასკვნების ბეჯითად ძიებისა. ნუგზარ წერეთელი ხშირად მიანიშნებს გარკვეული ცხოვრებისეული მომენტის, კერძო საუბრისა და ამა თუ იმ ციტატის მხგავსებას.

წიგნი „აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ“ განსაკუთრებით საინტერესოა იმითაც. რომ მასში პირველად არის ნაჩვენები გურამ რჩეულიშვილის ეროვნული და მოქალაქეობრივი მრწამსი. „გადავწყვიტე, წიგნი „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ კი არ შემევსო, არამედ გამომეცა ახალი. სრულიად დამოუკიდებელი წიგნი, უმთავრეს მიმართულებად კი ამერჩია გურამის ცხოვრებისა და შემოქმედების ეროვნული სულისკვეთება, რაზეც ამ 10-12 წლის უკან მხოლოდ მინიშნებებით თუ შეიძლებოდა ლაპარაკი“ — აღნიშნავს წიგნის ავტორი წინასიტყვაობაში.

წინამდებარე წიგნი არ არის ზედმეტი ალტაცებით გამოწვეული შეფასება, რადგან, როგორც უკვე ცნობილია, გურამს სიცოცხლესთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, სხვაგვარად იტაცებდა სიახლეთა ნახვის სურვილი, სხვაგვარად უყვარდა მეგობრები. „ხომ იცი, უთქვენოდ როგორ მიჭირს“-ო — ალბათ, ხშირად გაუმეორებია მათთვის ეს სიტყვები, მას შეეძლო დათმობა, პატიება, ამიტომაც ბევრს ჰქონდა სურვილი, ყოფილიყო მისი ახლო მეგობარი. „განსაკუთრებით არ შემიძლია, ვერ ვიტანდე ვინმეს“ — უთქვამს მას ერთგან. ეს გამორჩეულობა არასოდეს ყოფილა თავმომწონეობით გამოწვეული. ის ასეთად ჩამოყალიბდა ბავშვობაში და ასეთად დარჩა, ყოველთვის მტკიცედ იცავდა იმ პრინციპებს, რომლებიც სწორად მიაჩნდა, თუნდაც ამ პრინციპებს საყოველთაო მოწონება არ ჰქონოდათ.

ნუგზარ წერეთლის მოგონებებიდან არც ერთი ცხოვრებისეული ფაქტი, რომელიც ყურადღების საგნადაა ქცეული, არ არის განცალკევებულად, იზოლირებულად გადმოცემული. ყველგან ნაჩვენებია მათი უშუალო კავშირი მწერლის შემოქმედებასთან. ეს მოგონებები ძირითადად სტუდენტობისა და შემდგომდროინდელ პერიოდს ეხება, წიგნში ნაჩვენებია, თუ რა მძაფრად განიცდიდა გურამ რჩეულიშვილი საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ხშირად რად ულრდა ამა თუ იმ საკითხზე ხმამაღალი, გაბედული სიტყვის თქმა და მეტიც. გაბრძოლება ყოველგვარი დასავსებულის წინააღმდეგ.

ნუგზარ წერეთელი იგონებს 1956 წლის 9 მარტის შემდეგ მომხდარ ერთ ამბავს, რომელიც მას გურამმა უამბო და დასძინს, რომ გურამი უმიზნოდ არაფერს აკეთებდა: „რაიმე სასიხარულო არ ჩანდა, უცებ უიმედობამ შემიპყრო და ვიფიქრე ან თავს მოვიკლავ, ან ლენინის ძეგლს ვესვრი, რომ ეს ჭაობში ჩაფლული ხალხი გამოფხიზლდეს მეთქი. ასე საბალხოდ თავის მოკვლა სისულელედ მივიჩნიე, დარწმუნებული ვარ, ისედაც ცოტა მაქვს დარჩენილი სიცოცხლის დღეები, მოსაწერი და დასახატავებელი კი უამრავი“. როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს იყო სრულიად განსხვავებული მოაზროვნის ამბოხება ყოველგვარი რუტინის. უხეში ძალით დამონებული ხალხის თვითკმაყოფილების წინააღმდეგ და რაც ვერ შეძლო პირადი მოქმედებით, შეეცადა მაღალმხატვრული შემოქმედებით გაეკეთებინა.

ეს განწყობილება ახალგაზრდა პროზაიკოსმა ბრწყინვალედ აღწერა თავის „ალავერდობაში“. როგორც მკითხველი კიდევ ერთხელ დაინახავს. მოთხრობის ლირიკული გმირი საოცრად ჰგავს მისივე ავტორს.

გურამმა დაგვიტოვა არა უზრალოდ დიდი რაოდენობა მოთხრობებისა და ნოველებისა, არამედ ნაფიქრალით გაჯერებული ჭეშმარიტი პროზა, მომავლის პროზა.

ნუგზარ წერეთლის ახალი წიგნი ასახავს სიმართლეს, მასში ვერაფერს იპოვნით გამოგონილსა და ყალბს, ისევე, როგორც თვით გურამის შემოქმედებაში, ცხოვრებაში, სადაც იშვიათად თუ შევხვდებით მხოლოდ წარმოდგენილსა და ნაოცნებარს, „ჯერ ყველაფერი არ თქმულა, არ დამთავრებულა“ — აღნიშნავს ავტორი და თითქოს მართლაც ამოუწურავია ნათქვამი „მარად 26 წლის ჭაბუკზე“, რომელმაც ასეთი მრავალფეროვანი ცხოვრებით იცხოვრა.

**ლია ვაშალომიძე**



ქვათახევი

ზურაბ გენგიურის ფოტო


მთავარი რედაქტორი ხოხო ხიგუა

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ თვარაძე, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, დათო მაღრაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, ხარიტონ ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, ტარიელ ჭანტურია, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, ბუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილეები — 99-91-89; 98-36-68.
პასუხისმგებელი მდივანი — 99-67-10.
განყოფილებები: პროზისა და პოეზიის — 99-71-88; კრიტიკის, პუბლიცისტიკის, ინფორმაციის — 99-08-85; ხელოვნების 99-72-89.
ბუღალტერია — 99-72-89.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
გამოდის პარასკეობით